კარგი მინისტრების „პარადი" A3

როგორ გენიშნებათ პენსია? A8

პოლიტიკური პორტრეტი B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 11 ივნისი, 2004 წელი. №137 (686)

ფასი 50 თეთრი

# ქვეყანას ორგზის "სანდო" მთავრობა ჰყავს



ლევან ხერხეულიძის ფოტო

გიორგი ასანიშვილი

*100 დღეზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში ზურაბ ჟვანიას კაბინეტმა პარლამენტისგან უკვე ორჯერ მიიღო ნდობის მანდატი. გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე მთავრობის შემადგენლობის დამტკიცებას 150-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი (წინააღმდეგი - ექვსი). ასევე უპრობლემოდ დაიკავა გენერალური პროკურორის პოსტი ზურაბ ადეიშვილმაც - ირაკლი ოქრუაშვილის "სამართალმემკვიდრემ" 140 პარლამენტარის ხმა "მოაგროვა". რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ წინა მოწვევის პარლამენტში ოდნავ უკეთესი განწყობა არსებობდა: მიმდინარე წლის 17 თებერვალს, როდესაც პრემიერ-მინისტრის გუნდი ნდობის მანდატით პირველად აღიჭურვა, მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებას, ხუთის წინააღმდეგ, 165-მა პარლამენტარმა მისცა ხმა.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## „ჩვენმა ვოვამ თქვენს ბუშს სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ჩააბარა"

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

რუსეთის პარლამენტმა ორთქლი გამოუშვა და სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია პრეზიდენტსაც სილა გააწნა. სამი კომიტეტის დახურულ სხდომაზე მოსკოვში მყოფი ედუარდ კოკოითი არავის მიუპატიჟებია, შესაბამისად სხდომათა დარბაზში სპეციალური განცხადების გასაკეთებლადაც არავინ შეუშვა. რუსეთის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის დონეზე ე.წ. სამხრეთ ოსეთის უკვე გადაწყვეტილ საქმეს ვერც სპეციალურად ამ სხდომისათვის ვლადიკავკაზიდან ჩამოფრენილმა ალანიის პრეზიდენტმა ალექსანდრე ძასოხოვმა უშველა. მოვლენები კი შემდეგნაირად განვითარდა:

რუსეთის სათათბიროს დსთ საკითხთა, უშიშროებისა და საერთაშორისო საქმეთა კომიტეტების დახურული სხდომა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ირგვლივ შექმნილ ვითარებას იხილავდა. რუსი სენატორების, დიპლომატების, გენერალური შტაბისა და თავდაცვის სამინისტროს, რუსეთის უშიშროების საბჭოს წარმომადგენელთა შთამბეჭდავმა დესანტმა ჟურნალისტების აჟიოტაჟი გამოიწვია. სრულიად მოულოდნელად, დუმის ოსი ეროვნების დეპუტატის ასლან ძაგაევის მისაღებიდან, ედუარდ კოკოითი გამოვიდა დამწუხრებული სახით. მას უკან მოჰყვა ფედერაციათა საბჭოს სენატორი ვალერი კოდოხოვი, შემდეგი შეძახილებით: **"ხან სასუქი, ხან ტანკები, ხან ქვემეხები, ხან მეუღლეები, ხანაც "როზი-მიმოზი", ხან სააკაშვილის რაღაც ჟესტები... ორ დღეში იქ ვითარება შეიცვლება..."**

"დახურულ სხდომას ესწრებით?" - ეკითხებოდნენ გზადაგზა ჟურნალისტები კოკოითს. "არა, არ ვესწრები," - უხერხულად ილიმოდა კოკოითი და იმ ადგილისაკენ მიიწევდა, სადაც ორასამდე ჟურნალისტი ელოდა სხდომის დამთავრებას. პრესისათვის

გაგრძელება A3 გვერდზე

## ვინ არის „ასლან აბაშიძის ნარჩენი" აჭარაში?

დაპირისპირება კულმინაციას აღწევს

*აჭარაში პოლიტიკური ფონი იძაბება. უმაღლესი საბჭოს არჩევნებამდე ცხრა დღით ადრე, პოლიტიკური ორთაბრძოლა "ნაციონალებსა" და "რესპუბლიკელებს" შორის უკვე საკმაოდ საშიშ ფორმებს იღებს. ხელვაჩაურში გუშინ დატრიალებული მოვლენები კი იმის მიმანიშნებელია, რომ 20 ივნისის არჩევნები საკმაოდ დრამატულად წარიმართება.*

თამარ ასათიანი

"რესპუბლიკელები" უკვე ღიად უპირისპირდებიან იმ გუნდს, რომელსაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა აჭარა "ჩააბარა". მათ შორის არიან პრეზიდენტის რწმუნებული ლევან ვარშალომიძე, აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის "ნაციონალი" წევრები და იმ რაიონების გამგებლები,

გაგრძელება A3 გვერდზე

## ვითარება შეიძლება კარდინალურად შეიცვალოს

თუმცა, გამოკითხვების შედეგად ჯონ კერი ლიდერობს



*ჯორჯ ბუში შერყეული იმიჯის გამოსწორებას მსოფლიოს ლიდერების დახმარებით აპირებს.*

"დიდი რვიანის" სამიტის შედეგები აშშ-ს პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის მნიშვნელოვან წარმატებად ერთხმად იქნა შეფასებული. პრეზიდენტ ბუშს კი წარმატება ნამდვილად ესაჭიროებოდა. ბოლოდროინდელი მოვლენების შემდეგ, მიმომხილველთა მცირე, ძალიან გაბედული ნაწილი თუ უწინასწარმეტყველებდა მას არჩევნებში გამარჯვებას. კუნძულ სი-აილენდზე გამართულმა სამიტმა შესაძლოა, კარდინალურად შეცვალოს ვითარება.

თუმცა, ჯერჯერობით, კვლავ დემოკრატთა საპრეზიდენტო კანდიდატი ჯონ კერი ლიდერობს. იგი სოლიდურად უსწრებს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს – ასეთი იყო "ლოს ანჯელეს თაიმს"-ის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

გამოკითხვა სამი მეთოდით ჩატარდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ სამივე შემთხვევაში კერის უპირატესობა აშკარა იყო თავის კონკურენტთან შედარებით. შეჯამებული შედეგებით, მასაჩუსეტსის სენატორი ჯონ კერი გამოკითხულთა 48 პროცენტის ნდობას იმსახურებს, მაშინ, როცა ბუშს 44 პროცენტი ემხრობა.

როგორც გამოკითხვამ აჩვენა, უმრავლესობა უკმაყოფილოა ბუშის ეკონომიკური პოლიტიკითა და ერაყის საკითხით, მიუხედავად იმისა, რომ ორივე საკითხზე უკანასკნელ დროს სერიოზული წინსვლა შეინიშნება – ნავთობზე ფასები მცირდება, ანუ აშშ-ს ეკონომიკას კატასტროფა აღარ ემუქრება, და არანაკლებ მნიშვნელოვანი - მსოფლიოს ლიდერებთან ერაყის თემაზე კონსენსუსის მიღწევა. რესპონდენტთა 56 პროცენტს სწამს, რომ აშშ-ს კურსი, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური, უნდა შეიცვალოს, რადგანაც ბუში სიტუაციის გამოსწორებას ვერ ახერხებს.

მთელ ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვის დროს, რესპოდენტთა 55 პროცენტი უკმაყოფილებას გამოთქვამს ბუშის ერაყისეულ მიდგომასთან დაკავშირებით, მაშინ, როცა 44 პროცენტი მის პოზიციას ეთანხმება. ეკონომიკას რაც შეეხება, 54 პროცენტი ბუშის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს უარყოფითად აფასებს, ხოლო 43 პროცენტი თანახმაა, ამგვარი კურსი გაგრძელდეს.

გაგრძელება A5 გვერდზე

### პოლიტიკა

**სასიკეთო პროცესების მიღმა არავინ დარჩება**



"საქართველოს პრეზიდენტი ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველოს არც ერთი მოქალაქე არ დარჩეს იმ მიმდინარე პროცესების მიღმა, რომელიც ამ ბოლო დროს საქართველოში ხდება", - განაცხადა საქართველოს ელჩმა რუსეთში.

A3

### ეკონომიკა

**გზა დენის ტარიფის შემცირებისკენ მაღალჩინოსანთა კაბინეტებზე გადის**



"სახელმწიფო ენერგეტიკას ცუდად ექცევა, როცა ამ დარგიდან მოგების მიღებას გეგმავს," – აცხადებს ენერგეტიკის მომხმარებელთა ომბუდსმენი დავით ებრალიძე.

A4

### უცხოეთი

**ისრაელი - აგრესორი თუ მუსლიმური სამყაროს მსხვერპლი**



მიუხედავად იმისა, რომ ომის დაწყების შემდეგ თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა, გადასაჭრელ საკითხთა სია არ შემცირებულა.

A5

### საზოგადოება

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს მ ი ღ ე ბ ა ს**

**2004-2005 სასწავლო წლისათვის**

A6

### სამართალი

**გენერალურმა პროკურატურამ „ომეგა ჯგუფის" დამფუძნებელს ბრალი თაღლითობაში დასდო**

A7

### ამინდი

| | 11/06 | 12/06 |
|---|---|---|
| თბილისი | 23 | 25 |
| ქუთაისი | 20 | 26 |
| ბათუმი | 16 | 20 |
| სოხუმი | 14 | 22 |
| ფოთი | 18 | 23 |
| თელავი | 22 | 23 |
| ზუგდიდი | 18 | 25 |
| გორი | 18 | 23 |
| ახმეტა | 23 | 24 |
| ქიათურა | 19 | 26 |
| გაგრა | 13 | 20 |
| სამტრედია | 20 | 26 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9200 |
| ევრო | 2.3155 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5178 |
| რუბლი | 0.0661 |

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 რეკლამა A7 სამართალი A8 პროექტი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 პოლიტიკური პორტრეტი B7 კვირის TV-პროგრამა B8 სხვადასხვა

## ნაყინიც გემრიელია და ყუთიც – ლამაზი



იმედია, ხალისიანად შეფერილი სანაგვე ყუთები დამთვალიერებლებს მომხმარებლად გადააქცევს.

*გუშინ მეტროს სადგურ "რუსთაველთან" სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა სანაგვე ყუთები მოხატეს. შპს "აისის" და გაზეთ "24 საათის" ინიციატივით, ჩატარდა აქცია დევიზით: "ერთად ვიზრუნოთ დედაქალაქის სისუფთავეზე".*

პროგრამა კანონიერების კულტურის ფორმატით, გაზეთ "24 საათში" არის გვერდი "წერილები მთავრობას", რომელშიც მოსწავლეები წერენ იმ მოსაგვარებელი საკითხების შესახებ, რასაც ისინი ხედავენ. შარშან 123-ე სკოლის მერვეკლასელებმა ეკოლოგიაზე საუბრისას შენიშნეს, რომ თუ ყველა მეწარმე, რომლის პროდუქცია აჭუჭყიანებს გარემოს, იზრუნებს დასუფთავებაზე, პრობლემის გადასაჭრელად ეფექტური ნაბიჯი იქნება.

წერილს გამოეხმაურა "გურჯაანის ნაყინი" - შპს "აისი". მათ "24საათის" საპრესკონფერენციო დარბაზში შეკრიბეს ქალაქის დასუფთავების სამსახურის, გარემოს დაცვის სამინისტროს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მოსწავლეები და იმსჯელეს გარემოს დაცვის პრობლემებზე. ამავე შეხვედრაზე შპს "აისმა" საზოგადოებას გააცნო პროექტი, რომელიც პირდაპირ პასუხობდა მოსწავლეთა შენიშვნას - "კარგია, რომ გურჯაანიდან გემრიელი ნაყინი მოდის, მაგრამ მას ხომ ნაგავიც მოჰყვება"?! პროექტის თანახმად, შპს "აისი" სხვა ღონისძიებებთან ერთად სანაგვე ყუთებს დგამს ქალაქში, სადაც ის თავის გემრიელ პროდუქციას ყიდის.

აკადემიის სტუდენტებმა ყუთები მოხატეს. მაყურებელი, ანუ ყუთების პოტენციური მომხმარებელი, უხვად იყო, მაგრამ ძნელად ეჯერებოდათ, რომ მოხატული ყუთები პირდაპირ ფუნქციას შეასრულებდნენ; მათ უფრო ავანგარდული ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევდნენ. იქვე დასუფთავების ყვითელჟილეტიანი მოსამსახურეები იდგნენ, რომლებიც გამვლელ-გამომვლელს უმტკიცებდნენ, რომ ეს ყუთები საგამოფენო დარბაზში არ დაიდგმება.

მოქალაქეების ყურადღების მიზიდვის ტრადიცია გრძელდება და ყუბანეიშვილის ნაკვესებმა თუ არ გაამართლა, იქნებ სტუდენტი მხატვრების შემოქმედებამ მაინც დააინტერესოს თბილისის მოსახლეობა და ნარჩენები სანაგვე ყუთში ჩაყაროს.

მოხატული ყუთები ქალაქის სხვადასხვა უბანში დაიდგმება და ქალაქის დასუფთავება იმაზე იზრუნებს, რომ დროულად გაიტანონ ნაგავი ქალაქიდან. მაგრამ, პრობლემა, თუ სად უნდა გაიტანონ ნაგავი და როგორ დააკონსერვონ, ისე რომ ბუნებას და ადამიანს არ ავნოს, თბილისში ჯერ კიდევ გადაუჭრელად რჩება.

*დალი კუპრავა*

## ადვოკატი უზენაეს სასამართლოს სულხან მოლაშვილის გათავისუფლებას სთხოვს

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით მისი ადვოკატი შალვა შავგულიძე ამ დღეებში უზენაეს სასამართლოს მიმართავს. შალვა შავგულიძის განცხადებით, მოლაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების კომპეტენცია თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს არ ჰქონდა, მან კონტროლის პალატის თავმჯდომარის პოსტის დატოვების შემდეგ ადვოკატის სერტიფიკატი მიიღო, ადვოკატის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება, კანონის თანახმად, მხოლოდ უზენაეს სასამართლოს აქვს.

შავგულიძის ინფორმაციით, სულხან მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სერიოზულად გაუარესდა, იგი რამდენიმე დღის წინათ ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან თბილისის №1 საპყრობილეში გადაიყვანეს.

23 აპრილს თბილისის პროკურატურაში თავისი ნებით მისული მოლაშვილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავეს. მას გამოძიება პროკურატურაში ხაზინაში, კერძო ორგანიზაციებში შემოწმებისა და შემოწმებული უწყებებიდან დაკისრებული თანხის 30 პროცენტის კონტროლის პალატის ანგარიშზე ჩარიცხვის, საბიუჯეტო სახსრების ბოროტად გამოყენების ბრალს სდებს.

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე თავს პოლიტპატიმრად მიიჩნევს. მას გამოძიებისთვის ჩვენება, ჯერჯერობით, არ მიუცია. **მედია-ნიუსი**

## სტივენ მანი ნოვოროსიისკი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის იდეას უპერსპექტივოს უწოდებს

აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველი ენერგეტიკულ საკითხებში სტივენ მანი უპერსპექტივოს უწოდებს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის იდეას ნოვოროსიისკი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის შესახებ. ნოვოროსიისკის ნავთობსადენი, რომელიც აფხაზეთის გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანს მიუერთდება, სტივენ მანს კომერციულად წამგებიან პროექტად მიაჩნია. "ქართული მხარე დიდი ხანია ამ იდეას ლობირებს, რადგან აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების და რუსეთის დახმარების ერთ-ერთ წყაროდ თვლის, მაგრამ ეს პროექტი კომერციულად წამგებიანია. აშშ ამ ნავთობსადენის წინააღმდეგი არ არის, თუმცა, ეს პროექტი თუ შესრულდა, კერძო კომპანიების ასაშენებელი იქნება," - აღნიშნა მანმა უცხოელ ჟურნალისტებთან საუბარში. მისი თქმით, აშშ-სთვის პრიორიტეტულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, რომელიც მომდევნო წელს ამოქმედდება. ამავდროულად, მანი მიესალმება ოდესა-ბროდის ხაზის მშენებლობას, რაც კასპიის ნავთობის ევროპაში ტრანსპორტირებას შეუწყობს ხელს. **ინტერ-პრესი**

## პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი დიდ ბრიტანეთში

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ლონდონში ვიზიტს განაგრძობს. ვიზიტის პირველივე დღეს ბურჯანაძე დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ბილ რამელს შეხვდა. რამელი რუსეთთან, ცენტრალურ აზიასა და კავკასიასთან ურთიერთობებს კურირებს. საუბრის ძირითადი თემები იყო საქართველოს პარლამენტის რეფორმა, კორუფციასთან ბრძოლა, ვითარება აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, აჭარაში მიმდინარე მოვლენების შეფასება, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები.

რამელმა აღნიშნა, რომ ევროპა და, კერძოდ, დიდი ბრიტანეთი აფასებს იმ პროგრესულ ცვლილებებს, რომლებიც საქართველოში ხდება. მისი თქმით, დიდი ბრიტანეთი ქართულ-ოსური კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანად მოგვარებას მიესალმება. ბილ რამელი დაინტერესდა იმ როლით, რომელიც რუსეთმა აჭარის კრიზისის მოგვარებაში შეასრულა და იმ პოზიციით, რომელსაც მოსკოვი ოსეთისა და აფხაზეთის მიმართ იკავებს. ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ რუსეთთან ურთიერთობები ბოლო ხანებში შედარებით კონსტრუქციული ხდება. მან ბრძნული უწოდა პრეზიდენტ პუტინის დამოკიდებულებას აჭარის საკითხის მიმართ, მაგრამ აღნიშნა, რომ რუსეთის ხელისუფლების გარკვეული წრეები ცდილობენ, კვლავაც მოახდინონ საქართველოში კონფლიქტების მანიპულირება, ხელი შეუშალონ ჩარჩო ხელშეკრულების გაფორმებას და შეაფერხონ რუსეთის ბაზების საქართველოდან გაყვანა. **"საქართველოს ხელისუფლებას ესმის ის მნიშვნელობა, რომელიც რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას ეძლევა,"** – აღნიშნა ბურჯანაძემ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დონორი ქვეყნების კონფერენციასაც შეეხო, რომელიც უახლოეს დღეებში ბრიუსელში გაიმართება და მადლობა გადაუხადა დიდ ბრიტანეთს საქართველოს მხარდაჭერისათვის. რამელის თქმით, ევროპის ქვეყნები, მათ შორის - დიდი ბრიტანეთიც, შეეცდება დაეხმაროს საქართველოს, მაგრამ მოითხოვს, რომ დახმარება მიზნობრივი და გამჭვირვალე იყოს. „საქართველო აღარ დაკარგავს იმ შანსს, რომელიც ერთხელ უკვე დაკარგა 1990-იან წლებში, დასავლური დახმარების ეფექტიანად გამოყენების კუთხით," – აღნიშნა ბურჯანაძემ და დასძინა, რომ საქართველოს ხელისუფლება დახმარების გამჭვირვალედ გამოყენებას ყველანაირად შეეცდება.

ლონდონში ვიზიტისას ნინო ბურჯანაძე გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის თემთა და ლორდთა პალატების წამყვან წევრებსაც შეხვდა.

ბრიტანეთის პარლამენტის წევრებთან, ბრიუს ჯორჯთან და ბრაიან ფოლთან შეხვედრაზე საუბარი საქართველოს ევროსტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავებას შეეხო. სერ ბრაიან ფოლი, რომელიც საქართველოში კონფლიქტების მოგვარების საკითხში დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელია, ყოფილ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში კონფლიქტების გადაჭრის გზებს შეეხო. მან ხაზი გაუსვა რუსეთის შესაძლო პოზიტიურ როლს ამ კონფლიქტების გადაჭრაში.

ლორდთა პალატის ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსებთან, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებთან – ლორდ გროკოტთან და ბარონესა ამოსთან შეხვედრისას, ნინო ბურჯანაძემ საქართველოსა და ბრიტანეთის პარლამენტებს შორის თანამშრომლობაზე და დიდი ბრიტანეთის მხრიდან საქართველოს ეკონომიკურ მხარდაჭერაზე, აგრეთვე, რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებაში დახმარებაზე გააკეთა აქცენტი. ბრიტანეთის ლორდთა პალატის წარმომადგენლები სპიკერს შეჰპირდნენ, რომ საქართველოს დასახმარებლად ყველაფერს გააკეთებენ.

*24 საათი*

## აფხაზ ბოევიკთა თავდასხმას ახალგაზრდა ქალი შეეწირა

გალის რაიონში კრიმინოგენური ვითარების გამწვავებას 25 წლის ეკა ძიძარიას სიცოცხლე შეეწირა. გუშინ, გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღებში აფხაზ ბოევიკთა 5-კაციანი შეიარაღებული ჯგუფი ძარცვის მიზნით თავს დაესხა ძიძარიების ოჯახს. თავდამსხმელებმა საკუთარ სახლში მოკლეს 25 წლის ეკა ძიძარია. მეზობლების მტკიცებით, თავდასხმა აშკარად ძარცვის მიზნით განხორციელდა, ძიძარია კი იმიტომ მოკლეს, რომ მან თავდამსხმელები იცნო.

ძიძარიას ოჯახზე მომხდარი თავდასხმა ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრის მთავარი თემა და ჩაშლის მიზეზიც გახდა. ქართული მხარის კატეგორიულ მოთხოვნას, რომ შეიქმნას საგამოძიებო კომისია, არ დაეთანხმა აფხაზ სეპარატისტთა წარმომადგენლობა, რის გამოც ქართულმა მხარემ პროტესტის ნიშნად შეხვედრა დატოვა.

დაზუსტებული ინფორმაციით, კვლავაც დაუდგენელი რჩება 8 ივნისს, გალის რაიონის სოფელ რეჩხიდან 4-კაციანი ყაჩაღური ჯგუფის მიერ გატაცებული აბესალომ ჯაბუასა და ავთანდილ ბიბლაიას ადგილსამყოფელი.

გალის აფხაზური ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელის და ამჟამად გალის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარის რუსლან ქიშმარიას ინფორმაციით, "გაზელის" მარკის ავტომანქანა, რომელიც "საქჰიდროპროექტის" თანამშრომელს აბესალომ ჯაბუას ემსახურებოდა, აფხაზმა მილიციელებმა გალის რაიონის სოფლების - ბედიასა და ჩხორთოლის დამაკავშირებელ გზაზე იპოვეს. რაც შეეხება გატაცებულებს, აფხაზი სამართალდამცველებისთვის მათი ადგილსამყოფელი, ჯერჯერობით, უცნობი რჩება. **მედია-ნიუსი**

## ახალი საბორნე მიმოსვლა

უახლოეს პერიოდში ილიჩევსკიდან (ოდესის ოლქი) ფოთის მიმართულებით საბორნე მიმოსვლა დაიწყება. მგზავრებს 120-ადგილიანი საერთაშორისო კლასის სამგზავრო ბორანი „გრეისფალდი" მოემსახურება. ამით საქართველოსა და უკრაინას შორის 10 წლის წინათ შეწყვეტილი მგზავრთა საბორნე გადაყვანა აღდგება. საბორნე მიმოსვლას უკრაინული კომპანია „უკრფერი" განახორციელებს. ბორანი მანძილს ილიჩევსკსა და ფოთს შორის 2 დღე-ღამეში დაფარავს. გადამყვანი კომპანია იმედოვნებს, რომ ბორნის მომსახურებით წლის განმავლობაში 10 ათასამდე მგზავრი და ტურისტი ისარგებლებს. სამგზავრო ბილეთის ღირებულება 500 გრივნიდან (180 ლარი) დაიწყება, 1 მსუბუქი ავტომობილის გადაყვანა 250-300 აშშ დოლარი დაჯდება, ხოლო სარკინიგზო ვაგონის - 1000-1200 აშშ დოლარი.

*24 საათი*

## კონფლიქტის ზონაში პირველ პენსიას 15 ივნისს მიიღებენ



საპენსიო ფონდი თანხის დარიგების უსაფრთხოებაზე ზრუნავს.

*საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ გამოყოფილ პენსიას სამაჩაბლოს მოსახლეობა 15 ივნისიდან მიიღებს. ეს იყო ძირითადი თემა სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში გუშინ გამართული პრესკონფერენციისა, რომელსაც გენერალური დირექტორი ზაზა სოფრომაძე უძღვებოდა. მასთან ერთად ჟურნალისტების წინაშე წარდგა საქართველოს სახალხო ბანკის გენერალური დირექტორი გიორგი გოგუაძეც.*

ამჟამად სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმდინარეობს პენსიონერთა რეგისტრაცია. პენსია, გამარტივებული წესით, ყველა იმ პირზე გაიცემა, რომელიც წარადგენს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას. წინასწარი ვარაუდით, პენსიონერთა რიცხვი, დაახლოებით, 7 ათასს მიაღწევს. ამ საკითხებთან დაკავშირებით დაწვრილებითი ინფორმაცია "24 საათმა" გუშინ გამოაქვეყნა.

დღეს გთავაზობთ ინტერვიუს სახალხო ბანკის გენერალურ დირექტორთან გიორგი გოგუაძესთან, რომელსაც კონფლიქტის ზონაში საპენსიო თანხის დარიგების უსაფრთხოების შესახებ ვესაუბრეთ.

**- ბატონო გიორგი, თქვენი ბანკი უზრუნველყოფს თანხის პენსიონერამდე მიტანას. არსებობს თუ არა უსაფრთხოების გარანტიები?**

- პენსიის გაცემის პროცესი სულ რამდენიმე დღეში დაიწყება. ჩვენი თანამშრომლები მობილიზებულები არიან ამ საპასუხისმგებლო საქმიანობის დასაწყებად. უსაფრთხოება, რა თქმა უნდა, ყველაზე პრობლემური საკითხია. თუმცა, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების დიდი იმედი გვაქვს, რომ ბანკის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ.

**- გავრცელებული ინფორმაციით, რაღაც ინციდენტი უკვე მოხდა.**

- ამ ინფორმაციას ვერ დავადასტურებ; ჯერ სერიოზული პრობლემები არ გვქონია.

**- რამდენი ფილიალია გახსნილი ამ ეტაპზე და თუ გაიზრდება მათი რაოდენობა?**

- დღეისათვის აღნიშნულ რეგიონში სამი ფილიალია. მიმდებარე სოფლების დამატებასთან დაკავშირებით იგეგმება კიდევ 11 პუნქტის გახსნა.

**- უახლოეს მომავალში სახელმწიფო ფონდში ტენდერი ჩატარდება. როგორ ფიქრობთ, ფონდი თქვენს ბანკთან პარტნიორობას გააგრძელებს?**

- ის ნდობა, რომელიც, დაახლოებით, 700 000-მდე პენსიონერმა გამოგვიცხადა, ვფიქრობ, კარგ მომსახურებაზე მეტყველებს. გაგრძელდება თუ არა თანამშრომლობა, მომავალი გვიჩვენებს.

*ნონა მაისურაძე*

## თვითმფრინავი, რომლითაც შევარდნაძე სოხუმიდან გადმოაფრინეს, აუქციონზე გაიყიდება

იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებლო ბიურომ ავიაკომპანია "აბავიას" ქონება – თვითმფრინავი ტუ-134 დააყადაღა. თვითმფრინავის დაყადაღების საფუძველი გახდა, ისანი-სამგორის სასამართლოს 2001 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება. საქმე ისაა, რომ ავიაკომპანია "აბავიას" თბილისის საერთაშორისო აეროპორტის 70 ათასი ლარის დავალიანება დაუგროვდა - წლების მანძილზე გაწეული მომსახურების საზღაური. გარდა ამისა, "აბავიას" მინსკის საავიაციო ქარხნის დავალიანებაც გააჩნია. საუბარია, თვითმფრინავისთვის ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებზე, რომლის ღირებულებამაც 369 ათას დოლარს მიაღწია. მართალია, კომპანიამ 215 ათასის გადახდა მოახერხა, მაგრამ დარჩენილი 154 ათასი დოლარის დავალიანების დაფარვას მინსკის საავიაციო ქარხანის ადმინისტრაცია კატეგორიულად ითხოვს.

"აბავიას" წარმომადგენლის იური ლავრინენკოს განცხადებით, სანამ ავიაკომპანია მოსკოვი-თბილისის რეისებს ასრულებდა, დავალიანების გადახდა ხერხდებოდა, მაგრამ ლიცენზიის ჩამორთმევის შემდეგ მათ ვალის გასტუმრება ველარ მოახერხეს.

თბილისის სააღსრულებლო ბიუროს აღმასრულებელის ბესიკ ბუსკივაძის განცხადებით, თვითმფრინავს, რომელიც გუშინ დაყადაღდა, ჩაუტარდება აუდიტი, რის შემდეგაც განისაზღვრება თვითმფრინავის ღირებულება და დაინიშნება აუქციონი.

სხვათა შორის, აუქციონზე გასაყიდი ტუ-134-ით სოხუმის დაცემის შემდეგ თბილისში გადმოაფრინეს ედუარდ შევარდნაძე. ამ თვითმფრინავით სოხუმიდან-თბილისში ექსპრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამაც იმგზავრა.

*24 საათი*

## არძინბას მოწინააღმდეგე პარტიის ლიდერი დაიღუპა

მძიმედ დაჭრილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ამცახარას" ლიდერი გარი აიბა სოხუმის მე-2 საავადმყოფოში გუშინ გარდაიცვალა.

აიბას ავტომანქანას, რომელშიც მისი მცირეწლოვანი ქალიშვილიც იმყოფებოდა, ცეცხლი 9 ივნისს სოხუმის ცენტრში, ერთ-ერთი მიტოვებული შენობიდან გაუხსნეს. შედეგად, იგი მძიმედ დაიჭრა. "ამცახარა" არძინბას ერთ-ერთი ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციაა და ამ მკვლელობასაც სწორედ პოლიტიკას, კერძოდ, აფხაზეთში შემოდგომისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირებენ. მკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების გენერალურ პროკურატურაშია აღძრული.

*მედია-ნიუსი*

## ჩრდილოკავკასიელები მოხალისეებით იმუქრებიან

ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის განახლების შემთხვევაში, ჩრდილოეთ კავკასიის საზოგადოებრივი ორგანიზაციები აფხაზეთში მოხალისეების გაგზავნით იმუქრებიან. ამ საკითხთან დაკავშირებით სოხუმში უკვე ჩავიდნენ ადიღეს საზოგადოებრივი მოძრაობა "ადიგა ხასეს" წევრები, აგრეთვე, ყაბარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მათ შეხვედრა ჰქონდათ სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტ ვალერი არშბასთან. "საქართველოს ხელისუფლების ბოლოდროინდელი ქმედებები შეშფოთებას იწვევს. ჩვენ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრე ვართ, თუმცა ყველას შევახსენებთ, რომ ახალი ომის შემთხვევაში, მზად ვართ ნებისმიერ მეთოდებით დავიცვათ აფხაზეთის დამოუკიდებლობა", - აღინიშნა შეხვედრაზე, რომლის მონაწილეებსაც ვალერი არშბამ კონსოლიდაციისკენ მოუწოდა.

*მედია-ნიუსი*

## ირაკლი ჩუბინიშვილმა დიმიტრი ქიტოშვილი წარადგინა

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ახალი თავმჯდომარე ჰყავს. მას დღეიდან დიმიტრი ქიტოშვილი უხელმძღვანელებს. გუშინ პრეზიდენტის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ ირაკლი ჩუბინიშვილმა კომისიის თანამშრომლებს ახალი თავმჯდომარე წარუდგინა. დიმიტრი ქიტოშვილი პირველ ეტაპზე საკადრო ცვლილებების განხორციელებას არ გეგმავს. მისი თქმით, კომისიაში პრიორიტეტები - მედიის რეგულირება, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სწორი სატარიფო პოლიტიკა და კავშირგაბმულობის სისტემის რესტრუქტურიზაცია იქნება. ქიტოშვილი მიმდინარე კვირას თანამშრომლების უკეთესად გაცნობას, ხოლო უკვე მომავალი კვირიდან - კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას გეგმავს. "მოგვიწევს ბევრი პრინციპული და ნოვატორული გადაწყვეტილების მიღება" - განაცხადა ქიტოშვილმა. ადმინისტრაციის თავმჯდომარის თქმით, სახელმწიფო კომუნიკაციების საქმიანობაში იგი არავითარ შემთხვევაში არ ჩაერევა და არც უნდა ერეოდეს, მაგრამ ამ სექტორის მოქმედებები და გადაწყვეტილებები გამჭვირვალე უნდა იყოს. "ის დიდი ფინანსური ინტერესები და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც ამ სექტორში არიან თავმოყრილნი, უნდა დარეგულირდეს," - აღნიშნა ჩუბინიშვილმა. კომისიის უკვე ყოფილი თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე თანამდებობიდან ორი დღის წინ, საკუთარი განცხადების საფუძველზე გადადგა.

*ინტერ-პრესი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა ევროპის საბჭოს სტრატეგიული დაგეგმვის დირექტორატის დირექტორი ჟან ლუი ლორანი მიიღო. როგორც შეხვედრის შემდეგ ევროსაბჭოს წარმომადგენელმა ჟურნალისტებს განუცხადა, შეხვედრაზე განხილული იქნა საქართველოში მიმდინარე პროცესები. მას განსაკუთრებით აინტერესებს აჭარის მომავალ სტატუსთან დაკავშირებული საკითხები, კორუფციასთან ბრძოლის მეთოდები და საქართველოს ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. "მე კმაყოფილი ვარ, რომ ხელისუფლებას საკმაოდ ფართომასშტაბიანი რეფორმები აქვს დაგეგმილი... პირველ ყოვლისა კი იმით, რომ საქართველოს ხელისუფლება მზადაა აჭარის სტატუსის განსასაზღვრად," - აღნიშნა ლორანმა. ლორანი გუშინ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასაც ესტუმრა. იგი ცსკ-ს თავმჯდომარის მოვალეობის ახლად დანიშნულ შემსრულებელს ზურაბ ნონიკაშვილს 20 ივნისის აჭარის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ესაუბრა და ამ მხრივ ცსკ-ს მზადებას გაეცნო.

გუშინვე იგი საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და პრემიერ-მინისტრს შეხვდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი ელენე თევდორაძე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან ევროსაბჭოში საქართველოს ელჩის სასწრაფოდ დანიშვნას მოითხოვს.

თევდორაძის განცხადებით, საფრანგეთის ელჩად პარლამენტის მიერ დამტკიცებული ლანა ღოღობერიძე, რომელიც იქამდე ევროსაბჭოში საქართველოს ელჩი იყო, საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა უკან გამოიწვია და სიტყვიერი შეთანხმებით კვლავ ევროსაბჭოში გააგზავნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სექტემბერში საქართველოს პარლამენტი კანონში შესწორებას შეიტანს, რომლითაც ავტომანქანის მართვის მინდობილობები გაუქმდება.

კანონპროექტის ინიციატორი პარლამენტის იურიდიული კომიტეტია, რომლის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, კანონში შეტანილი ცვლილებები გენერალურ მინდობილობებს არ შეეხება. "ავტომობილის მართვის მინდობილობების გაუქმება კი, საგზაო პოლიციის საქმიანობაში ერთ-ერთ კორუფციულ რგოლს ამოაგდებს. კანონის მიხედვით, ავტომანქანის მეგობრისთვის გადაცემა იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მას მართვის მოწმობა და ავტომანქანის პასპორტი გააჩნია," - აღნიშნა ბეჟაშვილმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ცხინვალი.** თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლება უსაფრთხოების ზომებს ამკაცრებს. დე-ფაქტო რესპუბლიკის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, კონტროლი გაძლიერდა ფრონეს ხეობაშიც, სადაც გუშინ დილიდან ჯანდაცვის სამინისტროს დელეგაცია მორიგი სამედიცინო გამოკვლევების ჩასატარებლად 30-მდე ექიმთან ერთად გაემგზავრა. მუგუთის საგუშაგოზე თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებმა კონტროლი განსაკუთრებულად გააძლიერეს და ქართველ ჟურნალისტებს ქართულ ხეობაში ჩასვლის უფლება არ მისცეს. ამ პოსტზე დისლოცირებული ოსი ძალოვნები აცხადებენ, რომ ხელისუფლების ბრძანებით, ქართველ ჟურნალისტებს ოსურ სოფლებზე გავლის უფლებას არავითარ შემთხვევაში აღარ მისცემენ. მათივე განცხადებით, ოსურ ტერიტორიაზე გასვლის უფლებას, ქართველ ჟურნალისტებთან ერთად, პრეზიდენტის რწმუნებულს შიდა ქართლში მიხეილ ქარელსაც არ მისცემენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გალის რაიონში კრიმინოგენული ვითარების გამწვავებას 24 წლის ეკა ძიძარიას სიცოცხლე შეეწირა. წუხელ გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღებში ყაჩაღური ჯგუფი ძარცვის მიზნით თავს დაესხა ძიძარიების ოჯახს. თავდამსხმელებმა საკუთარ სახლში მოკლეს 24 წლის ეკა ძიძარია. მეზობლების მტკიცებით, თავდასხმა აშკარად ძარცვის მიზნით განხორციელდა, ძიძარია კი, შესაძლოა, იმიტომ მოკლეს, რომ მას თავდამსხმელების ამოცნობა შეეძლო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის, ალექსანდრ იაკოვენკოს განცხადებით, მოლაპარაკებათა პროცესი "საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების დარჩენის ვადების შესახებ" უახლოეს ხანში განახლდება. რაც შეეხება ქართული მხარის ინიციატივას, ბაზების სანაცვლოდ ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის თაობაზე, როგორც იაკოვენკო აცხადებს, ეს საკითხი პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას მოსკოვში ვიზიტის დროს განიხილეს და, სავარაუდოდ, მასზე მსჯელობა მომავალშიც გაგრძელდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ ხელი მოაწერა კანონს "რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ".

კანონის მიხედვით, "პრეზიდენტი შეიძლება გახდეს 35-დან 65 წლამდე ასაკის, აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას (აფხაზურს) და ბოლო ხუთი წელი ცხოვრობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე". ამასთან, პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს, საარჩევნო უბანზე, სულ მცირე, სამი წარმომადგენელი ჰყავდეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელი შიდა ქართლის განყოფილების მუშაობით უკმაყოფილოა. რეგიონში ჩასული დავით კეზერაშვილმა მასშტაბური საკადრო ცვლილებების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, რასაც შიდა ქართლის გუბერნატორიც დაეთანხმა. ბრალდება ერთადერთია - ფინანსური პოლიცია კონტრაბანდული ტვირთების მოძრაობას ხელს არ უშლის. კულუარული ინფორმაციით, ამ უწყების შიდა ქართლის განყოფილების უფროსის პოსტს აქტიური "ნაციონალი" და საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მარლენ ნადირაძე დაიკავებს; თუმცა, თავად მარლენ ნადირაძე აცხადებს, რომ კეზერაშვილი მას ამ თემაზე ჯერ არ დალაპარაკებია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროსაბჭოს სტრატეგიული დაგეგმარების დირექტორატი საქართველოს პარლამენტისგან "პროკურატურის შესახებ" და "პოლიციის შესახებ" კანონპროექტების ევროსაბჭოში წარდგენას ითხოვს. "ევროსაბჭო აღნიშნულ კანონპროექტებს შესაბამის დასკვნებს გაუკეთებს. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში პრობლემები არ უნდა ჰქონდეს," - განაცხადა ევროსაბჭოს სტრატეგიული დაგეგმარების დირექტორატის დირექტორმა ჟან ლუი ლორანმა. ლორანი მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, გააძლიეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საკუთარი მუშაობა და საქართველოს ხელისუფლებაზე კონტროლი.

მისი თქმით, აუცილებელია საქართველოს სამართალდამცველმა ორგანოებმა დამნაშავეთა დაკავებისას კანონი ზუსტად დაიცვან. **ინტერ-პრესი**

### ოფიციოზი

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 479

*2004 წლის 9 ივნისი ქ. თბილისი*

დ. ქიტოშვილის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრად და კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს დიმიტრი ქიტოშვილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრად და კომისიის თავმჯდომარედ დარჩენილი ერთი წლისა და თერთმეტი თვის ვადით.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

2004 წლის 16 ივნისს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარის ღირებულების ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2005 წლის 15 დეკემბერს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით არაუგვიანეს 2004 წლის 16 ივნისის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფარუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ქვეყანას ორგზის "სანდო" მთავრობა ჰყავს

პირველი გვერდიდან

მთავრობის მუნდირის ღირსებას ზურაბ ჟვანია პარლამენტში წარმატებით რომ დაიცავდა, ყველასთვის წინასწარვე იყო ნათელი. ამიტომ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ გუშინდელმა დებატებმა საკანონმდებლო ორგანოში საკმაოდ მშვიდად ჩაირა და ნდობის ვოტუმის მიღების გზაზე, პრემიერის გუნდს რაიმე სერიოზული დაბრკოლება არ შეხვედრია. თუმცა, სხდომათა დარბაზს რამდენჯერმე მაინც გადაუარა აღელვების ტალღამ. პირველად ეს მაშინ მოხდა, როდესაც პარლამენტარი გოჩა ფიფია მთავრობის წევრთა ეთნიკური წარმომავლობითა და რელიგიური აღმსარებლობით "დაინტერესდა".


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*მიუხედავად დეპუტატ ფიფიას გამოხდომისა, ზურაბ ჟვანიამ წარმატებით დაიცვა მთავრობის გუნდი.*

### გიჟი თავისუფალია, ბახუსის მოყვარული - არჩევანში შეუზღუდავი

სხვათა შორის, ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატის ასეთ გამოხტომას უკვე მეორედ აქვს ადგილი, მაგრამ კოლეგის მსუბუქი დატუქსვის იქით საქმე არ მიდის. მეტიც, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე მიიჩნევს, რომ "ერთ ასეთს პარლამენტი და საზოგადოება როგორმე მოითმენს". გოჩა ფიფიას "ფენომენზე" დეპუტატების შენელებული რეაქცია, ალბათ, იმით შეიძლება აიხსნას, რომ ისინი (პარლამენტარები), როგორც ჩანს, ცნობილი ანდაზით - "ერთი მახინჯი ყველა ოჯახში გამოერევა" - "ხელმძღვანელობენ".

გოჩა ფოფიას განცხადების "მთავარი ადრესატი" ზურაბ ჟვანია კი, ზუგდიდის მაჟორიტარის "ცნობისმოყვარეობას" სიამოვნებით აკმაყოფილებს: **"თუ ვინმეს აინტერესებს, ვიტყვი, რომ დაჩემი არის სომეხი და მე ამაზე სიამაყით ვსაუბრობ".**

სხვათა შორის, პრემიერ-მინისტრს სულაც არ უკვირს, რომ პარლამენტში ასეთი "ოპონენტები" ჰყავს. **"ჟვანიოფობია სპეციფიკური დაავადებაა და ის დღეს არ გაჩენილა. ერთი-ორი ასეთი ადამიანი ყოველთვის არსებობდა, თუმცა, სამწუხაროდ, არ მახსოვს, რომ რომელიმე მათგანი განკურნებულიყოს",** - სინანულით დასძენს მინისტრთა კაბინეტის მეთაური.

მთავარ განსახილველ საკითხს პარლამენტარებმა გუშინ მეორედ მაშინ გადაუხვიეს, როდესაც ვაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლევან გაჩეჩილაძემ სამთავრობო პროგრამა "კარგ სადღეგრძელოს" შეადარა.

**"ვისაც პროგრამა სადღეგრძელოდ ეჩვენება, ზედ ჭიქა ღვინო მიაყოლოს",** - ურჩია პრემიერმა მეღვინე დეპუტატს.

სასმელის ხსენებამ მანამდე ჩუმად მყოფი კობა დავითაშვილი უმალ გამოაცოცხლა.

**"მთავრობის პროგრამას ღვინო კი არა, ლუდი უნდა მიაყოლო",** - "სუფრა დაიწუნა" დავითაშვილმა და სამთავრობო პროგრამის კრიტიკას პრემიერის კრიტიკაც მიაყოლა: **"ქართველი ერი ზურაბ ჟვანიას არ ენდობა. ამიტომ მას არც ჩვენ, დეპუტატები უნდა ვენდოთ".**

სამთავრობო პროგრამისა და ალკოჰოლური სასმელის "მიზეზ-შედეგობრივი კავშირის" გარშემო გაჩაღებული დისპუტი კოტე გაბაშვილმა შეაჯამა: **"ლუდით საქართველოს მთაშიც ისმებოდა სადღეგრძელოები. იგივეს აკეთებენ გერმანიაში, ბელგიაში და ბევრ სხვა "კანფეტივით" ქვეყანაში. ისინი ლუდს სვამენ და აშენდნენ, ჩვენ კი ღვინოში ვიხრჩობთ თავს და დაქცეულები ვართ".**

ამ განსჯას კი წინ უძღოდა პრემიერ-მინისტრის მოხსენება, რომელშიც ზურაბ ჟვანიამ მოქმედი მთავრობის "ნდობათაშორისი" პერიოდი მოკლედ მიმოიხილა.

### მთავრობის "საქმენი საგმირონი"

მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე დაუფარავი სიამაყით საუბრობს მისი გუნდის მიღწევებზე. ზურაბ ჟვანია აჭარის ამბებს გამოყოფს და მას "ახალი ხელისუფლების პირველ სერიოზულ გამოცდას" უწოდებს. პრემიერის თქმით, ეს გამოცდა სამინისტროებმა კარგად ჩააბარეს, რადგან კოორდინირებულად და მიზანმიმართულად მოქმედებდნენ.

ზურაბ ჟვანია დეპუტატებს იმასაც შეახსენებს, რომ მისი პრემიერობიდან განვლილ სამ თვეში დაიძლია ქრონიკული საბიუჯეტო კრიზისი და გადასახადების ამოღება და პენსია-ხელფასების დროულად დარიგება დღეს პრობლემას უკვე აღარ წარმოადგენს. ჟვანიას განცხადებით, მიმდინარე წლის ხუთი თვის ბიუჯეტი 117 პროცენტით შესრულდა, მაგრამ ეს კიდევ არ არის ზღვარი - მთავრობა ივლისში ბიუჯეტის ახალი პროექტის შემოტანას აპირებს, რომელშიც შემოსავლითი ნაწილი, დამატებით, 180 მილიონი ლარით იქნება გაზრდილი.

მთავრობის მეთაურის თქმით, ბოლო პერიოდი გადამწყვეტი იყო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების თვალსაზრისითაც. **"10-12 წლის განმავლობაში გადაუჭრელი ბევრი პრობლემა დროის შედარებით მცირე მონაკვეთში მოგვარდა. დღეს საქართველოს უკვე კარგად გაწვრთნილი ბრძოლისუნარიანი არმია ჰყავს",** - აცხადებს ჟვანია. იგი იქვე იძლევა გაფრთხილებას, რომ მიღწეული წარმატებები მყიფე აღმოჩნდება, თუ მას სტრუქტურული ცვლილებებიც არ მოჰყვება.

პრემიერ-მინისტრს უადგილოდ ეჩვენება ზოგიერთი ოპონენტის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს მისი კაბინეტი ეკლექტურია. **"მთავრობის წევრები ერთ ბაღში არ გაზრდილან და ერთი სკოლა არ დაუმთავრებიათ, მაგრამ მათი ერთიანობა მაინც მრავალჯერ წარმოჩინდა, განსაკუთრებით - აჭარის პრობლემის მოგვარების დროს",** - აცხადებს ჟვანია.

აღსანიშნავია, რომ იმ წინსვლას, რომელსაც ქვეყანამ ბოლო პერიოდში მიაღწია, პრემიერ-მინისტრი მხოლოდ თავისი გუნდის დამსახურებით არ ხსნის. **"სტაგნაციის შემდეგ, ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი შთამბეჭდავად გამოიყურება",** - ფსიქოლოგიურ ფაქტორზეც ამახვილებს ყურადღებას მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე.

როგორც ითქვა, ახალი მთავრობის "სიკეთე" პარლამენტში გუშინ სულ ექვსმა დეპუტატმა "ვერ დაინახა". ესენი არიან: კობა დავითაშვილი (დამოუკიდებელი დეპუტატი), თემურ დოლიშვილი (ლეიბორისტული პარტია), მამუკა კაციტაძე (მემარჯვენე ოპოზიცია), ბიძინა გუჯაბიძე (ფრაქცია "მაჟორიტარი"), ზვიად ძიძიგური (ფორმალურად, ის ჯერ კიდევ ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" წევრად ითვლება) და კახა კუკავა (ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები").

თავისი პოზიციის ასახსნელად მათ რაიმე დამაჯერებელი არგუმენტი არ დაუსახელებიათ, ამიტომაც იკითხა ბესო ჯუღელმა გაკვირვებით: **"რა უნდა ქნას მთავრობამ ისეთი, ამ ხალხის ნდობა რომ დაიმსახუროს?!".**

# „ჩვენმა ვოვამ თქვენს ბუშს სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ჩააბარა"

პირველი გვერდიდან

გაკეთებულ განცხადებაში კოკოითმა სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთთან მიერთების იურიდიულ აქტუალობას გაუსვა ხაზი.

დახურული ფორმატის გამო, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს სხდომის დეტალებზე კომენტარები არ გაუკეთებია. დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის ანდრეი კოკოშინის სიტყვებით, პარლამენტი სპეციალურად სამხრეთ ოსეთის საკითხის განხილვას აღარ მიუბრუნდება; სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტთან კონსულტაციები რუსეთის სათათბიროს ფრაქციებში გაგრძელდება.

დახურული სხდომიდან გამოსული დეპუტატების განცხადებები მოწმობდნენ, რომ სამხრეთ ოსეთის საკითხის განხილვა ცხარედ და მძაფრად მიდიოდა. დეპუტატი ალექსეი მიტროფანოვი ამტკიცებდა, რომ **"თემის განხილვის ტონალობა საქართველოსათვის სასარგებლო სულაც არ იყო."** მიტროფანოვმა იქვე დრო იხელთა და გვაცნობა, რომ დახურულ სხდომაზე მან კვლავ დააყენა საქართველოდან ბადრი პატარკაციშვილის ექსტრადიციის მოთხოვნის საკითხი.

საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა დეპუტატების დაწყნარება მხოლოდ იმით შესძლო, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის თემებზე საკონონმდებლო მუშაობის გაგრძელება ურჩია.

კავკასიის საქმეთა სამუშაო ჯგუფის უფროსმა ალექსეი ვაშჩენკომ, რომელიც ედუარდ კოკითის თანაშემწეს სხდომის ბოლოს დუმის ბუფეტში ყავით "ასულიერებდა", ქართველ ჟურნალისტებს მოგვილოცა: **"ჩვენმა ვოვამ თქვენს ბუშს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ჩააბარა. ასე რომ, გიხაროდეთ!"**

# სასიკეთო პროცესების მიღმა არავინ დარჩება

გუშინ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რუსეთში კოტე კემულარიამ, "ეხო მოსკვის" ეთერში, სამხრეთ ოსეთში შექმნილ ვითარებასა და ცხინვალის ხელისუფლების მიერ უკანასკნელ დღეებში გატარებულ პოლიტიკაზე ისაუბრა.

კემულარიას თქმით, თბილისის ოფიციალური პოლიტიკა, რომელიც პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტას ეფუძნება, ხშირად აშკარა გაუგებრობას აწყდება. ხანდახან კი ამ პოლიტიკას ძალის დემონსტრირებად ნათლავენ. **"ჩვენ ეს გვესმის, რადგან ცალსახაა, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში მშვიდობაზე საუბრები მივიწყებულია და ახლა ჩვენ ურთიერთნდობის დეფიციტთან გვაქვს საქმე. ეს უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს და მზად ვართ, ვიყოთ მომთმენნი. ჩვენ არ ვაკეთებთ გათვლებს ელვისებურ ეფექტზე,"** – განაცხადა საქართველოს ელჩმა. მისივე თქმით, ამის მიუხედავად, ქართული მხარე გამოიჩენს უდრეკ ნებისყოფას და ის დიდ იმედს ამყარებს თავის პარტნიორებზე, პირველ რიგში კი - რუსეთზე.

ამავე დროს, ელჩის თქმით, ქართულმა მხარემ სამშვიდობო არსენალიდან მრავალი საშუალება უკვე აამოქმედა. მაგალითად, დაწყებულია პენსიების გაცემა და რკინიგზის აღდგენის პროცესი, ჰუმანიტარული და სამედიცინო დახმარება. დაწყებულია ოსური საინფორმაციო გადაცემების ტრანსლირება საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიით. და ეს მხოლოდ დასაწყისია.

**"საქართველოს პრეზიდენტი ყველაფერს გააკეთებს, რათა საქართველოს არც ერთი მოქალაქე არ დარჩეს იმ მიმდინარე პროცესების მიღმა, რომელიც ამ ბოლო დროს საქართველოში ხდება. იგულისხმება პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნები, რომლის მიზანია ინვესტიციებისთვის გზის გახსნა და რეგიონების ეკონომიკური აღორძინება,"** - განაცხადა ელჩმა.

*24 საათი*

# "ნდობამოპოვებული" მთავრობის პირველი სხდომა

თამარ ხორბალაძე

საქართველოს მთავრობას პარლამენტართა ნდობა სულ რამდენიმე საათის მოპოვებული ჰქონდა, როცა სახელმწიფო კანცელარიაში მთელი შემადგენლობით შეიკრიბა და 14 საკითხზე სამი საათის განმავლობაში იმსჯელა. თუმცა, მთავრობის სხდომას ბოლომდე ყველა მინისტრი არ "შემორჩენია" - პირველად სხდომა ძალოვანებმა დატოვეს, რომლებმაც ნოღაიდელთან ერთად საქართველოს პრეზიდენტთან "ჩაიარეს" და კომენტარზეც უარი თქვეს.

სხდომაზე ამობრუნებულმა ფინანსთა მინისტრმა კი ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ერთ-ერთი მთავარი განსახილველი თემა ინდივიდუალური მეწარმეებისთვის გადასახადების გაუქმების საკითხი გახლდათ. ეს ის გადაწყვეტილებაა, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა მთავრობის მთელ შემადგენლობასთან ერთად ახარა "პირიმზეში" დასაქმებულ ადამიანებს.

თუმცა გუშინ საგადასახადო კოდექსზე არ უმსჯელიათ. ეს საკითხი ბოლო კვირის განმავლობაში მთავრობის სამუშაო თათბირების მთავარი თემაა და, ჯერჯერობით, როგორც კულუარებში ამბობენ, ისევ შეუთანხმებელი გახლავთ, რადგან მინისტრ ბენდუქიძეს მინისტრ ნოღაიდელისგან განსხვავებული პოზიცია აქვს ზოგიერთ გადასახადთან, მაგალითად - დღგ-ს განაკვეთთან დაკავშირებით. ჯერჯერობით, მინისტრები ერთმანეთს "საკუთარ" ციფრებს უფრიალებენ. სავარაუდოა, რომ მთავრობა შაბათს, როცა ახალი საგადასახადო კოდექსის პრინციპების პრეზენტაციაა დაგეგმილი, საბოლოოდ მაინც კახა ბენდუქიძისეულ ვარიანტს წარადგენს.

რაც შეეხება ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების ვადას, ამის თაობაზე პრემიერმა ზურაბ ჟვანიამ განცხადება გუშინ პარლამენტში გააკეთა და დააზუსტა, რომ კოდექსს პარლამენტარები შემოდგომაზე განიხილავენ.

**"ეს კოდექსი 2005 წელს უნდა შევიდეს ძალაში, ამიტომ უმჯობესია ივლისში საპარლამენტო კომიტეტებმა კოდექსის მუხლების დამუშავებაზე იმუშაონ,"** - განაცხადა ზურაბ ჟვანიამ ხუთშაბათს პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე.

გუშინ მინისტრებმა შავი ზღვის სანაპირო ზოლში მშენებლობის აკრძალვის თემაზე იმსჯელეს; ასევე განიხილეს, როგორ უნდა გაისტუმროს სახელმწიფომ კრედიტორების მიერ სასამართლოს გზით მოთხოვნილი 47 მილიონი ლარი, სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში გათვალისწინებული 5 მილიონი ლარით. განიხილეს მწერალთა კავშირის კუთვნილი შენობების "გადაცემის" საკითხი ფიროსმანის მუზეუმისა და ლიტერატურული სახლის შესაქმნელად.

# კარგი მინისტრების „პარადი"

ვერიკო თევზაძე

გუშინ თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე ოფიციალურად წარადგინა თავდაცვის მინისტრის პოსტზე. ცერემონიას, აკადემიის ხელმძღვანელობის, კურსანტების და შეიარაღებული ძალების სახეობათა სარდლების გარდა, ყოფილი თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილიც ესწრებოდა. პრემიერ-მინისტრმა გიორგი ბარამიძე დაახასიათა, როგორც პროფესიონალი და პატრიოტი. ჟვანიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბარამიძე იმათგანია, ვინც სოხუმი ყველაზე ბოლოს დატოვა.

კარგმა მინისტრმა კარგი მინისტრი შეცვალა – ასეთი იყო ზურაბ ჟვანიას პოზიცია. მან მადლობა გადაუხადა თავდაცვის ყოფილ მინისტრს გელა ბეჟუაშვილს, რომელმაც **"მოკლე პერიოდში მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა... ბევრი კორუმპირებული გენერალი გაათავისუფლა სამსახურიდან".**


ვახო ბესელიას ფოტო

*გია ბარამიძე და გელა ბეჟუაშვილი - ახალი და ძველი კარგი მინისტრები.*

მიუხედავად მინისტრების მონაცვლეობისა, ზურაბ ჟვანია საზოგადოებას ჰპირდება, რომ ქართული არმიის განვითარება კვლავ რჩება ხელისუფლების პრიორიტეტად. **"არმიის აღმშენებლობა, უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკურ ნებას წარმოადგენს,"** - დასძინა ჟვანიამ.

ახალი თავდაცვის მინისტრი საწყის ეტაპზე საკადრო ცვლილებებს არ გეგმავს. იგი ბეჟუაშვილის პერიოდის მინისტრის მოადგილეებთან და გენერალური შტაბის ხელმძღვანელობასთან ერთად აპირებს მუშაობას. თუმცა ბარამიძე წინასწარ თავს იზღვევს და აცხადებს, რომ შეუცვლელი არავინ არის.

თავდაცვის ახალი მინისტრი იმ სამხედრო-პოლიტიკურ კურსს გააგრძელებს, რომელსაც ბეჟუაშვილი ატარებდა. თავის მხრივ, არც გელა ბეჟუაშვილმა დაიშურა საქებარი სიტყვები ბარამიძისადმი. თავდაცვის ყოფილ კარგ მინისტრს სჯერა, რომ მისი შემცვლელიც (შინაგან საქმეთა ყოფილი კარგი მინისტრი) კარგი მინისტრი იქნება.

www.klm.com
თბილისი-ამსტერდამი...
და მთელი მსოფლიო
WORLDWIDE RELIABILITY KLM nwa
3-ჯერ კვირაში „კა ელ ემ"-თან ერთად
ავიაკომპანია „კა ელ ემი" აცხადებს სპეციალურ გასაცნობ ფასებს:
393 აშშ დოლარიდან
ბილეთის შეძენის ბოლო ვადა - 15 ივნისი
გაფრენის ბოლო ვადა - 31 აგვისტო
კა ელ ემი
ჰოლანდიის სამეფო ავიახაზები
მისამართი: ხიდის ქ. 1
ტელ.: 92 00 23, 92 00 73
ფაქსი: 92 28 68
KLM
Royal Dutch Airlines


№14, ტელეფონები: 311200, 311201

# ვინ არის „ასლან აბაშიძის ნარჩენი" აჭარაში?

პირველი გვერდიდან

რომლებიც, "რესპუბლიკელთა" აზრით, **"თავს შესანიშნავად გრძნობდნენ ასლან აბაშიძის რეჟიმის დროს, ახლა კი მათ მხოლოდ პატრონი გამოიცვალეს".**

"ნაციონალური მოძრაობის" აჭარელი აქტივისტები ცალსახად აცხადებენ, რომ გამარჯვებულმა პოლიტიკურმა ძალამ ღიად გამოუცხადა ომი ასლან აბაშიძის მიერ დამკვიდრებული რეჟიმის მხარდამჭერებს. მიუხედავად ამისა, "რესპუბლიკელები" მაინც დარწმუნებულები არიან, რომ "ნაციონალების" რიგებში **"მრავლად არიან ისეთები, რომლებიც აბაშიძის ნარჩენებს წარმოადგენენ".**

"აჭარა აბაშიძის ნარჩენების გარეშე!" – ეს ის ლოზუნგია, რომლითაც "რესპუბლიკურმა პარტიამ" წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო.

მოკლედ, დაპირისპირება საკმაოდ საშიშ ზღვარს უახლოვდება. გუშინ კი უკვე ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა. ეს ხელვაჩაურში მოხდა, სადაც, გამგებლის გადადგომის მოთხოვნით, "რესპუბლიკელებმა" მიტინგი გამართეს.

საქმე ის არის, რომ პრეზიდენტის რწმუნებულმა ლევან ვარშალომიძემ გურამ თურმანიძე ამ პოსტზე მას მერე დანიშნა, რაც აწ უკვე ყოფილი გამგებელი მურმან დუმბაძე "რესპუბლიკური პარტიის" საარჩევნო სიის პირველი ნომერი გახდა.

**"პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ატყუებენ და აჭარის ხელისუფლებაში კვლავაც "აღორძინების" აქტივისტებს აბრუნებენ. ამას არ შევეგუებით,"** – აცხადებდნენ "რესპუბლიკელები", რომელთა თქმითაც, **"ხელვაჩაურის ახალი გამგებელი ხუთ მაისამდე "აღორძინების" წევრი იყო და მოსახლეობაში იარაღს არიგებდა".**

თავის მხრივ, გურამ თურმანიძე თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ ის არასდროს არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა. მან გუშინდელ აქციას "პროვოკაცია" უწოდა და განაცხადა, რომ გადადგომას არ აპირებს.

ამავე დროს, "რესპუბლიკელებს" სულ უფრო მეტი პრეტენზიები უჩნდებათ საარჩევნო ადმინისტრაციების მისამართითაც. გუშინ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფლის მოსახლეობის ნაწილი საარჩევნო ოლქის იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებდა, რომლის თანახმადაც, "რესპუბლიკელთა" მაჟორიტარობის კანდიდატს — არსენ სურმანიძეს რეგისტრაციაზე უარი ეთქვა. აქციის მონაწილეებმა ბათუმი-სარფის ავტომაგისტრალიც კი გადაკეტეს.

დავით ბერძენიშვილის თანაგუნდელები აცხადებენ, რომ კანდიდატისთვის რეგისტრაციაზე უარის თქმა უშუალოდ ლევან ვარშალომიძის დავალება იყო. თავის მხრივ, საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები და აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა ცალსახად აცხადებს, რომ კანდიდატის განაცხადი **"იურიდიულად გაუმართავი იყო და რეგისტრაციაზე უარის თქმა სწორედ ამიტომ მოხდა".**

## საქართველოს საგზაო დეპარტამენტი ტურისტული სეზონისთვის ემზადება

*ტურისტული სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით, საქართველოს საგზაო დეპარტამენტი ქვეყნის ძირითადი ტურისტული პუნქტების მიმართულებებით გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს. პროექტი, რომელიც მთლიანობაში დაახლოებით 76 მილიონი ლარი ჯდება, აგვისტოსთვის იქნება დასრულებული. ამჯერად გზების ორმოული შეკეთება, შეღებვა, არხების აღდგენა და მთლიანობაში გზების გავლადობის აღგენა ხდება.*

დიანა ჩაჩუა

გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს მთავარი ტურისტული პუნქტების მიმართულებებით განხორციელდება, მათ შორისაა ქობულეთი ორივე შესასვლელი მიმართულებით, ხულო, გზები ბორჯომის, ხაშურის და ლიკანის მიმართულებით, გუდაური, სამხედრო გზის - 14-კილომეტრიანი, ბაკურიანის - 9-კილომეტრიანი, სამტრედია და გრიგოლეთის - 57-კილომეტრიანი, ფოთის შემოსასვლელის - 4,8-კილომეტრიანი და ურეკიდან ჩოლოქამდე მონაკვეთი. ასევე, როგორც საქართველოს საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა რომან დალაქიშვილმა აღნიშნა, ისინი შეეცდებიან, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები შოვის მიმართულებითაც განახორციელონ.

გზების აღდგენითი სამუშაოები მთელი ზაფხულის განმავლობაში ჩატარდება და აგვისტოში დასრულება. სამუშაოების ამდენი ხნით გადადებას დეპარტამენტის ხელმძღვანელი იმით ხსნის, რომ **"ზამთარში შეუძლებელია სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, ამისთვის ყველაზე შესაფერისი პერიოდი ზაფხულია. სწორედ ამიტომ მთელი ზაფხულის მანძილზე მოხდება სამუშაოების ჩატარება, რომელიც დაახლოებით აგვისტოში დასრულდება,"** – აღნიშნა მან.

გზების სარეაბილიტაციო თანხებში 35 მილიონი ლარი მსოფლიო ბანკის კრედიტია, დაახლოებით ცხრა მილონი ლარი ქუვეიტის ფონდის კრედიტია, ხოლო დანარჩენი საგზაო დეპარტამენტის სახსრებია. როგორც დალაქიშვილმა "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, დეპარტამენტის შემოსავლების გეგმის გადაჭარბების გამო, შესაძლებელია, რომ მათ სარეაბილიტაციო ხარჯებზე გათვალისწინებული თანხები საგრძნობლად გაზარდონ.

### ორი სიტყვით

**თბილისი.** პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, საბითუმო ბაზრის სატრანსფერო ანგარიშებზე გაიხსნება ელექტროენერგიის კონკრეტული გამყიდველის ქვეანგარიშები. როცა კრედიტორი ენერგეტიკის ამა თუ იმ ობიექტის ანგარიშს დააყადაღებს, დაყადაღება არა მთლიანად ბაზრის სატრანსფერო ანგარიში, არამედ კონკრეტულად მისი ქვეანგარიში, რაც სხვა ენერგოორგანიზაციებს პრობლემებს აღარ შეუქმნის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ავიაბაზარს კიდევ ერთი უცხოური ავიაკომპანია შეემატა. მიმდინარე წლის 16 ივნისიდან ჰოლანდიური ავიაკომპანია "KLM" ამსტერდამი-თბილისი-ამსტერდამის მიმართულებით რეგულარულ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებს აწარმოებს. პირველი რეისის შესრულებას ავიაკომპანია "KLM" საზეიმო ღონისძიებებით აღნიშნავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგამოფენო ცენტრ "ექსპო ჯორჯიაში" დღეს სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების მეხუთე საერთაშორისო გამოფენა გაიხსნა. გამოფენაში მონაწილეობენ როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური კომპანიების წარმომადგენლობები. უცხოური კომპანიები წარმოდგენილი არიან ავსტრიიდან, აზერბაიჯანიდან, ამერიკიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან, ინდოეთიდან, იტალიიდან, რუსეთიდან, საფრანგეთიდან და სომხეთიდან. **ინტერ-პრესი**

## გზა დენის ტარიფის შემცირებისკენ მაღალჩინოსანთა კაბინეტებზე გადის

მაია ურუშაძე

*"სახელმწიფო ენერგეტიკას ცუდად ექცევა, როცა ამ დარგიდან მოგების მიღებას გეგმავს," – აცხადებს ენერგეტიკის მომხმარებელთა ომბუდსმენი დავით ებრალიძე და ამ საკითხის საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოტანას გეგმავს. რა არის ენერგეტიკა – ბიზნესი თუ კომუნალური სფერო? როგორც ჩანს, იმისათვის, რომ ენერგეტიკას განვითარების შესაძლებლობაც ჰქონდეს და ტარიფმაც დაიკლოს, უახლოეს მომავალში ენერგეტიკის ექსპერტებს რთული არჩევანის გაკეთება და ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა მოუწევთ.*


*ებრალიძე ექსპერტებს დისკუსიაზე იწვევს.*

გუშინ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან (სემეკ) დამოუკიდებლად არსებულმა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა საგანგებო მიმართვა გაავრცელა და მოუწოდა ყველა ინსტანციას, მხარი დაუჭირონ სახელმწიფო პოლიტიკის კორექტირებას ენერგეტიკისადმი, "როგორც კომუნალური სფეროსადმი". **"ეს საკითხი საეთერო დისკუსიის საგნად უნდა იქცეს. სანამ სახელმწიფო სტრუქტურები ენერგეტიკის მიმართ მიდგომას არ შეცვლიან, დარგს არაფერი ეშველება,"** – აცხადებდა ენერგეტიკის მომხმარებელთა ობმუდსმენი დავით ებრალიძე გუშინ, "24 საათთან" საუბრისას.

მისი თქმით, იმის გამო, რომ სახელმწიფოს ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული დარგის მიმართ მიდგომა ჩამოყალიბებული არა აქვს, დენის ტარიფის თემა, რაოდენ კომიკურიც არ უნდა იყოს, პოლიტიკური პარტიების ვაჭრობის საგნად იქცა.

ამიტომაც ენერგოსექტორის მომხმარებელთა ინტერესების დამცველი სახელმწიფოს სთავაზობს, ენერგოსექტორისადმი მიდგომა ეკოლოგიისადმი დამოკიდებულების ანალოგიურად შეცვალოს.

**"აშშ-შიც კი მუნიციპალური საკუთრების კომუნალური საწარმოების ტარიფები არ ითვალისწინებს მოგების წილს. მით უფრო, ჩვენი სახელმწიფო არ უნდა ითხოვდეს დივიდენდებს საბჭოთა წყობისას შექმნილი კაპიტალიდან. თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა კავშირის დროს აღნიშნული აქტივების ინვესტირების კომპონენტი მაშინდელ ტარიფში წინასწარ იყო ასახული. გამოდის, რომ ამ თანხების ტარიფში ასახვის უფლება სახელმწიფოს სამართლებრივადაც არ გააჩნია,"** – აცხადებს ებრალიძე.

მისი გათვლებით, საქართველოში დენის ტარიფს რამდენიმე ფაქტორი "ბერავს". კერძოდ, ის, რომ ენერგეტიკული ობიექტების პრივატიზაციიდან შემოსული თანხები დღეს, როგორც წესი, სახელმწიფო ბიუჯეტში მიდის და სხვადასხვა სახის ხარჯებს აფინანსებს. ამასთან, ტარიფში "საკმაოდ მოზრდილ ულუფად" არის შესული სახელმწიფოს კუთვნილ კაპიტალზე მისაღები დივიდენდებისა და ამ კაპიტალის უკან დაბრუნების კომპონენტები; იჯარის თანხა - სახელმწიფოს მიერ ფინანსური იჯარით გაცემულ აქტივებზე.

**"სახელმწიფო აძლევს საშუალებას ენერგეტიკულ კომპანიებს, რომ მათ სოლიდური ზარალი აჩვენონ და შემდეგ ეს ზარალი ტარიფში ასახონ,"** – აცხადებს ებრალიძე. შედეგი კი ისაა, რომ ამ განუკითხაობის შედეგად ერთი კილოვატსაათი დენის საზღაურად მომხმარებელს იმაზე მეტის გადახდა უწევს, ვიდრე სინამდვილეში ღირს.

ენერგეტიკის მომხმარებელთა ომბუდსმენის გათვლებით, თუ სახელმწიფო ენერგეტიკიდან მისაღებ მოგებაზე უარს იტყვის და ტარიფს გონივრულად გაიანგარიშებს, ტარიფი 15-20 პროცენტით შემცირდება.

ენერგეტიკული პოლიტიკის შემმუშავებელი ოფიციალური უწყება – ენერგეტიკის სამინისტრო - ებრალიძის თამამ მოსაზრებებს "უტოპიურს" უწოდებს. მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ხეთაგურის განმარტებით, ჯერ ერთი, ტარიფში სახელმწიფო ენერგოსაწარმოების მოგების მარჟის გაუქმების შემთხვევაში, ტარიფი თითქმის არ შემცირდება. მეორეც, ამ ეტაპზე სახელმწიფო ენერგოსაწარმოებიდან ბიუჯეტი დივიდენდებს არც ითხოვს – ენერგეტიკიდან შემოსული მთელი თანხები ისედაც დარგს ხმარდება. **"თუ ენერგოსაწარმოების კერძო მფლობელები დარგს ბიზნესად აღიქვამენ, ხოლო სახელმწიფო – კომუნალურ სფეროდ, ეს დაარღვევს სამართლიანობის პრინციპებს,"** – განუცხადა ხეთაგურმა "24 საათს". მისი განმარტებით, **"აიღებს თუ არა დივიდენდებს ამ საწარმოებიდან, ეს თავად სახელმწიფოს გადასაწყვეტია. დღეს სახელმწიფო ამ დივიდენდებს არც ითხოვს, მაგრამ მიზანშეუწონელია ტარიფიდან თავად მოგების მარჟის ამოღება სათანადო კვლევებისა და მონიტორინგის ჩატარების გარეშე."**

მიუხედავად მკვეთრად გამოხატული დაინტერესებისა, კონკრეტული პასუხისგან თავს იკავებენ ენერგოსექტორის მთავარ მარეგულირებელ ორგანოშიც. სემეკ-ის წევრის ირმა ქავთარაძის განმარტებით, **"ეს საკითხი ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს და მისი განხილვა აუცილებელია, მაგრამ ჯერ სათანადო შესწავლას საჭიროებს."**




# ისრაელი - აგრესორი თუ მუსლიმური სამყაროს მსხვერპლი

ლაშა გიორგიძე

ისრაელსა და პალესტინას შორის არსებული დაპირისპირება სათავეს 1967 წლიდან იღებს, როდესაც ებრაელმა სამხედროებმა, დასავლეთ სანაპიროს გარდა, ღაზას სექტორი, სინაის ნახევარკუნძული და სირიის სამხრეთით მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიკავეს. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა, გადასაჭრელ საკითხთა სია არ შემცირებულა.

1967 წლის მაისის დასაწყისში ეგვიპტესა და იორდანიას შორის ხელი მოეწერა პაქტს, რომლის მიხედვითაც თითოეულ მათგანზე თავდასხმა ორივე ქვეყანაზე თავდასხმად აღიქმებოდა. ქაიროში კი ომისათვის სამზადისი ბევრად ადრე იყო დაწყებული. ეგვიპტის პრეზიდენტმა ნასერმა 16 მაისს აშშ-ს სწრაფი რეაგირების საგანგებო ძალებს ეგვიპტე-ისრაელის საზღვრიდან გასვლა მოსთხოვა. 1967 წლის 27 მაისს კი ეგვიპტის პირველმა პირმა გააკეთა განცხადება: **"ჩვენი მთავარი მიზანი ისრაელის განადგურებაა. არაბ ხალხს ბრძოლის სურვილი აქვს."**

ისრაელის შეტევა არაბული სახელმწიფოების მიმართ ეგვიპტესთან შეტაკებით დაიწყო, რასაც მოგვიანებით მოჰყვა საომარი ხაზის გახსნა ჩრდილოეთით სირიასთან და დასავლეთ სანაპიროს მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაკავება. ისრაელის მიერ განხორციელებული ამ ოპერაციის შემდეგ, არაბული ქვეყნების სამხედრო ძალები მის სახელმწიფო საზღვართან განლაგდნენ. ეგვიპტეს, სირიასა და იორდანიას, რომლებიც ისრაელის უშუალო მეზობლები იყვნენ, ზურგს უმაგრებდნენ ერაყი, ქუვეითი, საუდის არაბეთი, სუდანი და ალჟირი. ისრაელის ჯარების შეტევას დასავლეთით მოჰყვა სინაის ნახევარკუნძულის მთავარი ქალაქის ელ-ანიშას დაკავება, თუმცა ისრაელის სამხედროების სვლა აქ არ შეჩერებულა. ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების შესახებ მნიშვნელოვანი იყო აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება: **"ფიქრით, სიტყვით და მოქმედებით ჩვენი პოზიცია ნეიტრალურია."** ეს კი უკვე პირდაპირი მინიშნება იყო იმისა, რომ ვაშინგტონი არ აპირებდა ომში ჩარევას, თუმცა არც იმას გამორიცხავდა, რომ მომრიგებლის როლში გამოვიდოდა.



*მიუხედავად იმისა, რომ ომის დაწყების შემდეგ თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა, გადასაჭრელ საკითხთა სია არ შემცირებულა.*

ომი ახლო აღმოსავლეთში, რომელიც ისტორიაში "ექვსდღიანი ომის" სახელით შევიდა, 1967 წლის 5 ივნისს დაიწყო და გაერო-ს უშუალო ჩარევის შემდეგ დამთავრდა, რამაც ისრაელის ჯარებს სირიის ტერიტორიაზე უფრო მეტად შესვლის საშუალება აღარ მისცა. ამ ექვსი დღის განმავლობაში ისრაელის ჯარებმა დაიკავეს ტერიტორია, რომელიც თვით ისრაელის ფართობზე რამდენიმეჯერ მეტი იყო და, რაც ყველაზე მთავარია, 1948 წლის შემდეგ ებრაელებს პირველად მიეცათ საშუალება, შემოეერთებინათ წმინდა ქალაქი იერუსალიმი. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ლევი ეშკილმა თავისი ჯარების ეს მოქმედება თავდაცვის მიზნებით ნაკარნახევ ქმედებად შერაცხა. მან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: **"ისრაელის განადგურების საფრთხე, რაც მისი შექმნის დღიდან არსებობს და რაც თითქმის სისრულეში იქნა მოყვანილი, აღარ არსებობს... 19 წლის მანძილზე ებრაელებს პირველად აქვთ საშუალება, ილოცონ გოდების კედელთან და იუდაიზმის სხვა სიწმინდეებთან იერუსალიმსა თუ ჰებრონში."**

მაშინ, როდესაც ერთმა ზესახელმწიფომ ნეიტრალური პოზიცია არჩია, მეორე ზესახელმწიფომ - საბჭოთა კავშირმა ისრაელთან დიპლომატიური კავშირი საერთოდ გაწყვიტა და არაბული ძალების დახმარებაზე თანხმობა განაცხადა. ამავე პერიოდში მოსკოვმა გაერო-ს ახალი რეზოლუციის მიღებისაკენ მოუწოდა, სადაც დაგმობილი იქნებოდა ისრაელის აგრესია მეზობელი ქვეყნების მიმართ, თუმცა უშიშროების საბჭომ ამის განხილვა სამომავლოდ გადადო. მოსკოვი, რომელსაც მჭიდრო კავშირები ჰქონდა ეგვიპტესთან, მოითხოვდა, რომ ისრაელის ჯარებს არაბული ტერიტორიის ნაწილები სასწრაფოდ დაეტოვებინათ.

მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი ერთდროულად სამ ფრონტზე იბრძოდა, ყველგან წარმატებას მიაღწია. ამ ოპერაციის შემდეგ ისრაელის მხარემ ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი დაკავებულ ტერიტორიაზე მანამ დარჩებოდა, სანამ **"მის მეზობელ არაბულ ქვეყნებთან მუდმივი მშვიდობა არ დამყარდებოდა."** ექვსდღიანი ომის შემდეგ ებრაელთა დანაკარგი 759 დაღუპულსა და 3000 დაჭრილს შეადგენდა, ხოლო არაბთა მხრიდან მსხვერპლი ბევრად მეტი იყო - 15 ათასი ადამიანი.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დასარეგულირებლად 1970 წელს ახალი სამშვიდობო გეგმა იქნა შეთავაზებული. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი უილიამ როჯერსი გამოვიდა ინიციატივით და კონფლიქტის მონაწილე მხარეებს სადავო საკითხების მოლაპარაკების მაგიდასთან განხილვა შესთავაზა. როჯერსის თქმით, მისი მთავარი მიზანი იყო **"მხარეებისათვის ხელის შეწყობა სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობის მისაღწევად."** ამავე პერიოდში შეთავაზებული იქნა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ეგვიპტისა და იორდანიის მიერ ისრაელის საზღვრების აღიარებას, ამას კი მოჰყვებოდა ებრაელთა ჯარების გაყვანა დაკავებული ტერიტორიიდან.

მოგვიანებით ვითარება შეიცვალა: 1973 წელს არაბულმა სახელმწიფოებმა დაიწყეს შეტევა ისრაელის მიმართულებით. გაიხსნა ორი ფრონტი. პირველი - ისრაელის სამხრეთით, სადაც ეგვიპტის შეიარაღებულმა ძალებმა გადაკვეთეს სუეცის არხი და მეორე - ჩრდილოეთით, სადაც სირიის შეიარაღებული ძალები ისრაელის მიერ გამაგრებული ტერიტორიისაკენ დაიძრნენ. ისრაელის თავდაცვის მინისტრმა გენერალმა მოშე დაიანმა ტელევიზიით განაცხადა: **"ჩვენ უნდა გავიაზროთ, რომ ეს ომია. ჩვენ ჩართულნი ვართ ორ ფრონტზე ბრძოლაში, ჩვენზე გაცილებით დიდი ძალების წინააღმდეგ."**

ეგვიპტისა და სირიის შეტევა ებრაელთა წმინდა დღეს, იომ ქიფურის დროს დაიწყო. საერთო მობილიზაციის პირობებში საინფორმაციო ომიც გაჩაღდა. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, ქალბატონმა გოლდა მეირმა რადიოს საშუალებით განაცხადა, რომ მოწინააღმდეგის ჯარებს "მძიმე დანაკარგები" ჰქონდათ. ამას მოჰყვა ისრაელის მხარის კიდევ ერთი ოფიციალური განცხადება, რომ "საზღვრებთან სიტუაცია დამაკმაყოფილებელი" იყო. მეორე მხრივ, ამას ემატებოდა მტკიცება ეგვიპტელთა მხრიდან, რომ მათ დაიბრუნეს სუეცის არხი და სინაის ნახევარკუნძული. ხოლო დამასკოს რადიოში აცხადებდნენ, რომ სირიის ჯარებმა დაიკავეს ისრაელის მიერ მიტაცებული ტერიტორიები, მათ შორის, უმნიშვნელოვანესი ჰერმონის მთაც. აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის ისრაელს ბევრად მეტი მეომარი, ტანკი და სამხედრო თვითმფრინავი ჰყავდა, ვიდრე ეგვიპტესა და სირიას ერთად აღებულს. მას შემდეგ, რაც ვერანაირმა სამშვიდობო ინიციატივამ შედეგი ვერ გამოიღო, ურთიერთობების გარკვევა ისევ ბრძოლის ველზე გაგრძელდა. ევროპის ქვეყნებმა განვითარებული მოვლენების შესახებ შეშფოთება გამოთქვეს. დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყებამ გააკეთა განცხადება, რომ დიდი იყო შანსი, ამ დაპირისპირებაში მეზობელი ქვეყნებიც ჩართულიყვნენ. მით უმეტეს, რომ ალჟირმა, ლიბიამ, ქუვეითმა, იორდანიამ და ლიბანმა ღიად განაცხადეს არაბული ქვეყნებისათვის მხარდაჭერის აღმოჩენის შესახებ.

მართალია, იმ დროისათვის განვითარებულ მოვლენებს ზემოთაღნიშნული არაბული ქვეყნების ამ კონფლიქტში ჩარევა არ გამოუწვევია, თუმცა პრობლემა დღემდე გადასაჭრელია. ეგვიპტესთან და სირიასთან ურთიერთობები შედარებით გარკვეულია, მაგრამ პალესტინასთან დაპირისპირება, რაც დრო გადის, უფრო მეტ სიმწვავეს იძენს. ამ ხნის მანძილზე, ისრაელ-პალესტინის დაპირისპირებას არაერთი კონფერენცია მიეძღვნა, გაფორმებულია უამრავი შეთანხმება და ხელშეკრულება. მათ შორისაა გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები 1967 წლის N242, 1973 წლის N338 და 2002 წლის N1397. გარდა ამისა, 2001 წელს შემუშავდა აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის ჯორჯ ტენეტის სახელობის გეგმა, **"ისრაელსა და პალესტინას შორის ცეცხლის შეწყვეტისა და უსაფრთხოების შესახებ."** ყველაზე მნიშვნელოვანი კი 2003 წელს მიღებული "საგზაო რუკაა", რომელშიც ყველა სამშვიდობო გეგმა და რეზოლუციაა გათვალისწინებული და ახალი ინიციატივები - შეტანილი. იგი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი მომდევნო რეზოლუცია თუ გეგმა მასთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს.

ურთიერთობის მშვიდობიანად მოგვარების ერთ-ერთი გზა არიელ შარონის მიერ შემოთავაზებული გეგმაა, ღაზას სექტორიდან და დასავლეთ სანაპიროდან ებრაელების გამოსვლის შესახებ. ამისათვის მოსამზადებელი პერიოდი 2005 წლის მარტამდე უნდა დასრულდეს, ამაში მოსახლეობის ევაკუაციაც შედის, რაც ოთხ ეტაპად უნდა განხორციელდეს. თითოეულ ეტაპზე საჭიროა მინისტრთა კაბინეტის თანხმობა, რაც ქვეყნის დღევანდელი პრემიერ-მინისტრისათვის არც ისე ადვილი მოსაპოვებელია.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღის წინ გამართული კენჭისყრის შედეგად, მინისტრთა კაბინეტმა არიელ შარონის გეგმის განხორციელებას მხარი დაუჭირა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ებრაული დასახლებები ახლავე გაუქმდება. ეს, მინიმუმ, ერთ წელიწადში მოხდება დამატებითი კენჭისყრის საფუძველზე და მისი წარმატება იმ დროისათვის არსებულ მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული. არიელ შარონმა მინისტრთა კაბინეტის ორი წევრი - ტურიზმისა და ტრანსპორტის მინისტრები, დაკავებული თანამდებობიდან მხოლოდ იმიტომ გაათავისუფლა, რომ ისინი პრემიერ-მინისტრის გეგმას არ იზიარებდნენ. ეს ფაქტი მთავრობის მეთაურს არც ისე სახარბიელო მდგომარეობაში აყენებს. მისთვის, როგორც ჩანს, ამ იდეის ხორცშესხმა და გეგმის განხორციელება პოლიტიკური სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

# წარმატებული ბანკის შედეგები

*პროკრედიტ ბანკი 2003 წლის შედეგებით კმაყოფილია. მეტიც, აქციონერებმა გადაწყვიტეს 2004 წლისთვის გაზარდონ პროკრედიტ ბანკის კაპიტალი 20 მილიონი ლარიდან 28 მილიონ ლარამდე. ამის შესახებ პროკრედიტ ბანკის წარმომადგენლებმა Merriott-ში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს.*

საქართველოში მოსახლეობის ინტერესი და ნდობა ბანკების მიმართ იზრდება. თანხის უბრალოდ შენახვა აღარ არის საკმარისი, აუცილებელია მისი სარფიანი და საიმედო განთავსება. ყოფილი მიკრო საფინანსო ბანკი ემ-ბი-ჯი ანუ პროკრედიტ ბანკი საქართველოში უკვე ხუთი წელია არსებობს. იგი წარმოადგენს საბანკო ჯგუფს, რომელიც წარმატებით ფუნქციონერებს სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და მთლიანობაში 250 ათას კლიენტს ემსახურება.

ჯგუფის აქტივების ღირებულება ერთ მილიარდ დოლარს შეადგენს. პროკრედიტ ბანკი საკრედიტო მომსახურებას უწევს ბაზარს, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ 113-მილიონიან მოსახლეობას. აღნიშნული საბანკო ჯგუფის აქციათა მფლობელები არიან წამყვანი საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები და ბანკები.

"დღეისთვის, აქტივების მაჩვენებლების მიხედვით პროკრედიტ ბანკი საქართველოს საბანკო ბაზარზე მეოთხე ადგილზეა, საკრედიტო პორტფელის სიდიდის მიხედვით მესამე პოზიციას იკავებს, ხოლო პირველ ადგილზე დომინირებს ბიზნეს კლიენტების რაოდენობით," – აცხადებს ბანკის გენერალური დირექტორი ფილიპ ზიგვარტი.



პროკრედიტ ბანკის აქციონერები კმაყოფილი დარჩნენ იმ შესანიშნავი შედეგებით, რომელსაც ბანკმა მიაღწია. ბანკის ინფორმაციით 2003 წლის ბოლოს საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 89.5 მილიონ ლარამდე, რაც 40-პროცენტიანი ზრდაა წინა წელთან შედარებით; 2004 წლის აპრილის ბოლოს ბანკის მიერ საკრედიტო პორტფელში სესხების რაოდენობამ 13134-ს მიაღწია, რაც თანხობრივად 99.7 მილიონი ლარია; კლიენტებისაგან მოზიდული სახსრები წლის განმავლობაში 76 პროცენტით გაიზარდა და შეადგინა 35 მილიონი ლარი. წმინდა მოგება კი, გადასახადების გადახდის შემდეგ 3.1 მილიონი ლარია.

"პროკრედიტ ბანკი საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზეა ორიენტირებული, სწორედ ეს საწარმოები ქმნიან ყველაზე მეტ სამუშაო ადგილს, რაც თავისთავად ეხმარება ქვეყანას უმუშევრობის პრობლემის დაძლევაში. საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით გასულ წელს პროკრედიტ ბანკმა საპროცენტო განაკვეთები სესხებზე 22%-დან 16%-დე შეამცირა, რამაც ბანკში გაცემული სესხების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა"- კმაყოფილია გენერელურ დირექტორი.

საქართველოში არსებობის განმავლობაში, პროკრედიტ ბანკის ხელშეწყობით, 38 455 სესხი გაიცა მცირე და საშუალო ბიზნესის გაფართოებისთვის, რაც საბოლოო ჯამში 185 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს.

"დღეისთვის საქართველოს მოსახლეობას პროკრედიტ ბანკის 18 ფილიალში ემსახურებიან, რადგან გასულ წელს ამ ბანკის ოთხი ახალი ფილიალი გაიხსნა ბათუმში, ზუგდიდში, თბილისის საბურთალოსა და დიდუბის რაიონებში. განსაკუთრებით ზუგდიდის ფილიალის გახსნას მივესალმებით, რადგან ეს მოვლენა ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო ამ რეგიონისათვის, არამედ მთელი საქართველოსთვის"- რითეილ ბანკინგის უფროსი ასმუს როტნე.

მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების გარდა, პროკრედიტ ბანკი კლიენტებს სადეპოზიტო ანგარიშების გახსნასაც სთავაზობს. მინიმალური თანხა, რომლითაც შესაძლებელია სადეპოზიტო ანგარიშის გახსნა პროკრედიტ ბანკში, მხოლოდ 40 ლარს შეადგენს.

პროკრედიტ ბანკი კვლავაც განაგრძობს განვითარებას, მუდმივად ცდილობს სრულყოს მომსახურების ხარისხი და დანერგოს ახალი საბანკო პროდუქტები. ბანკი მომხმარებლებს უკვე სთავაზობს პლასტიკურ ბარათებს, რომელთა მიღება და ლარში თანხის განაღდება უფასო იქნება. 2004 წლისთვის ბანკი გეგმავს ბანკომატების დადგმას, რათა საქართველოს სხვადასხვა რეგიონს სწრაფი და ხელმისაწვდომი საბანკო მომსახურება შესთავაზოს.

# “ყაზბეგი” პირველად საქართველოს მომხმარებელს ქართული ხორბლის გაუფილტრავ ლუდს - “ფშავს” სთავაზობს

კომპანია "ყაზბეგმა" პირველად საქართველოში ხორბლის გაუფილტრავი ლუდის წარმოება დაიწყო. ახალი ბრენდის - "ფშავის" - პრეზენტაცია გუშინ კომპანია “ყაზბეგის” ოფისში გაიმართა. “ფშავი” კომპანიის რუსთავის ლუდის ქარხანაში დამზადდება. პრეზენტაციას პოლიტიკოსები და შოუბიზნესის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. პრეზენტაციამ შინაურულ ატმოსფეროში ჩაიარა. კომპანიის ოფისი მოწვეულმა სტუმრებმა ამაღლებული განწყობით და ახალი ბრენდით კამყოფილებმა დატოვეს.

“ძალიან გემრიელია. სულ ვეძებდი სუპერმარკეტებში ხორბლის გაუფილტრავ ლუდს. კარგია, რომ ახლა უკვე ასეთი ქართული ლუდიც გაჩნდა ბაზარზე. არჩევანი უკვე არსებობს, ვისაც გაუფილტრავი მოსწონს ამას დალევს, ვისაც გაფილტრული - სხვას. “ფშავი” ზუსტად ისეთია, როგორც მე მიყვარს”, - კმაყოფილებას ვერ მალავდა მომღერალი მერაბ სეფაშვილი.





“ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაჩნდა ახალი ბრენდი. ახალი ბრენდი ეს უკვე ახალი სახეა, ახალი სახე ახალი მომხმარებელია, ახალი მომხმარებელი ახალი ფულია, ეს კი უკვე ახალი სამუშაო ადგილებია. ეკონომიკას ეკონომიკის მინისტრი კი არ განავითარებს, არამედ ახალი ბრენდები. ჩვენ ფულს სწორედ ბრენდში ვიხდით. საქართველო ღარიბი იყო არა იმიტომ, რომ შევარდნაძე იყო პრეზიდენტი, არამედ სწორედ იმიტომ, რომ ქვეყანში წლის განმავლობაში მხოლოდ სამი-ოთხი ახალი ბრენდი გამოდიოდა. მდიდრები მხოლოდ მას შემდეგ გავხდებით, როცა ყოველწლიურად საშუალოდ 40 ბრენდის პრეზენტაციას მოვაწყობთ, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებში ხდება”, – აღნიშნა სოციოლოგიური კვლევის ცენტრის “IPM”-ის ხელმძღვანელმა გოჩა ცქიტიშვილმა.

“კარგი გემო აქვს, არომატიც განსხვავებულია, ცოტა მომწაროა და ზუსტად ეს მომწონს”, - ასე შეაფასა “ყაზბეგის” ახალი ბრენდი პარლამენტარმა ირაკლი იაშვილმა.

ხორბლის გაუფილტრავი ლუდი მღვრიე ოქროსფერია. “ფშავი” განსაკუთრებული, მკვრივი და მაღალი ქაფით გამოირჩევა. კომპანიის მთავარი ტექნოლოგის ნიკოლოზ მაზმიშვილის შეფასებით, “ფშავის” რეცეპტი ორიგინალურია - ახალი ლუდი კახური ხორბლისგან დამზადდება, რადგანაც ის უფრო ხარისხიანია და დაბალი წებოვანობა აქვს.

კომპანიის პრეზიდენტის გოგი თოფაძის განცხადებით, "ფშავი" უკვე მეათე სახეობის ლუდია, რომელსაც "ყაზბეგი" აწარმოებს.

"იმედი მაქვს, რომ ეს ლუდიც ისეთივე წარმატებას მოიპოვებს მომხმარებელში, როგორც "ყაზბეგის" სხვა ნაწარმმა მოიპოვა. ყველა ჩვენი პროდუქცია ექსპორტზე გადის. ვიმედოვნებ, რომ ეს ახალი ბრენდი სათანადო ადგილს დაიკავებს არა მარტო ადგილობრივ ბაზარზე, არამედ საზღვარგარეთაც“, - აღნიშნა გოგი თოფაძემ.

მისივე თქმით, საქართველოში ლუდის სმის კულტურა იზრდება, ამიტომ კომპანია უახლოეს მომავალში ლუდის მოყვარულებს ახალ ლუდს – “მებადურს” შესთავაზებს, რომელსაც “ყაზბეგის” თბილისის ქარხანა დაამზადებს. კომპანიის მეთერთმეტე სახეობის ლუდის პრეზენტაცია დაახლოებით ორ კვირაში გაიმართება.

# ტაივანი ამერიკული იარაღის მასშტაბურ შესყიდვას აპირებს

ტაივანელი პარლამენტარები შეერთებულ შტატებს მომავალ კვირას ეწვევიან. მათ სურთ, რომ ვაშინგტონთან 18 მილიარდი ამერიკული დოლარის ოდენობის შეიარაღების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გააფორმონ. თუმცა, თავად ტაივანში გაცხოველებული დებატები მიმდინარეობს იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა სახელმწიფოს ამ ღირებულების იარაღის შესყიდვა, ან ეს აღჭურვილობა საერთოდ სჭირდება თუ არა.

ტაივანის თავდაცვის სამინისტროს უნდა, რომ პარლამენტმა მას 610 მილიარდი ტაივანური დოლარის (18.2 მილიარდი ამერიკული დოლარი) ოდენობით სპეციალური ბიუჯეტი დაუმტკიცოს, რომლითაც ანტისარაკეტო სისტემას “პატრიოტ პაკ-3”-ს, წყალქვეშა ნავებს და წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო თვითმფრინავებს იყიდის. ეს ბოლო ათი წლის განმავლობაში გაფორმებული უდიდესი კონტრაქტი იქნება.

თავდაცვის სამინისტრო ამტკიცებს, რომ ამ იარაღის შესყიდვა ჩინეთიდან მომდინარე მზარდი საფრთხის შესაჩერებლად აუცილებელია. ჩინეთი არ ცნობს ტაივანის სუვერენიტეტს და მის დაბრუნებას გარდაუვლად მიიჩნევს. პეკინში ძალის გამოყენებასაც არ გამორიცხავენ. ამის მიუხედავად, ტაივანის ოპოზიციის აზრით, თავდაცვის უწყების მიერ მოთხოვნილი თანხა ძალიან დიდია.

დელეგაციას პარლამენტის სპიკერი ვან ძინ-პინი უხელმძღვანელებს. იგი აშშ-ს წყნარი ოკეანის სარდლობასაც მოინახულებს ჰავაიში, ამას გარდა, დაგეგმილია მაღალი დონის შეხვედრები პენტაგონში.

“ეს შეერთებული შტატების ლობისტური ჯგუფების მცდელობაა, რომ ამერიკული იარაღის უპირატესობა წარმოაჩინონ და ტაივანის უსაფრთხოებისათვის მის მნიშვნელობას გაუსვან ხაზი,” - განაცხადა ტაივანის ერთ-ერთმა ოპოზიციონერმა პარლამენტარმა ლი ვენჩუნმა “როიტერთან” ინტერვიუში.

ვაშინგტონმა, რომელიც იარაღით ტაივანის უმსხვილესი მომმარაგებელია, ტაიპეი გააფრთხილა, რომ ის საკმარისი რაოდენობის იარაღს არ ყიდულობს, რათა ჩინეთისაგან თავი დაიცვას. აღნიშნული იარაღის ტაივანისთვის მიყიდვის ინიციატივა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ეკუთვნის, რომელმაც 2001 წელს ამ ხელშეკრულების გაფორმება სცადა, მაგრამ საბიუჯეტო პრობლემების გამო, ტაივანმა მაშინ თავი შეიკავა.

ტაივანელი პოლიტიკოსები ყველაზე ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ ახალი იარაღის შესყიდვის აუცილებლობას აყენებენ. მათი თქმით, “პატრიოტის” წინა მოდელი, რომელიც ტაივანს ამჟამად აქვს, ჩინეთის შეტევის მოსაგერიებლად სავსებით საკმარისია.

“პატრიოტის” სისტემებს “ლოკჰიდ მარტინი” აწარმოებს. ტაივანის თავდაცვის სამინისტროს გეგმით, ქვეყანამ მომავალი 15 წლის განმავლობაში “პაკ-3”-ის სამი სისტემა, დიზელზე მომუშავე 8 წყალქვეშა ნავი და “ორიონის” ტიპის წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო 12 თვითმფრინავი უნდა შეისყიდოს.

ჩინეთიდან მომდინარე საფრთხე რეალურია. პეკინს ტაივანისათვის დამიზნებული აქვს მცირე რადიუსზე მოქმედი 500 ბალისტიკური რაკეტა. ხოლო პეკინის თავდაცვის დანახარჯები, სხვადასხვა შეფასებებით, 50-70 მილიარდი ამერიკული დოლარია. თავდაცვის დანახარჯებით ჩინეთი, აშშ-სა და რუსეთის შემდეგ, მსოფლიოში მესამე ადგილზეა.

# ვითარება შეიძლება კარდინალურად შეიცვალოს



*ამასობაში ჯონ კერი რიგითი ამერიკელების გულისმოგებას განაგრძობს.*

პირველი გვერდიდან

გაზეთის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ საერთო შედეგებით, ყველა კომპონენტის მიხედვით და შემდეგ საშუალო ნიშნულის გამოყვანით ბუშის პრეზიდენტობას 51 პროცენტი დადებითად აფასებს, მაშინ, როცა 47 პროცენტი მისით უკმაყოფილოა.

მართალია, გამოკითხვების სანდოობის მაჩვენებელი არცთუ ისე მაღალია, მაგრამ იგი მაინც ნათლად ასახავს არსებულ ტენდენციებს. ჯორჯ ბუშს დემოკრატების დაწოლის გაძლება, სავარაუდოდ, მაინც გაუჭირდება. ერთი აშკარაა, წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნები ნამდვილად არ ჩაივლის მშვიდად. და კიდევ – აშშ-ს საარჩევნო სისტემა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მთელი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის გარანტირებული მხარდაჭერა გაქვს, არჩევნების მოგების გარანტიას არ გაძლევს. სწორედ ასე მოხდა წინა არჩევნებზე, როდესაც, მართალია, დემოკრატთა კანდიდატმა, ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ელ გორმა მოსახლეობის უმრავლესობის ხმები მიიღო, მაგრამ მაინც ვერ დაიკავა საპრეზიდენტო სავარძელი.

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# ა ც ხ ა დ ე ბ ს მ ი ღ ე ბ ა ს
# 2004-2005 სასწავლო წლისათვის

**საბიუჯეტო სწავლება**
**I. ფაკულტეტები, სპეციალობები, ჩასაბარებელი საგნები**

**ქართული სექტორი**

**ისტორიის ფაკულტეტი - სპეციალობები: "ისტორია", "პოლიტოლოგია", "დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია", "პოლიტიკური მართვა და პოლიტიკური ტექნოლოგიები"** - მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: უცხო ენა (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი, წერა), გეოგრაფია (ტესტი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).

**"კულტურის ისტორია (ისტორიული კულტუროლოგია)":** უცხო ენა (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი, წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი).

**"ხელოვნების ისტორია":** უცხო ენა (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი, წერა), ხელოვნების ისტორია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).

**ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტი - "ფილოსოფია-სოციალური ფილოსოფია", "რელიგიათმცოდნეობა", "სოციოლოგია", "კულტუროლოგია-საერთაშორისო კულტურული ურთიერთობები":** ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი, წერა), საქართველოს ისტორია (ტესტი), უცხო ენა (ტესტი).

**ფსიქოლოგიის ფაკულტეტი - "ფსიქოლოგია":** ბიოლოგია (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი, წერა), უცხო ენა (ტესტი).

**იურიდიული ფაკულტეტი - "სამართლისმცოდნეობა":** ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი, წერა), საქართველოს ისტორია (ტესტი), უცხო ენა (ტესტი), სამართლისმცოდნეობა (ტესტი).

**საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - "საერთაშორისო სამართალი":** უცხო ენა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი, წერა), საქართველოს ისტორია (ტესტი), სამართლისმცოდნეობა (ტესტი).

**"საერთაშორისო ურთიერთობები":** უცხო ენა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი, წერა), საქართველოს ისტორია (ტესტი), გეოგრაფია (ტესტი).

**ფილოლოგიის ფაკულტეტი - "ქართული ენა და ლიტერატურა", "ქართული ენა და ლიტერატურა - დამატებით "კლასიკური ფილოლოგია", "ქართული ენა და ლიტერატურა - დამატებით "ახალი ბერძნული ენა და ლიტერატურა", "ქართული ენა და ლიტერატურა - დამატებით "კავკასიური ენები", "ქართული ენა და ლიტერატურა - დამატებით "ლიტერატურული ურთიერთობანი და თარგმანი, თარჯიმან-რეფერენტი (უცხო ენების გაძლიერებული სწავლებით)", " საგამომცემლო-სარედაქციო საქმე":** უცხო ენა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ტესტი).

**ჟურნალისტიკის ფაკულტეტი - "ჟურნალისტიკა (პრესა, ტელე-რადიო ჟურნა-ლისტიკა, საერთაშორისო ჟურნალისტიკა)":** ქართული ენა და ლიტერატურა (წერა)-შემოქმედებითი კონკურსი; ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ტესტი), უცხო ენა (ზეპირი).

**დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი - "ანგლისტიკა", "გერმანისტიკა", "რომანისტიკა (ფრანგული)", "რომანისტიკა (ესპანური)", "რომანისტიკა (იტალიური)", "ამერიკანისტიკა":** ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი, წერა), საქართველოს ისტორია (ტესტი), შესაბამისი უცხო ენა (ზეპირი).

**აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი - "არაბული ენა და ლიტერატურა", "ებრაული ენა და ლიტერატურა", "სპარსული ენა და ლიტერატურა", "თურქული ენა და ლიტერატურა", "სომხური ენა და ლიტერატურა", "არაბული ქვეყნების ისტორია", "ირანის ისტორია", "თურქეთის ისტორია", "ასირიოლოგია":** ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი, წერა), საქართველოს ისტორია (ტესტი), უცხო ენა (ზეპირი).

**გეოგრაფიისა ფაკულტეტი - "ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია":** საქართველოს ისტორია (ტესტი), უცხო ენა (ტესტი), გეოგრაფია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**"გეოგრაფია", "გეომორფოლოგია და გეოეკოლოგია", "ჰიდროლოგია და ჰიდროეკოლოგია", "მეტეოროლოგია-ამინდის პროგნოზირება და კლიმატოლოგია":** საქართველოს ისტორია (ტესტი), გეოგრაფია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**გეოლოგიის ფაკულტეტი- "გეოლოგია":** გეოგრაფია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**"სასარგებლო წიაღისეულის ძიების გეოფიზიკური მეთოდები":** ფიზიკა (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი - "მათემატიკა", "გამოთვლითი მათემატიკა და ინფორმატიკა":** მათემატიკა (ტესტი, წერა), მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - "გამოყენებითი მათემატიკა და კომპიუტერული მეცნიერებები (გამოყენებითი მათემატიკა, ინფორმატიკა, მენეჯმენტის ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინფორმაციის დაცვის მათემატიკური მეთოდები)":** მათემატიკა (ტესტი, წერა), მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**"სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკა":** უცხო ენა (ტესტი), მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი, წერა).

**ფიზიკის ფაკულტეტი - "ფიზიკა (ფიზიკა, რადიოფიზიკა და ინფორმაციული სისტემები, მიკროელექტრონიკა და კომპიუტერული სისტემები, ფიზიკური ინფორმატიკა, ბიოპოლიმერების ფიზიკა და სამედიცინო დიაგნოსტიკის ფიზიკური საფუძვლები)":** ფიზიკა (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**ქიმიის ფაკულტეტი - "ქიმია (ქიმია, ქიმიური ექსპერტიზა, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ქიმია, ფარმაკოქიმია)":** ქიმია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**ბიოლოგიის ფაკულტეტი - "ბიოლოგია", "ბიოფარმაკოლოგია-ფარმაცია", "ბიოსამედიცინო ეკოლოგიური გენეტიკა", "ბიოსამედიცინო ტოქსიკოლოგია", "ბიოლოგიური ექსპერტიზა-დიაგნოსტიკა", ცოცხალი ბუნების დაცვა":** ბიოლოგია (ზეპირი), ქიმია (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**მედიცინის ფაკულტეტი - "სამკურნალო საქმე":** ბიოლოგია (ზეპირი), ქიმია (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**ეკონომიკის ფაკულტეტი - "ფინანსები და საბანკო საქმე", "ეკონომიკური თეორია", "სტატისტიკა", "აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი":** მათემატიკა (ტესტი, წერა), საქართველოს ისტორია (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**"მაკროეკონომიკა", "შრომის ეკონომიკა და სოციოლოგია":** მათემატიკა (ტესტი, წერა), გეოგრაფია (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**"საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები":** მათემატიკა (ტესტი, წერა), უცხო ენა (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტი - "ვაჭრობის ეკონომიკა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობები", "საბირჟო საქმე და ელექტრონული ვაჭრობა":** მათემატიკა (ტესტი, წერა), საქართველოს ისტორია (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**"მარკეტინგი", "სამრეწველო პროდუქციის ექსპერტიზა და სერთიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში", "კვების პროდუქტების ექსპერტიზა და სერთიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში", "სამრეწველო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში", "სასურსათო საქონლის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი საერთაშორისო ვაჭრობაში", "ტურიზმის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი":** მათემატიკა (ტესტი, წერა), უცხო ენა (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტი - "ეკონომიკური ინფორმატიკა", "ეკონომიკური კიბერნეტიკა":** მათემატიკა (ტესტი, წერა), მათემატიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**"ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკა და მართვა", "მენეჯმენტი", "მეწარმეობის ეკონომიკა და მართვა", "პერსონალის მართვა", "სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა", "ბიზნესის ადმინისტრირება":** მათემატიკა (ტესტი, წერა), გეოგრაფია (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**"საერთაშორისო ბიზნესის მართვა":** მათემატიკა (ტესტი, წერა), უცხო ენა (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**რუსული სექტორი**

**ფილოლოგიის ფაკულტეტი - "რუსული ენა და ლიტერატურა სლავური და აღმოსავლური ენების გაძლიერებული სწავლებით", "რუსული ენა და ლიტერატურა - დამატებით "ახალი ბერძნული ენა და ლიტერატურა", "რუსული ენა და ლიტერატურა - დამატებით "კავკასიური ენები", "რუსული ენა და ლიტერატურა - დამატებით "ლიტერატურული ურთიერთობანი და თარგმანი, თარჯიმან-რეფერენტი (უცხო ენების გაძლიერებული სწავლებით)":** უცხო ენა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ტესტი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა), რუსული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).

**"რუსული ენა და ლიტერატურა - ქართული ენა და ლიტერატურა":**

**ა) არაქართულ სკოლადამთავრებულთათვის:** ქართული ენა (წერა-წაკითხულის შინაარსი), საქართველოს ისტორია (ტესტი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა), რუსული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).

**ბ) ქართულ სკოლადამთავრებულთათვის:** რუსული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ტესტი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).

**ჟურნალისტიკის ფაკულტეტი - "ჟურნალისტიკა":** რუსული ენა და ლიტერატურა (წერა) - შემოქმედებითი კონკურსი, რუსული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ტესტი).

**გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - "ინფორმატიკა":** მათემატიკა (ტესტი, წერა), მათემატიკა (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**ფიზიკის ფაკულტეტი - "ფიზიკა (ფიზიკა, რადიოფიზიკა და ინფორმაციული სისტემები, ფიზიკური ინფორმატიკა, ბიოპოლიმერების ფიზიკა და სამედიცინო დიაგნოსტიკის ფიზიკური საფუძვლები)":** ფიზიკა (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (ტესტი).

**შენიშვნა:**

**1.** უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე ბარდება თერთმეტი უცხო ენა: რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, იტალიური, ბერძნული, არაბული, ებრაული, თურქული, სპარსული. აბიტურიენტი, სურვილის მიხედვით, ჩასაბარებლად ირჩევს ერთ-ერთ მათგანს.

**2. აბიტურიენტები, რომლებმაც დაამთავრეს არაქართული სკოლა და სურთ უნივერსიტეტში სწავლა განაგრძონ ქართულ სექტორზე:**

**ა) ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე** (გარდა იურიდიული, საერთაშორისო სამარ-თლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტებისა) გამოცდას ქართულ ენასა და ლიტერატურაში აბარებენ ქართული სკოლის პროგრამით;

**ბ) იურიდიულ, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთო-ბების ფაკულტეტებზე შემსვლელნი** ჯერ მიიღებენ ქართულ ენაში (წერა - წაკითხუ-ლის შინაარსი) ჩათვლას, ხოლო შემდეგ აბარებენ წერით გამოცდას რუსულ ენასა და ლიტერატურაში, სადაც ისეთივე მოთხოვნები წაეყენებათ, როგორც ჰუმანიტარული პრო-ფილის რუსულ განყოფილებებზე ჩამბარებლებს.

აბიტურიენტები, რომლებიც ვერ მიიღებენ ქართულ ენაში ჩათვლას, კარგავენ აღნიშ-ნულ ფაკულტეტებზე შესვლის უფლებას და შეუძლიათ საბუთები გადაიტანონ სხვა ფა-კულტეტებზე.

**გ)** არაქართულ სკოლადამთავრებულ აბიტურიენტებს, თუ ისინი წერით გამოცდას ჩააბარებენ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, უფლება ეძლევათ რუსული ენა ჩააბარონ როგორც უცხო ენა.

**დ) საბუნებისმეტყველო და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე შემსვლელი** არაქარ-თული სკოლადამთავრებული აბიტურიენტები აბარებენ წერით გამოცდას ქართულ ენაში (წაკითხულის შინაარსი).

**3. ქართული სკოლადამთავრებული აბიტურიენტები, რომლებიც შედიან რუსულ სექტორზე,** გამოცდას აბარებენ რუსულ ენასა და ლიტერატურაში, ეროვნული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის პროგრამით.

**II. საბუთების მიღება**

**1.** სტუდენტებად მიიღებიან საშუალო განათლების მქონე საქართველოსა და მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოქალაქეები, ასაკის შეუზღუდავად, რომლებიც აკმაყოფილებენ ჩარიცხვისათვის საჭირო პირობებს.

უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან მხოლოდ არასაბიუჯეტო (ფასიან) სწავლებაზე.

**2.** უნივერსიტეტში შესვლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს თანაბარი უფლებით.

**3.** აბიტურიენტებმა განცხადებას მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ თან უნდა დაურთონ **შემდეგი საბუთები:**

**ა)** საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი);

**ბ)** ოთხი ფოტოსურათი (ზომით 3X4);

**გ)** სამხედრო ბილეთი ან სამხედრო მიწერის მოწმობა და მათი ასლი (ვაჟებმა).

საბუთების ჩაბარებისას პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა აუცილებელია. U

**1988 წელს დაბადებულ ვაჟებს სამხედრო მიწერის მოწმობა არ მოეთხოვებათ.**

დამატებითი საბუთები შეუძლიათ შემოიტანონ მხოლოდ იმ აბიტურიენტებმა, რომლებიც, საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის "მიღების წესების" შესაბამისად, სარგებლობენ გასაუბრებით ან უკონკურსოდ ჩარიცხვის უფლებით.

განცხადებების მიღების პერიოდში მიმღები კომისია ყოველდღე აქვეყნებს ინფორმაციას სპეციალობების მიხედვით კონკურსში მონაწილე (მათ შორის უკონკურსოდ ჩარიცხვის უფლების მქონე) აბიტურიენტთა რაოდენობის შესახებ, ხოლო განცხადებების მიღების დამთავრებიდან მეორე დღეს, გამოცდების დაწყებამდე, გამოქვეყნდება **საბოლოო სტატისტიკა** ფაკულტეტების და სპეციალობების მიხედვით.

**4. განცხადებები მიიღება** უნივერსიტეტის მიმღები კომისიის სამდივნოს მიერ

**1 ივლისიდან 17 ივლისის ჩათვლით** ყოველდღე, 9-დან 14 საათამდე უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში.

**შენიშვნა:**

**ა)** საბუთების შემოტანა სხვა პირისაგან არ შეიძლება.

**ბ)** ერთდროულად დასწრებული სწავლების ორ სპეციალობაზე ჩაბარება არ შეიძლება. მიღების ამ წესის დარღვევისათვის აბიტურიენტი მოიხსნება გამოცდებიდან.

**გ)** საბიუჯეტო სწავლების ფორმაზე მისაღებ გამოცდებზე განმეორებით გასვლის უფლება აქვთ უნივერსიტეტის არასაბიუჯეტო (ფასიანი) სწავლების ყველა კურსის სტუდენტებს, შესაბამისი კურსის სწავლების სრული საფასურის გადახდის შემდეგ.

**დ)** არაქართულ სკოლადამთავრებულმა აბიტურიენტებმა, რომლებიც შედიან იური-დიულ, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტე-ბზე, საბუთები უნდა შემოიტანონ **14 ივლისის ჩათვლით.** 16 ივლისს მათ ჩაუტარდებათ ჩათვლა ქართულ ენაში (**წერა - წაკითხულის შინაარსი**).

აბიტურიენტები, რომლებიც ვერ მიიღებენ ქართულ ენაში ჩათვლას, კარგავენ აღნიშნულ ფაკულტეტებზე ჩაბარების უფლებას და შეუძლიათ საბუთები გადაიტანონ სხვა ფაკულტეტზე (რუსულ ან უცხოენოვან სექტორზე)

**ე)** მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული მომსახურებისათვის აბიტურიენტებმა უნდა გადაიხადონ **20 ლარი.**

ფულის გადახდა მოხდება საბუთების მიღებისას - ბიოლოგების კორპუსში.

ფულის გადახდის შესახებ ქვითარი აბიტურიენტმა თან უნდა დაურთოს უნივერსიტეტში მიღების განცხადებას და სხვა საბუთებს.

**III. მისაღები გამოცდები.**

**1.** მისაღები გამოცდები ჩატარდება **18 ივლისიდან 1 აგვისტომდე** უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში "მისაღები გამოცდების განრიგის" შესაბამისად.

**2. ყველა საგანში გამოცდაზე აბიტურიენტის პასუხის საბოლოო შეფასება ხდება ათბალიანი სისტემით.** 6-ზე (ექვსზე) ნაკლები შეფასება ითვლება არადამაკმაყოფილებლად და აბიტურიენტი იხსნება კონკურსიდან.

საგნობრივი საგამოცდო კომისიის წევრი უფლებამოსილია პროგრამის ფარგლებში შეაფასოს აბიტურიენტის ცოდნა ნებისმიერი ქულით. უმაღლეს და უარყოფით ქულას ადასტურებს კომისიის თავმჯდომარე.

მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტთა ცოდნის შეფასებისას გამომცდელები ხელმძღვანელობენ იმ კრიტერიუმებით, რომელსაც ადგენენ ფაკულტეტების მეთოდური საბჭოები, პედაგოგიკურ მეცნიერებათა და შესაბამისი საგნის სწავლების მეთოდიკის საფუძველზე.

**3. წერითი და ტესტირებული გამოცდებისათვის ცალკეულ საგნებში განსაზღვრულია ცალ-ცალკე დრო.** დროის დამთავრებისთანავე აბიტურიენტი ვალდებულია ნამუშევარი ჩააბაროს მიმღები კომისიის წარმომადგენელს. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, დაგვიანებით, ნამუშევარი აღარ მიიღება და არ გასწორდება.

**ქართულ ენასა და ლიტერატურაში** წერით გამოცდაზე:

**ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე** (გარდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტისა) აბიტურიენტს ჯერ ეძლევა ინდივიდუალური ტესტი 20 შეკითხვით. ტესტში ყველა შეკითხვა იქნება პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებების შინაარსიდან და მართლწერიდან. მოცემული პასუხებიდან აბიტურიენტმა უნდა შემოხაზოს ერთი, სწორი, პასუხი. თითოეული შეკითხვა ფასდება თითო ქულით. 20 კითხვიანი ტესტის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია.

ტესტის შესავსებად აბიტურიენტს ეძლევა 50 წუთი.

ტესტის შესრულების შემდეგ გამოცხადდება 3 თემა. დასახელებული სამი თემიდან აბიტურიენტი იეჩევს ერთ-ერთს. საგამოცდო თემები შეირჩევა საპროგრამო მასალის მიხედვით და გულისხმობს: ცალკეულ ნაწარმოებთა განხილვას, თხზულების მხატვრული თავისებურებების ანალიზს, პერსონაჟის დახასიათებას და სხვა.

თემა ფასდება 10 ქულით. თემის 6 ბალზე ნაკლები შეფასება ქულათა ჯამში არ შედის.

თემის დასაწერად აბიტურიენტს ეძლევა 3 საათი.

**ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე** შემსვლელი აბიტურიენტებისათვის ტარდება: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა) - შემოქმედებითი კონკურსი.

აბიტურიენტს ჯერ ეძლევა იდივიდუალური ტესტი 30 შეკითხვით, რომლის მიზნია შეამოწმოს აბიტურინტის ზოგადი განათლება (ძირითადად საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში)

ტესტში მოცემული პასუხებიდან აბიტურიენტმა უნდა შემოხაზოს ერთი, სწორი, პასუხი. თითოეული შეკითხვა ფასდება თითო ქულით. ტესტის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია.

ტესტის შესავსებად აბიტურიენტს ეძლევა ერთი საათი.

ტესტის შესრულების შემდეგ გამოცხადდება 4 თემა. მათგან 2 საპროგრამო თემა და 2 თავისუფალი თემა, სადაც უნდა გამოჩნდეს თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აქტუალურ პრობლემებსა თუ მოვლენებზე აბიტურიენტის თვალთახედვა. დასახელებული ოთხი თემიდან აბიტურიენტი ირჩევს ერთ-ერთს.

თემა ფასდება 10 ქულით. თემის 6 ბალზე ნაკლები შეფასება ქულათა ჯამში არ შედის.

თემის დასაწერად აბიტურიენტს ეძლევა 3 საათი.

**გ) საბუნებისმეტყველო და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე** ქართულ ენასა და ლიტერატურაში ტარდება ტესტირებული გამოცდა.

გამოცდაზე აბიტურიენტს ეძლევა ინდივიდუალური ტესტი 20 შეკითხვით. მათგან: 10 შეკითხვა პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებების შინაარსიდან, 10 შეკითხვა - მართლწერიდან.

მოცემული პასუხებიდან აბიტურიენტმა უნდა შემოხაზოს ერთი, სწორი, პასუხი. თითოეული შეკითხვა ფასდება თითო ქულით. 20 კითხვიანი ტესტის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია. ტესტის 6 ბალზე ნაკლები შეფასება ითვლება არადამაკმაყოფილებლად და აბიტურიენტი იხსნება კონკურსიდან.

ტესტის შესავსებად აბიტურიენტს ეძლევა 50 წუთი.

**რუსულ ენასა და ლიტერატურაში** ფილოლოგიის ფაკულტეტზე (რუსულ სექტორზე) წერით გამოცდაზე აბიტურიენტს მიეცემა ორი საპროგრამო და ერთი თავისუფალი თემა. აბიტურიენტი საწერად ირჩევს ერთ-ერთს. თემა ფასდება 10 ქულით.

თემის დასაწერად აბიტურიენტს ეძლევა 4 საათი.

ყველა დანარჩენ ფაკულეტებსა და სპეციალობებზე წერითი და ტესტირებული გამოცდები ტარდება ისეთივე ფორმით, როგორც ქართულ ენასა და ლიტერარურაში.

**საქართველოს ისტორიაში** ტესტირებულ გამოცდაზე აბიტურიენტს ეძლევა ინდივიდუალური ტესტი ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე 20 შეკითხვით, ხოლო საბუნებისმეტყველო და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე - 15 შეკითხვით. თითოეულ შეკითხვაზე მოცემული პასუხებიდან აბიტურიენტმა უნდა შემოხაზოს ერთი, სწორი, პასუხი. თითოეული შეკითხვა ფასდება თითო ქულით. ტესტის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია.

ტესტის შესავსებად აბიტურიენტს ეძლევა 50 წუთი.

**სამართლისმცოდნეობაში** ტესტირებულ გამოცდაზე აბიტურიენტს ეძლევა ინდივიდუალური ტესტი 10 შეკითხვით. თითოეულ შეკითხვაზე მოცემული პასუხებიდან აბიტურიენტმა უნდა შემოხაზოს ერთი, სწორი, პასუხი. თითოეული შეკითხვა ფასდება თითო ქულით. ტესტის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია.

ტესტის შესავსებად აბიტურიენტს ეძლევა 50 წუთი.

**გეოგრაფიაში** ტესტირებულ გამოცდაზე აბიტურიენტს ეძლევა ინდივიდუალური ტესტი ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე 20 შეკითხვით, ხოლო საბუნებისმეტყველო და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე - 15 შეკითხვით, მათგან ერთი - კონტურულ რუკაზე სამუშაოს შესრულებით. თითოეულ შეკითხვაზე მოცემული პასუხებიდან აბიტურიენტმა უნდა შემოხაზოს ერთი, სწორი, პასუხი. თითოეული შეკითხვა ფასდება თითო ქულით. ტესტის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია.

ტესტის შესავსებად აბიტურიენტს ეძლევა 50 წუთი.

**მათემატიკაში:**

**ა)** წერით გამოცდაზე აბიტურიენტს ეძლევა ინდივიდუალური ბილეთი. აქედან: ტესტი 12 შეკითხვით. თითოეულ შეკითხვაზე პასუხი ფასდება 0,5 ქულით.

ორი ამოცანა ან მაგალითი ალგებრიდან და ელემენტარული ფუნქციებიდან და გეომეტრიიდან (პლანიმეტრია, სტერეომეტრია). თითოეულ ამოცანაზე და მაგალითზე პასუხი ფასდება 2 ქულით. ბილეთის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია.

ტესტისა და წრითი გამოცდისთვის აბიტურიენტს ეძლევა 4 საათი (ორ-ორი საათი თითოეულისათვის).

**ბ)** ზეპირ გამოცდაზე მათემატიკას **გამარტივებული პროგრამით** აბარებენ: ქიმიის, გეოგრაფიისა და გეოლოგიის ფაკულტეტებზე, აგრეთვე "სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის" სპეციალობაზე შემსვლელი აბიტურიენტები, ხოლო ყველა დანარჩენ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე შემსვლელნი კი - **ძირითადი პროგრამით.**

**ბიოლოგიაში** ტესტირებულ გამოცდაზე ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე აბიტურიენტს ეძლევა ინდივიდუალური ტესტი 10 შეკითხვით (ბოტანიკის გარეშე). თითოეულ შეკითხვაზე მოცემული პასუხებიდან აბიტურიენტმა უნდა შემოხაზოს ერთი, სწორი, პასუხი. თითოეული შეკითხვა ფასდება თითო ქულით. ტესტის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია.

ტესტის შესავსებად აბიტურიენტს ეძლევა 1 საათი.

**ქიმიაში** ტესტირებულ გამოცდაზე მედიცინის ფაკულტეტზე აბიტურიენტს ეძლევა ინდივიდუალური ტესტი 10 შეკითხვით. თითოეულ შეკითხვაზე მოცემული პასუხებიდან აბიტურიენტმა უნდა შემოხაზოს ერთი, სწორი, პასუხი. თითოეული შეკითხვა ფასდება თითო ქულით. ტესტის საბოლოო შეფასება 10 ბალიანია.

ტესტის შესავსებად აბიტურიენტს ეძლევა 1 საათი.

**უცხო ენებში** ტესტირებული გამოცდები ტარდება: ისტორიის, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, იურიდიულ, გეოგრაფიის, ეკონომიკის, კომერციისა და მარკეტინგის, მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტებზე.

ტესტის შესავსებად აბიტურიენტს ეძლევა 1 საათი.

**IV. ჩარიცხვები**

**1. უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩარიცხვა ხდება გამოცდებზე დაგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით.**

**ნაწილობრივ გამსვლელი ქულების შემთხვევაში** ჩარიცხვის უპირატესობა ეძლევათ აბიტურიენტებს, რომლებმაც სპეციალობაში მიიღეს უფრო მაღალი შეფასება.

**2.** ყველა ფაკულტეტზე (გარდა ჟურნალისტიკის, ფიზიკის, გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა და ქიმიის ფაკულტეტებისა) **კონკურსი ტარდება სპეციალობების მიხედვით.**

ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემულ სპეციალობაზე პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის აბიტურიენტები, რომლებიც ამ სპეციალობაზე აბარებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სპეციალობაზე დარჩება აუთვისებელი ადგილები, მათზე ჩაირიცხებიან **მხოლოდ ამავე ფაკულტეტიდან** აბიტურიენტები, რომლებიც ვერ გავიდნენ თავის სპეციალობაზე კონკურსში და აქვთ ყველაზე მაღალი ქულათა ჯამი (ფაკულტეტიდან სხვა ფაკულტეტზე გადარიცხვა არ ხდება).

**3.** არასაბიუჯეტო (ფასიანი) სწავლების სტუდენტები მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით ჩაირიცხებიან პირველ კურსზე.

**შენიშვნა:** დეკანატების წარდგინებით რექტორატი სემესტრის დასაწყისში აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებს ჩარიცხავს შესაბამის კურსზე. **პირველი კურსის გამოთავისუფლებულ ადგილებზე სხვა აბიტურიენტთა ჩარიცხვა არ ხდება.**

**4.** სპეციალობაზე, თუ 5-ზე ნაკლები სტუდენტი იქნება, ჯგუფი არ გაიხსნება. ასეთ შემთხვევაში ჩარიცხვის კანდიდატ აბიტურიენტებს შეუძლიათ მონათესავე სპეციალობაზე გადასვლა, სადაც ეს შესაძლებელი იქნება.

**5. ჩარიცხულ აბიტურიენტთა სიები გამოქვეყნდება** ფაკულტეტზე გამოცდებისა და პრეტენზიების (თუ ბოლო წერითი გამოცდაა) დამთავრებიდან მეორე დღეს.

მათთან ერთად გამოქვეყნდება იმ აბიტურიენტთაA სიები, რომლებმაც ჩააბარეს ყველა გამოცდა, ვერ გავიდნენ კონკურსში, მაგრამ გახდნენ ფასიან სწავლებაზე ჩარიცხვის კანდიდატები.

მათი ჩარიცხვა მოხდება დაგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით საკუთარი გან-ცხადებისა და სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

**6. აბიტურიენტებს, რომლებმაც ჩააბარეს ერთი, ან რამდენიმე გამოცდა და არ გავიდნენ, ან ჩაიჭრნენ მომდევნო გამოცდაზე,** უფლება ეძლევათ ჩაირიცხონ არასაბიუჯეტო (ფასიანი) სწავლების იმ სპეციალობებზე, სადაც მათ მიერ ჩაბარებული საგანი ბარდება, როგორც სპეციალობა, ტესტირებული გამოცდების დროს (თუ კონკურსის შედეგად აუთვისებელი დარჩება კონტინგენტით გათვალისწინებული ადგილები).

**7. ჩარიცხვები გასაუბრებით, უკონკურსოდ.**

**გასაუბრებაზე დაიშვებიან:**

**ა) საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების შესაბამის სპეციალობებზე,**

აგრეთვე **მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე**

რესპუბლიკის მოსწავლეთა ოლიმპიადების (სოროსის) დასკვნით ტურში გამარჯვებული (პირველი ხარისხის დიპლომების მფლობელი) აბიტურიენტები.

**ბ) მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე**

**3 ადგილზე -** სპეციალობაზე "მათემატიკა":

- რესპუბლიკური მოსწავლეთა ოლიმპიადის (სოროსის) დასკვნით ტურში გამარჯვებული აბიტურიენტები;
- რესპუბლიკური მათემატიკური კონფერენციის პირველი ხარისხის

დიპლომის მქონე აბიტურიენტები;

**გ) ფიზიკის ფაკულტეტზე:**

**ადგილების 50%-ზე.**

- სპეციალიზებული ფიზიკური ან მათემატიკური სკოლების (გიმნაზიების, ლიცეუმების) კურსდამთავრებული აბიტურიენტები, რომელთა ატესტატის ნიშნების საშუალო ჯამი არაა ოთხზე ნაკლები;
- თსუ ფიზიკის ფაკულტეტთან არსებული ფიზიკა-მათემატიკური სკოლის წარჩინებით კურსდამთავრებულები;
- რესპუბლიკური მოსწავლეთა ოლიმპიადის (სოროსის) დასკვნით ტურში გამარჯვებული აბიტურიენტები;
- ნორჩ ფიზიკოსთა ან ნორჩ მათემატიკოსთა, არანაკლებ რაიონული მასშტაბის, შეჯიბრებებში გამარჯვებულები.

**უკონკურსოდ ჩაირიცხებიან** (კონტინგენტით გათვალისწინებულ ადგილებზე)

**მისაღებ გამოცდებზე დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში:**

**ა)** "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამო-უკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზოუკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1997 წლის 16 ოქტომბრის (1995 წლის 17 ოქტომბრის კანონი) კანონის შესაბამისად:

**-** ამ კატეგორიის პირთა **შვილები** და **მეუღლეები** (თუ მეორეჯერ არ არიან გათხოვილები).

**-** "სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ბრძოლის მონაწილეები და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის **საბრძოლო მოქმედების მონაწილეები**".

შესაბამისი ცნობა - მომართვა უნივერსიტეტის სახელზე გაცემული უნდა იყოს საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ (დიდუბის რაიონი, დ. ბაქრაძის 6). Y

ზოგიერთ სპეციალობებზე როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო სწავლების ფორმაზე:

**- მოსკოვის** ქართული სკოლა-გიმნაზიის (N1331) კურსდამთავრებულები

**- ქ. ვლადიკავკაზის** (ჩრდილო ოსეთის - ალანიის რესპუბლიკა) ქართული სკოლადამთავრებული აბიტურიენტები.

**- სანკტ-პეტერბურგის** "ქართული სკოლა N1"-ის კურსდამთავრებული აბიტურიენტები.

**არასაბიუჯეტო სწავლება**
**I. ფაკულტეტები, სპეციალობები**

**დასწრებული სწავლების ფორმა**

**დასწრებული სწავლების ფორმაზე მიღება იქნება ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ფაკულტეტის ყველა სპეციალობაზე.**

დასახელებული სპეციალობების გარდა, დასწრებული სწავლების ფორმაზე მიღება იქნება აგრეთვე შემდეგ სპეციალობებზე:

**ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტზე -** "პოლიტიკური სოციოლოგია და სოციალური კომუნიკაცია"

**ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე -** "ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია".

**დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეზე -** "თარგმანი ინგლისური ენიდან (მთარგმნელი-ინფორმატიკოსი)", "თარგმანი გერმანული ენიდან (მთარგმნელი-ინფორმატიკოსი)", "თარგმანი ფრანგული ენიდან (მთარგმნელი-ინფორმატიკოსი)", "ანგლისტიკა" (რუსული სექტორი), "გერმანისტიკა" (რუსული სექტორი).

**აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე** - "აღმოსავლეთის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი (არაბული ქვეყნები, ირანი, თურქეთი, ისრაელი, იაპონია, ჩინეთი) შესაბამისი ქვეყნის ენის შესწავლით".

**გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე** - "მენეჯმენტის ინფორმაციული ტექნოლოგიები" (რუსული სექტორი).

**ქიმიის ფაკულტეტზე -** "ეკოლოგია და გარემოს კონტროლი", "ქიმიური ტოქსიკოლოგია".

**მედიცინის ფაკულტეტზე -** "სტომატოლოგია".

**მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე -** "ინფორმატიკა ბიზნესში".

**საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე -** "საერთაშორისო ბიზნესი", '"ბიზნესის სამართალი (ბიზნეს-იურისტი)", "საფინანსო-საბანკო, სადაზღვევო ბიზნესი და სამართალი", "საბაჟო-საგადასახადო საქმის ორგანიზაცია და მენეჯმენტი", "სასტუმრო და ტურისტული ბიზნესი".

**ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტზე -** "ტელერეჟისურა", "კინო-ტელე საოპერატორო", "საზოგადოებრივ ურთიერთობათა კოორდინაცია", "ფერწერა", "დამდგმელი მხატვარი", "გრაფიკა", "დეკორატიული ქსოვილები", "ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება".

**დაუსწრებული სწავლების ფორმა**

**ისტორიის ფაკულტეტზე -** სპეციალობა - "ისტორია".

**იურიდიულ ფაკულტეტზე -** "სამართლისმცოდნეობა" (ქართული და რუსული სექ-ტორი).

**ფილოლოგიის ფაკულტეტზე -** "ქართული ენა და ლიტერატურა", "რუსული ენა და ლიტერატურა სლავური და აღმოსავლური ენების გაძლიერებული შესწავლით".

**გეოგრაფიისა ფაკულტეტზე -** "გეოგრაფია", "ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია".

**ეკონომიკის ფაკულტეტზე -** "ფინანსები და საბანკო საქმე", "აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი".

**კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე -** "ვაჭრობის ეკონომიკა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობები", "სამრეწველო პროდუქციის ექსპერტიზა და სერთიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში", "კვების პროდუქტების ექსპერტიზა და სერთიფიკაცია საერთაშორისო ვაჭრობაში".

**მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე -** "ეკონომიკური ინფორმატიკა", "მეწარმეობის ეკონომიკა და მართვა", "სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა", "ბიზნესის ადმინისტრირება", "ინფორმატიკა ბიზნესში".

**საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე -** ყველა სპეციალობა რაც დასწრებული სწავლების ფორმაზე.

**უცხოენოვანი სექტორი**

**საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე** - '"საერთაშორისო სამართალი".

**მედიცინის ფაკულტეტზე** - "სამკურნალო საქმე".

**კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე** - "ვაჭრობის ეკონომიკა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობები", "ტურიზმის კომერცია და სარეკლამო ბიზნესი".

**მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე** - "ეკონომიკური ინფორმატიკა", "ინფორმატიკა ბიზნესში".

**შენიშვნა:** უცხოენოვან სექტორზე მიიღებიან:
ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეები;
ბ) საქართველოს მოქალაქეები (როგორც არაქართული, ისე ქართული სკოლადამთავრებულები), თუ ისინი სწავლების ენად აირჩევენ რუსულ ენას.

**II. საბუთების მიღება. მისაღები გამოცდები**

**1. საბუთები მიიღება 1 ივლისიდან - 14 ივლისამდე** (ჩათვლით), როგორც დასწრებულ, ისე დაუსწრებელ სწავლებაზე, **5-დან 26 აგვისტომდე** - მხოლოდ დაუსწრებელ სწავლებაზე.

კონკურსში მონაწილეობისათვის აბიტურიენტს მოეთხოვება იგივე საბუთები, რაც საბიუჯეტო სწავლებაზე და **სწავლის პირველი წლის საფასურის გადახდის ქვითარი.**

აბიტურიენტს, რომელიც ვერ გავიდა კონკურსში, სწავლის საფასურის გადახდილი თანხა უკან უბრუნდება.

ფასიან სწავლებაზე ჩარიცხვის კანდიდატ აბიტურიენტებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა კონკურსში საბიუჯეტო სწავლებაზე. ჩარიცხვის შემთხვევაში სწავლის საფასურის გადახდილი თანხა უკან უბრუნდებათ.

**2.** არასაბიუჯეტო სწავლების ფორმის ყველა სპეციალობაზე (გარდა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტების სპეციალობებისა) აბიტურიენტები **ჩააბარებენ ერთ ან ორ ტესტირებულ გამოცდას სპეციალობაში,** იმავე პროგრამით რითაც ტარდება მისაღები გამოცდები საბიუჯეტო სექტორზე. კერძოდ:

**ისტორიის ფაკულტეტზე** - სპეციალობებზე: **"ისტორია", "პოლიტოლოგია", პოლიტიკური მართვა და პოლიტიკური ტექნოლოგიები", "კულტურის ისტორია (ისტორიული კულტუროლოგია)"** - საქართველოს ისტორია.

**"დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია" -** საქართველოს ისტორია, უცხო ენა (ჩათვლა).

**"ხელოვნების ისტორია და თეორია"** - ხელოვნების ისტორია.

**ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტზე -** ქართული ენა და ლიტერატურა.

**ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე -** ბიოლოგია (ბოტანიკის გარეშე).

**იურიდიულ ფაკულტეტზე** - სამართლისმცოდნეობა.

**ფილოლოგიის ფაკულტეტზე - ქართული სექტორის ყველა სპეციალობაზე,** აგრეთვე სპეციალობაზე **"სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკა"** - ქართული ენა და ლიტერატურა, ხოლო **რუსული სექტორის ყველა სპეციალობაზე** - რუსული ენა და ლიტერატურა.

**დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე -** შესაბამისი უცხო ენა.

**აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე -**სპეციალობებზე: **"არაბული ენა და ლიტერატურა", "ებრაული ენა და ლიტერატურა". "სპარსული ენა და ლიტერატურა", "თურქული ენა და ლიტერატურა", "სომხური ენა და ლიტერატურა"** - ქართული ენა და ლიტერატურა.

სპეციალობებზე: **"არაბული ქვეყნების ისტორია", "ირანის ისტორია", "თურქეთის ისტორია", "აღმოსავლეთის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი (არაბული ქვეყნები, ირანი, თურქეთი, ისრაელი, იაპონია, ჩინეთი) შესაბამისი ქვეყნის ენის შესწავლით" -** საქართველოს ისტორია.

**გეოგრაფიისა ფაკულტეტზე -** გეოგრაფია.

**გეოლოგიის ფაკულტეტზე -** სპეციალობაზე **"გეოოლოგია"** - გეოგრაფია. სპეციალობაზე **"სასარგებლო ნამარხების ძიების გეოფიზიკური მეთოდები"** - ფიზიკა.

**მექანიკა - მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა** (გარდა "სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის" სპეციალობისა), **ეკონომიკის, მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის, კომერციისა და მარკეტინგის ფაკულტეტების ყველა სპეციალობაზე** - მათემატიკა.

**ბიოლოგიის ფაკულტეტზე -** ბიოლოგია.

**მედიცინის ფაკულტეტზე -** ბიოლოგია.

**ქიმიის ფაკულტეტზე -** ქიმია.

**ფიზიკის ფაკულტეტზე -** ფიზიკა.

**საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე -** სპეციალობაზე "**ბიზნესის სამართალი (ბიზნეს-იურისტი)"** - საქართველოს ისტორია, მათემატიკა; **დანარჩენ სპეციალობებზე** - გეოგრაფია, მათემატიკა.

**ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტზე -** სპეციალობებზე: **"ტელერეჟისურა", "კინო-ტელე საოპერატორო" -** სპეციალობა.

**"საზოგადოებრივ ურთიერთობათა კოორდინაცია"** - ქართული ენა და ლიტერატურა.

**"ფერწერა", "დამდგმელი მხატვარი", "გრაფიკა", "დეკორატიული ქსოვილები", "ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება"** - ხატვა.

**შენიშვნა:**

**საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და ჟურნალისტიკის** ფაკულტეტების სპეციალობებზე არასაბიუჯეტო სწავლებისათვის ცალკე ტესტირებული გამოცდა არ ჩატარდება. ამ სპეციალობებზე კონტინგენტით გათვალისწინებულ ადგილებზე ჩაირიცხებიან აბიტურიენტები, დაგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით, რომლებმაც საბიუჯეტო სწავლების ფორმაზე ყველა საგანში მიიღეს დადებითი შეფასება და ვერ გავიდნენ კონკურსში.

**3. უცხოენოვანი სექტორის ყველა სპეციალობაზე კონტინგენტით გათვალისწინებულ ყველა ადგილზე, ტარდება ცალკე კონკურსი.**

**- "საერთაშორისო სამართლის"** სპეციალობაზე აბიტურიენტები ჩააბარებენ ერთ ტესტირებულ გამოცდას: ს ა მ ა რ თ ლ ი ს მ ც ო დ ნ ე ო ბ ა ს ა დ ა უ ც ხ ო ე ნ ა შ ი.

- სპეციალობაზე **"სამკურნალო საქმე"** - ტესტირებული გამოცდა ბ ი ო ლ ო - გ ი ა შ ი.

**- ყველა დანარჩენ სპეციალობაზე** აბიტურიენტები ჩააბარებენ ერთ, ტესტირებულ გამოცდას - მ ა თ ე მ ა ტ ი კ ა შ ი.

**4. მისაღები ტესტირებული გამოცდები ჩატარდება 15 ივლისს;**

**ა)** ტესტირებულ გამოცდებზე აბიტურიენტებს ეძლევათ განსაზღვრული დრო: მათემატიკაში 1 საათი და 30 წუთი, დანარჩენ საგნებში - 1 საათი.

გამოცდისთვის განკუთვნილი დროის დამთავრებისთანავე აბიტურიენტი ვალდებულია ნამუშევარი ჩააბაროს მიმღები კომისიის წარმომადგენელს. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში, დაგვიანებით, ნამუშევარი აღარ მიიღება და არ გასწორდება.

**ბ)** ტესტირებულ გამოცდებზე აბიტურიენტთა პასუხების შეფასება იწარმოებს 10 ბალიანი სისტემით. "სამართლისმცოდნეობის" სპეციალობაზე ექვს ბალზე ნაკლები შეფასება ითვლება არადამაკმაყოფილებლად და აბიტურიენტი იხსნება კონკურსიდან. ყველა დანარჩენ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე გამსვლელ ქულას, კონკურსისა და გამოცდების შედეგების მიხედვით, განსაზღვრავს მიმღები კომისია.

**გ)** ტესტირებულ გამოცდაზე მიღებული შეფასებით უკმაყოფილებისას აბიტურიენტს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი ნაშრომის დამატებითი განხილვა. ამისათვის მან უნდა მიმართოს მიმღებ კომისიას 16 ივლისს, 9 სთ-დან 10 საათამდე. ნაშრომის დამატებითი განხილვის შედეგი აბიტურიენტს გაეცნობა 15 საათიდან.

**პრეტენზიის განხილვის დროს აბიტურიენტის დამატებითი გამოკითხვა დაუშვებელია.**

ნიშნის გადასწორების მიზნით გამოცდის განმეორებით ჩატარება არ დაიშვება.

**5.** გამოცდების შედეგების მიხედვით ჩარიცხვის კანდიდატთა სიები გამოქვეყნდება 16 ივლისს.

**III. არასაბიუჯეტო სწავლებაზე ჩარიცხვა, ხელშეკრულებების გაფორმება**

**არასაბიუჯეტო დასწრებული სწავლების ყველა სპეციალობაზე**, (გარდა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტების სპეციალობებისა) **კონტინგენტით გათვალისწინებულ ადგილებზე** ჩაირიცხებიან:

ა) აბიტურიენტები, რომლებიც ფასიან სწავლებაზე 15 ივლისს ჩატარებული მისაღები ტესტირებული გამოცდების შედეგების მიხედვით გახდნენ ჩარიცხვის კანდიდატები.

ბ) აბიტურიენტები, რომლებმაც საბიუჯეტო სწავლების ფორმაზე ჩააბარეს ყველა გამოცდა, ვერ გავიდნენ კონკურსში, მაგრამ გახდნენ ფასიან სწავლებაზე ჩარიცხვის კანდიდატები.

გ) აბიტურიენტები, რომლებმაც საბიუჯეტო სწავლების ფორმაზე ჩააბარეს ერთი, ან რამდენიმე გამოცდა და არ გავიდნენ, ან ჩაიჭრნენ მომდევნო გამოცდაზე, მათ უფლება ეძლევათ ჩაირიცხონ არასაბიუჯეტო (ფასიანი) სწავლების იმ სპეციალობებზე, სადაც მათ ნიერ ჩაბარებული საგანი ბარდება, როგორც სპეციალობა, ტესტირებული გამოცდების დროს (თუ კონკურსის შედეგად აუთვისებელი დარჩება კონტინგენტით გათვალისწინებული ადგილები).

**2. უცხო ქვეყნის მოქალაქეები არასაბიუჯეტო სწავლების ყველა სპეციალობაზე** ჩ ა ი რ ი ც ხ ე ბ ი ა ნ გ ა ს ა უ ბ რ ე ბ ი თ.

**3.** სპეციალობაზე, თუ 5-ზე ნაკლები სტუდენტი იქნება, ჯგუფი არ გაიხსნება. ასეთ შემთხვევაში ჩარიცხვის კანდიდატ აბიტურიენტებს შეუძლიათ მონათესავე სპეციალობაზე გადასვლა, სადაც ეს შესაძლებელი იქნება.

**4. ბრძანება** არასაბიუჯეტო სწავლებაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვის შესახებ დაიწერება სათანადო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

აბიტურიენტებმა, რომლებიც საბიუჯეტი სწავლების ფორმაზე მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით გახდნენ ფასიან სწავლებაზე ჩარიცხვის კანდიდატები, ჯერ უნდა გადაიხადონ **სწავლის პირველი წლის სრული საფასური** და შემდეგ გააფორმონ სათანადო ხელშეკრულება.

არასაბიუჯეტო სექტორზე კონტრაქტს (ხელშეკრულებას) აფორმებს აბიტურიენტი. კონტრაქტის გაფორმებისას აბიტურიენტმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

**ხელშეკრულების გაფორმების ვადებია: დასწრებულ სწავლებაზე - 5-დან 26 აგვისტომდე** (ჩათვლით) **უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში.**

**5. დაუსწრებელ სწავლებაზე** აბიტურიენტები ჩაირიცხებიან **უგამოცდოდ** სპეციალური ანკეტის შევსებისა და **სწავლის პირველი წლის სრული საფასურის** გადახდის შემდეგ.

დაუსწრებელ სწავლებაზე საბუთების მიღებისა და ხელშეკრულებების გაფორმების ვადებია: **1-დან 14 ივლისამდე და 5-დან 26 აგვისტომდე.**

**სწავლის პირველი წლის საფასურია:**

**უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის:**

დასწრებული სწავლება

| ფაკულტეტი | სპეციალობა | სწავლის საფასური აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში |
|---|---|---|
| ისტორიის | დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია | $ 700 |
| | დანარჩენი სპეციალობები | $ 500 |
| ფილოსოფიისა და სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ფილოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის | ყველა სპეციალობა | $ 500 |
| იურიდიული | სამართლისმცოდნეობა | $ 1000 |
| საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების | ყველა სპეციალობა | $ 400 |
| დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის | ანგლისტიკა | $ 800 |
| | გერმანისტიკა | $ 700 |
| | დანარჩენი სპეციალობები | $ 500 |
| მექანიკა-მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის | ყველა სპეციალობა | $ 500 |
| მედიცინის | სტომატოლოგია | $ 800 |
| | სამკურნალო საქმე | $ 600 |
| ეკონომიკის | ფინანსები და საბანკო საქმე; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი | $ 800 |
| | დანარჩენი სპეციალობები | $ 500 |
| კომერციისა და მარკეტინგის | ვაჭრობის ეკონომიკა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობები | $ 600 |
| | დანარჩენი სპეციალობები | $ 500 |
| მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის | ეკონომიკური ინფორმატიკა, საერთაშორისო ბიზნესის მართვა | $ 600 |
| | დანარჩენი სპეციალობები | $ 500 |
| საერთაშორისო ბიზნესის | ბიზნესის სამართალი; საფინანსო-საბაჟო, საერთაშორისო ბიზნესი და სამართალი | $ 800 |
| | დანარჩენი სპეციალობები | $ 700 |
| ხელოვნებისა და ჰუმანიტარული პროფესიათა | საზოგადოებრივ ურთიერთობათა კოორდინაცია | $ 500 |
| | ტელერეჟისურა, კინო-ტელე საოპერატორო | $ 400 |
| | ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება, დამდგმელი მხატვარი | $ 400 |
| | ფერწერა, გრაფიკა, დეკორატიული ქსოვილები | $ 300 |

დაუსწრებელი სწავლება

| ფაკულტეტი | სპეციალობა | სწავლის საფასური აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში |
|---|---|---|
| ისტორიის | ისტორია | $ 300 |
| ფილოლოგიის | ქართული ენა და ლიტერატურა | $ 300 |
| | რუსული ენა და ლიტერატურა | $ 300 |
| იურიდიული | სამართლისმცოდნეობა | $ 700 |
| გეოგრაფიის | გეოგრაფია | $ 300 |
| | ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია | $ 300 |
| ეკონომიკის | ფინანსები და საბანკო საქმე | $ 400 |
| | აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი | $ 400 |
| კომერციისა და მარკეტინგის | ყველა სპეციალობაზე | $ 300 |
| მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის | ყველა სპეციალობაზე | $ 300 |
| საერთაშორისო ბიზნესის | ყველა სპეციალობაზე | $ 500 |

**$ 1000-ის ეკვივალენტი ლარებში:**

იურიდიული, საერთაშორისო ბიზნესის, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტების ყველა სპეციალობაზე; აგრეთვე სპეციალობებზე: ანგლისტიკა, სტომატოლოგია.

**$ 900-ის ექვივალენტი ლარებში:**

**სპეციალობებზე:** დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია, გერმანისტიკა, საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობები, სამკურნალო საქმე, ფინანსები და საბანკო საქმე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი; ეკონომიკური ინფორმატიკა, საერთაშორისო ბიზნესის მართვა, ვაჭრობის ეკონომიკა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობები.

**$ 800-ის ეკვივალენტი ლარებში:**

ყველა დანარჩენ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე.

**დამატებითი ინფორმაცია**

**1.** აბიტურიენტებს: **მისაღები გამოცდების განრიგი (ცხრილი)** მიეცემათ საბუთების შემოტანისას, **აბიტურიენტის საგამოცდო** - პირველი გამოცდის დღეს. საგამოცდოსა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე აბიტურიენტი გამოცდებზე არ დაიშვება.

**2. უნივერსიტეტის დასწრებული სწავლების სტუდენტებს** ყოველი ახალი სასწავლო წლიდან შეუძლიათ გახდნენ დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებიც:

თსუ დასწრებული სწავლების სტუდენტები, პარალელურად დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლისას, იხდიან დაუსწრებელი სწავლის საფასურის ნახევარს.

**3. უნივერსიტეტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტს,** თუკი იგი მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით ჩაირიცხება დასწრებულ სწავლებაზე, გაუნახევრდება დაუსწრებელ ფორმაზე სწავლის საფასური.

**4. გამოცდების წინა ერთთვიანი მოსამზადებელი კურსები იმუშავებს 18 ივნისიდან 18 ივლისამდე.**

კურსებზე სწავლება ფასიანია. სწავლის საფასური თითოეულ საგანში **50 ლარია.**

**5. ღია კარის დღე ჩატარდება უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში:**

**13 ივნისს**

**10 საათზე** - ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის.

**13 საათზე** - საბუნებისმეტყველო და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე შემსვლელთათვის.

**მიმღები კომისიის საინფორმაციო ბიურო იმუშავებს:**
**1 ივლისიდან 4 აგვისტომდე.**
9-დან 15 საათამდე (გამოცდების დაწყებამდე),
8-დან 20 საათამდე (გამოცდების პერიოდში).
ტელეფონი: 30 47 74

**დამატებითი ცნობებისთვის შეგიძლიათ მიაკითხოთ მიმღები კომისიის სამდივნოს სასწავლო წლის განმავლობაში, ყოველ პარასკევს, 12-დან 14 საათამდე.**

**ჩვენი მისამართია: ქ.თბილისი, საბურთალო, უნივერსიტეტის ქ. 1. თსუ მაღლივი ( X ) კორპუსი, ოთახი 201**
**ტელეფონი: 30 36 70.**

**თსუ მიმღები კომისიის სამდივნო**

*სამართალი*

# გენერალურმა პროკურატურამ „ომეგა ჯგუფის" დამფუძნებელს ბრალი თაღლითობაში დასდო

გენერალური პროკურატურის წარმომადგენელთა გამოუცხადებლობის გამო თბილისის კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოში 5 ივლისამდე გადაიდო იმ ადმინისტრაციული სარჩელის განხილვა, რომელიც „ომეგა ჯგუფის" ადვოკატებმა პროკურატურისა და შს სამინისტროს წინააღმდეგ შეიტანეს.

სარჩელში ნათქვამია, რომ 2004 წლის 19 თებერვალს „ომეგა ჯგუფის" საწარმოთა ტერიტორიაზე შინაგანი ჯარის ნაწილების დაყენებისა და საწარმოების დალუქვის გამო ფირმამ უდიდესი ზარალი განიცადა - გაჩერდა ფაბრიკისა და სტამბის მუშაობა, საწარმოების 4000-მდე მუშა-მოსამსახურე უმუშევარი დარჩა, უმოქმედობის გამო მწყობრიდან გამოდის სხვადასხვა აპარატურა.

„ომეგა ჯგუფის" ადვოკატის სოსო ბარათაშვილის განცხადებით, რამდენიმე დღის წინათ ჩატარებული განმეორებითი ინვენტარიზაციის შედეგად გაირკვა, რომ შინაგანი ჯარის ნაწილების საწარმოში ყოფნისას შპს „ოჯთ"-ს თამბაქოს ფაბრიკის საწყობიდან გატანილია სხვადასხვა დასახელების 133 ათას 902 ლარის ღირებულების სიგარეტი - „ელემი", „მალბორო", „დავიდოვი", პროდუქციას „ოჯთ"-ს მიერ შეძენილი აქციზური მარკები აკრავს და ბაზრობებსა და ჯიხურებში იყიდება.



ვახო ბესელიას ფოტო

ზაზა ოქუაშვილის საქმიანობის შესწავლას გენერალური პროკურატურა კვლავ აგრძელებს.

მოსარჩელეები სასამართლოში, საქმიანი რეპუტაციის აღდგენის გარდა, საერთო ფინანსური ზიანის განსაზღვრას მოითხოვენ, რომლის ზუსტ ოდენობას აუდიტი გაარკვევს. სოსო ბარათაშვილის თქმით, როგორც ჩანს, პროკურატურა სასამართლოში გამოუცხადებლობით ცდილობს პროცესის გაჭიანურებას.

სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ ხმაურით დაწყებული ფირმა "ომეგა ჯგუფის" დამფუძნებლის ზაზა ოქუაშვილის საქმიანობის შესწავლას გენერალური პროკურატურა კვლავ აგრძელებს და, ფირმაში გამოვლენილ დარღვევებთან ერთად, იმ კონკრეტული დამნაშავეების გვარებსაც ადგენს, ვისმა უკანონო ქმედებამაც წლების განმავლობაში ბიუჯეტი საგრძნობლად აზარალა.

თუმცა, ვიდრე პროკურატურა ქვეყნისადმი მიყენებულ ზარალს სრულად დაითვლიდეს, თავად ოქუაშვილს მამისადმი მიყენებული ზიანისთვის ბრალი თაღლითობის მუხლით წარედგინა. როგორც გენპროკურატურაში ამბობენ, შვილმა ოქუაშვილმა მამას - რობერტ ოქუაშვილს - ქონება თაღლითური გზით წაართვა, რისთვისაც ზაზა ოქუაშვილს, სავარაუდოდ, მაქსიმუმ ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ზაზა ოქუაშვილის წინააღმდეგ გენერალურ პროკურატურას თავდაპირველად რობერტ ოქუაშვილმა მიმართა და შვილი მისი ქონების უკანონოდ, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით მითვისებაში ამხილა. ჩვენი ინფორმაციით, საუბარი უნდა იყოს ფირმა "ომეგას" ქონებაზე, რომლის დამფუძნებელიც თავიდან მამა-შვილი და ოჯახის სხვა წევრები ერთად იყვნენ; მაგრამ, მამის მტკიცებით, მოგვიანებით ზაზა ოქუაშვილმა ოჯახის წევრები ჩამოიშორა, მათი ქონება გადაიფორმა და ფირმის დამფუძნებლებად და მესაკუთრედ თავად და მისი მეუღლე ნატო ჩხაიძე გამოცხადდნენ.

ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე გენპროკურატურაში ზაზა ოქუაშვილის მამის საჩივრის შეტანისთანავე აღიძრა. მართალია, იმ დროს ზაზა ოქუაშვილი საქართველოში იმყოფებოდა, მაგრამ, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, იგი მოწმის სახითაც არ დაკითხულა. ამ დროისთვის "ომეგა ჯგუფის" დამფუძნებელი საზღვარგარეთ იმყოფება და გამოძიებამ მას ბრალი დაუსწრებლად წაუყენა. ამჟამად გამოძიება შესაბამის დოკუმენტებს აგროვებს, რათა ზაზა ოქუაშვილზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდეს. თუმცა, როგორც პროკურატურის მაღალჩინოსანმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, გამოძიებისთვის ამ ეტაპზე ცნობილია ბრალდებულის ადგილსამყოფელი და არ არის გამორიცხული, რომ იგი უახლოეს მომავალში შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე იმ ქვეყნის სამართალდამცველებმა დააკავონ, რომელსაც იგი თავს აფარებს.

*24 საათი*

# აჭარის ფინანსთა ყოფილ მინისტრს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა ყოფილ მინისტრს დავით აბაშიძეს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილმა თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლით ბრალი უკვე წაუყენა და გუშინვე მიმართა სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით.

გენერალური პროკურატურის ცნობით, დავით აბაშიძეს ბრალი 333-ე, თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით წაუყენეს, რაც 3-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, ამიტომ ბრალდება მისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდებას მოითხოვს. საუბარია, ფინანსურ მაქინაციებზე, რამაც სახელმწიფო 140 ათასი ლარით და 40 ათასი აშშ დოლარით აზარალა. მას მინისტრობის პერიოდში თანხა "სანაოსნო ბანკიდან" გამოჰქონდა და არამიზნობრივად განკარგავდა.

პროკურატურის ინფორმაციით, აბაშიძე გამოძიებასთან თანამშრომლობს და მან ჩვენება უკვე მისცა. დაკავებული თბილისის პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება და მისი პატიმრობის საკითხი სასამართლომ გუშინვე განიხილა. აჭარის ფინანსთა ყოფილ მინისტრს დავით აბაშიძეს მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ აღკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. დავით აბაშიძე გუშინვე თბილისის №1 საპყრობილეში გადაიყვანეს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ფინანსთა მინისტრის დავით აბაშიძის ადვოკატის განცხადებით, ბრალდების მიერ დასახელებული სადავო თანხა აჭარის მოსახლეობის საპენსიო და ადგილობრივი პედაგოგების სახელფასო დავალიანებას მოხმარდა. შესაბამისად, ადვოკატი მიიჩნევს, რომ აჭარის ყოფილი ფინანსთა მინისტრის დაპატიმრება უკანონობაა. ადვოკატ დავით კორკოტაშვილის განცხადებით, აბაშიძე საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა. მისი მიზანი იყო პენსიების თანხები დროულად გაცემულიყო. გარდა ამისა, 2003 წელს დავით აბაშიძემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელ მეთაურს ასლან აბაშიძეს თხოვნით მიმართა, რათა ცენტრალურ ხელისუფლებასთან გადარიცხვები აღედგინა და მათი ქმედებები კანონიერ ჩარჩოებში მოექცია, რაზეც უარი მიიღო. ამის შემდეგ დავით აბაშიძემ გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. ერთი წლის შემდეგ კი აჭარის ფინანსთა ყოფილი მინისტრი გენერალურმა პროკურატურამ დააპატიმრა, რაც, ადვოკატის თქმით, აბსურდია.

*24 საათი*

# დაილუქა ყალბი დოკუმენტების დამამზადებელი ფირმა

ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, თბილისში, აღმაშენებლის გამზირის №124-ში მდებარე ფირმის „ავთანდილ ხურციძე" კუთვნილ კომპიუტერულ მომსახურების ცენტრში ყალბ დოკუმენტებს ამზადებდნენ. ყალბდებოდა საგადასახადო ინსპექციის ბლანკები, შსს-ს ცნობები ნასამართლეობის შესახებ, ბეჭდიანი წერილები და სხვა შინაარსის დოკუმენტები. გადაუდებელი ოპერატიული ღონისძიების შედეგად ოფისში ჩატარდა ჩხრეკა, ამოღებულია კომპიუტერის სისტემური ბლოკი და პრინტერი, რომელთა საშუალებითაც გაიშიფრა უამრავი ინფორმაცია ყალბი დოკუმენტების შესახებ. აღმოჩენილია თბილისის ცხრა რაიონის საგადასახადო ბლანკის სახეობა, დროებითი სამხედრო ბილეთები, ანგარიშ-ფაქტურების ფორმები და სხვა ყალბი დოკუმენტები. ამჟამად მიმდინარეობს საქმის მოკვლევა.

მიუხედავად იმისა, რომ ხე-ტყის ჭრაზე საქართველოს პრეზიდენტმა მორატორიუმი გამოაცხადა, ამ სახის დანაშაული მაინც ხდება. ფინანსურმა პოლიციამ დააკავა ავტომანქანა „კამაზი", რომელიც დატვირთული იყო 18 კუბური მეტრი ახლად მოჭრილი წიფლის ხის მორებით. წიფელი ჩოხატაურის რაიონის სოფელ მუხურას სატყეო მეურნეობაშია მოჭრილი და იგი დასახერხად გადაჰქონდათ. ფინანსური პოლიციის გამოჩენისთანავე მორების მეპატრონე გაიქცა და ტვირთი „კამაზის" მძღოლს, ვალერი კვესელავას შეატოვა. სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრულია და იგი ფინანსურმა პოლიციამ ქვემდებარეობით ეკოპოლიციას გადაუგზავნა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს და სატრანსპორტო პოლიციის თანამშრომლებმა თბილისში, ე.წ. "ბორჯომის ვაგზალში" დააკავეს 14 კუბური მეტრი ხე-ტყით დატვირთული ვაგონი. შსს ცნობით, ხე-ტყით დატვირთული ვაგონი ჩაბმული იყო სამგზავრო მატარებელზე. როგორც ცნობილია, 18 მაისიდან, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, "3 თვის განმავლობაში ხე-ტყის ჭრა, დამზადება და გადატანა აკრძალულია", ამიტომ აღნიშნული მასალა უკანონოდ ითვლება. ხე-ტყის მასალა ბორჯომში მცხოვრებ ერთ-ერთ მოქალაქეს ეკუთვნის, რომლის ვინაობა, ჯერჯერობით, არ კონკრეტდება. მასალა ბაკურიანის ტყის ზოლშია დამზადებული. ამჟამად დაკავებული მასალა ისევ "ბორჯომის" ბაქანზეა გაჩერებული. მასალის მეპატრონეს ახსნა-განმარტება ჩამოერთვა და ოქმი შედგა. თუკი სპეციალისტების დასკვნის თანახმად დადგინდა, რომ ტვირთი 400 ლარზე მეტი ღირებულებისაა, აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე. თუკი მასალა 400 ლარის ღირებულებას არ აღემატება, მაშინ მის მეპატრონეს ადმინისტრაციული სასჯელი დაეკისრება.

*24 საათი*

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** დღეს უზენაეს სასამართლოში სასამართლო სისტემის რეფორმირების 5 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება. ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც უნდა დაესწროს.

უზენაეს სასამართლოში განმარტავენ, რომ 1999 წლიდან საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში გამოცდაჩაბარებულმა კადრებმა დაიწყეს მუშაობა.

სასამართლოს რეფორმირების 5 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში უზენაეს სასამართლოში კომპიუტერიზაციის პროგრამის პრეზენტაცია, მოქანდაკე მხატვრის გია ჯაფარიძის გამოფენის გახსნა და სხვა ღონისძიებები უკვე გაიმართა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის მიერ თბილისელი „ატსტუპნიკების" ზუსტი რაოდენობის დასადგენად დაწესებულმა ვადამ 1 ივნისიდან 1 იანვრამდე გადაიწია. ამის მიზეზად „ატსტუპნიკების" სიმრავლე დასახელდა. აღნიშნულ საკითხზე სამუშაოდ ვადები გაუგრძელდებათ თბილისის რაიონების გამგეობებს, რომლებიც უშუალოდ აღრიცხავენ „ატსტუპნიკებს". დაუზუსტებელი მონაცემებით, თბილისში „ატსტუპნიკების" კატეგორიას 70 ათასამდე ოჯახი მიეკუთვნება. რამდენიმე ასეული ოჯახი უკვე გამოსახლებულია საცხოვრებელი ფართიდან და, ფაქტობრივად, ღია ცის ქვეშ არის დარჩენილი. „ბინის შემძენთა უფლებების დაცვის კავშირის" მონაცემებით, გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ამ კატეგორიის მოსახლეობამ თავიანთ საცხოვრებელ ფართში თანხა მაშინვე გადაიხადა. 30-იანი წლების შემდეგ კი დაიწყო ამ ბინების მუნიციპალიზაცია, ანუ სახელმწიფო უბინაო მოსახლეობას თვითონვე ასახლებდა ბინებში. **მედია-ნიუსი**

# როგორ გენიშნებათ პენსია?

## ინფორმაცია სხვადასხვა კატეგორიის პენსიონერებისთვის

საქართველოს საკმაოდ ფართო საკანონმდებლო ბაზა გააჩნია, თუმცა საკმაოდ მწირი - სოციალურ სფეროში. არ არსებობს ერთიანი ნორმატიული ბაზა, რომელიც აღნიშნული სფეროს მარეგულირებელ ნორმებს ცალსახად დაადგენდა. სოციალურ-ეკონომიკური უფლება წარმოადგენს კონსტიტუციური უფლებების ერთობლიობას, რომელიც მოქალაქეს შესაძლებლობას აძლევს, სახელმწიფოსგან გარკვეულ პირობებში გარკვეული მატერიალური სიკეთე მიიღოს. მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს განეკუთვნება: შრომის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, ჯანმრთელობის, სამედიცინო მომსახურებისა და სხვა უფლებები. თუმცა, ამჯერად, თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ სოციალური უზრუნველყოფის უფლებაზე, კერძოდ კი, მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფის საკითხზე.

### პენსიის სახეები და საპენსიო ასაკი

დღეისათვის საქართველოში ორი სახის პენსია ინიშნება: **სახელმწიფო** და **სოციალური**. სახელმწიფო პენსია ინიშნება:
მოხუცებულობის გამო;
შეზღუდული შესაძლებლობის (ინვალიდობის) გამო;
მარჩენალის დაკარგვის გამო.

### მოხუცებულობის პენსია

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს "შრომის კანონთა კოდექსისა" და "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის თანახმად, მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლება აქვთ მუშებსა და მოსამსახურეებს:

**ქალებს, რომელთაც შეუსრულდათ 60 წელი და აქვთ მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი;**
**მამაკაცებს, რომელთაც შეუსრულდათ 65 წელი და აქვთ მუშაობის 25 წლის სტაჟი;**

**თუ თქვენ მუდმივად ცხოვრობთ ან არანაკლებ 10 წლისა უწყვეტად იმუშავეთ მაღალმთიან რეგიონში, საპენსიო ასაკი შეგიმცირდებათ 5 წლით.**

**საპენსიო ასაკი 5 წლით გაიზრდება სოციალური პენსიის შემთხვევაში, ანუ თუ თქვენ არ გაგაჩნიათ შრომის სტაჟი, პენსიის დანიშვნის მოთხოვნის უფლება გაქვთ: მამაკაცებს 70 წლის ასაკიდან, ხოლო ქალებს 65 წლის ასაკიდან.**

**თუ თქვენ გაქვთ საჭირო სტაჟი, მაგრამ ისე შეწყვიტეთ მუშაობა, რომ არ მიგიღწევიათ იმ ასაკისთვის, რომელიც მოხუცებულობის პენსიის უფლებას იძლევა, პენსია დაგენიშნებათ ამ ასაკის დადგომის შემდეგ.**

თუ თქვენ მიეკუთვნებით ზემოჩამოთვლილ რომელიმე კატეგორიას, ანუ გაგაჩნიათ პენსიის მიღების უფლება, პენსიის დასანიშნად უნდა მიმართოთ რეგისტრაციის ადგილის მიხედვით სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონულ განყოფილებას, ნებისმიერ დროს პენსიის უფლების წარმოშობის შემდეგ, რაიმე ვადის შეუზღუდავად. განყოფილებამ, რომელმაც მიიღო დოკუმენტები, ვალდებულია, გასცეს ხელწერილი, თუ რა სახის დოკუმენტები ჩაიბარა და დამატებით რა სახის დოკუმენტების წარდგენაა საჭირო.

**გაითვალისწინეთ:**
**თუ თქვენ პენსიის დასანიშნად მიმართვის დღიდან 3 თვის ვადაში წარადგენთ ყველა დამატებით დოკუმენტს, პენსია დაგენიშნებათ მიმართვის დღიდან, ხოლო თუ 3 თვის განმავლობაში ვერ წარადგენთ ყველა საჭირო დოკუმენტს, პენსიის დანიშვნა მოხდება უკანასკნელი საბუთის წარდგენის დღიდან.**

**სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში უნდა წარადგენოთ შემდეგი დოკუმენტები:**
**შრომის წიგნაკი, ან ოფიციალური საარქივო მონაცემის საფუძველზე გაცემული ცნობა მუშა-მოსამსახურის სამუშაოზე მიღებისა და გათავისუფლების შესახებ;**
**პასპორტი, ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;**
**ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;**
**ცნობა გამომუშავების შესახებ.**

მოხუცებულობის პენსია ინიშნება სამუდამოდ, მნიშვნელობა არ აქვს, ხართ თუ არა შრომისუნარიანი.

### შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (ინვალიდობის) პენსია

ინვალიდობის პენსია ენიშნებათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, შეზღუდული შესაძლებლობის დადგომისას, ე.ი შრომისუნარიანობის მუდმივად ან ხანგრძლივად დაკარგვის შემთხვევაში. შრომისუნარიანობის დაკარგვის მიხედვით ინვალიდები სამ ჯგუფად იყოფა. ინვალიდობის ჯგუფების განსაზღვრა ხდება სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს მიერ. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინვალიდობის დადგომის დროის განსაზღვრა, ინვალიდობის დადგომის დღედ ითვლება მისი დადგენის დღე.

**ინვალიდობის პენსია გენიშნებათ, თუ შრომისუნარიანობა დაკარგეთ:**

შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების შედეგად;
საერთო დაავადების შედეგად.

შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში, რაც დაკავშირებული არ არის მუშაობასთან, პენსია ინიშნება ისევე, როგორც საერთო დაავადების გამო შრომისუნარიანობის დაკარგვისას.

შრომითი დასახიჩრებით ან პროფესიული დაავადებით გამოწვეული ინვალიდობის პენსიის დანიშვნისთვის, განსხვავებით საერთო დაავადებით გამოწვეული ინვალიდობის დროს პენსიის დანიშვნისგან, მუშაობის სტაჟის არსებობა საჭირო არ არის.

**საერთო დაავადებით გამოწვეული ინვალიდობის დროს პენსიის დანიშვნისას გესაჭიროებათ გარკვეული შრომითი სტაჟის არსებობა. კერძოდ:**

| ასაკი | მამაკაცები | ქალები | თუ თქვენ მუშაობდით ჯანმრთელობისთვის მძიმე სამუშაოებზე |
|---|---|---|---|
| 20-23 | 2 წ. | 1 წ. | 1. წ |
| 23-26 | 3 წ. | 2 წ. | 2 წ. |
| 26-31 | 5 წ. | 3 წ. | 3 წ. |
| 31-36 | 7 წ. | 5 წ. | 5 წ. |
| 36-41 | 10 წ. | 7 წ. | 6 წ. |
| 41-46 | 12 წ. | 9 წ. | 7 წ. |
| 46-51 | 14 წ. | 11 წ. | 8 წ. |
| 51-56 | 16 წ. | 13 წ. | 10 წ. |
| 56-61 | 18 წ. | 14 წ. | 12 წ. |
| 61-მეტი | 20 წ. | 15 წ. | 14 წ. |

**თუ თქვენ საერთო დაავადების შედეგად 20 წლის ასაკის მიღწევამდე დაინვალიდდით, პენსია გენიშნებათ:**

**თუ დაინვალიდდით მუშაობის პერიოდში ან მისი შეწყვეტის შემდეგ მუშაობის სტაჟის მიუხედავად;**
**თუ დაინვალიდდით მუშაობის დაწყებამდე არანაკლებ ერთი წლის მუშაობის სტაჟის არსებობისას.**

**თუ თქვენ საერთო დაავადების გამო მუშაობის დაწყებამდე დაინვალიდდით და 20 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ მიმართეს პენსიის დასანიშნად, პენსიის მიღების უფლება წარმოგეშობათ იმ შემთხვევაში, თუ გაგაჩნიათ მუშაობის სტაჟი, რომელიც აუცილებელია თქვენი ასაკის პენსიის დასანიშნად მიმართვისათვის (ზემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად).**

**იმ შემთხვევაში, როცა ინვალიდობის დადგენის დღესა და პენსიის დასანიშნად მიმართვის დღეს შორის ერთ წელზე მეტი არ არის გასული, საჭირო სტაჟი განისაზღვრება ინვალიდობის დადგენის დროისთვის არსებული ასაკის მიხედვით.**

**თუ თქვენ დასახიჩრებისა და პროფესიული დაავადებით ინვალიდობის პენსიიდან გადაყვანილი იქნებით საერთო დაავადებით ინვალიდობის პენსიაზე, ანუ დამძიმდება თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა, საჭირო სტაჟი განისაზღვრება ინვალიდობის პირვანდელი დადგენის დროისათვის არსებული ასაკის მიხედვით.**

სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს მიერ შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი შეიძლება განისაზღვროს როგორც გარკვეული ვადით, ისე უვადოდ.

**გახსოვდეთ:**
**თუ თქვენ შრომისუნარიანობა შეზღუდული გაქვთ გარკვეული ვადით და სამედიცინო-სოციალური ექპერტიზის ბიუროში ინვალიდობის ჯგუფის გადასამოწმებლად დადგენილ ვადაში არ გამოცხადდით, პენსიის გაცემა გიჩერდებათ და გაგრძელდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სამედიცინო ექპერტიზის გასავლელად შესაბამის ორგანოში გამოცხადდებით და განგესაზღვრებათ ინვალიდობის რომელიმე ჯგუფი. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ თქვენი გამოუცხადებლობა განპირობებულია საპატიო მიზეზით და განმეორებითი ექსპერტიზის შემდეგ ინვალიდობა კვლავ დადგინდება, პენსია მოგეცემათ მთელი იმ დროის განმავლობაში, რა პერიოდშიც არსებობდა საპატიო მიზეზი.**

**თუკი ხელახალი შემოწმების დროს მოხდება ინვალიდობის ჯგუფის შეცვლა, პენსიის ახალი ოდენობით გაცემა უნდა მოხდეს ინვალიდობის ჯგუფის შეცვლის დღიდან.**

**იმ შემთხვევაში, თუ ხელახლა შემოწმებისას შრომისუნარიანად იქენით მიჩნეული, პენსია მოგეცემათ იმ თვის ბოლომდე, რომელშიც თქვენ შრომისუნარიანად მიგიჩნიეს, მაგრამ არა უმეტეს იმ დღისა, რომლის ჩათვლითაც დადგენილი გქონდათ ინვალიდობა.**

**შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი უვადოდ უდგინდება:**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რომელსაც ჯანმრთელობის მოსლის გამო აქვს ორგანიზმის სისტემების და ორგანოთა მყარი, შეუქცევადი მორფოლოგიური ცვლილებები და ფუნქციური დარღვევები, როცა ჩატარებული რეაბილიტაციური ღონისძიებები არ იძლევა ეფექტს, არ ხდება დარღვეული ქმედუნარიანობის აღდგენა ან გაუმჯობესება ბიუროში არანაკლებ 5 წლის დაკვირვების შემდეგ;
სამხედრო ვალდებულების შესრულებისას მიღებული ტრავმის ან დაავადების, სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვული ობიექტების ავარიის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მამაკაცს 55 წლის ასაკის ზევით, ხოლო ქალს - 50 წლის ასაკის ზევით;
ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურისა და სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების სხვა ბირთვული ობიექტების ავარიის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რომელმაც გადაიტანა ნებისმიერი სახის სხივური დაავადება - ასაკის მიუხედავად;
საპენსიო ასაკს გადაცილებულ პირს (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სტატუსის გადამოწმება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ამ პირთა განცხადებით, ან თუ ბიუროს მიერ დასკვნა გაცემულია ყალბი საბუთების საფუძველზე);
პირს, რომელსაც შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი დაუდგინდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნუსხით გათვალისწინებული დაავადებებით, ანატომიური ან გონებრივი დეფექტებით.
**პენსიის დასანიშნად განცხადებას უნდა დაურთოთ შემდეგი დოკუმენტები:**

**მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი;**
**ცნობა, ან სხვა დოკუმენტი გამომუშავების შესახებ;**
**სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი;**
**თუ შრომისუნარიანობის შეზღუდვა შრომითი დასახიჩრების შედეგია, უნდა წარადგინოთ აქტი უბედური შემთხვევის შესახებ.**

**გაითვალისწინეთ:**
**იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაინვალიდდით დანაშაულის ჩადენის დროს, რისთვისაც თავისუფლების აღკვეთა გქონდათ მისჯილი, ინვალიდობის პენსია დაგენიშნებათ ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის შემთხვევაში. ამასთან, სტაჟში ჩაითვლება მუშაობა მხოლოდ სასჯელის მოხდის შემდეგ.**

### პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო

მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის მიღების უფლება აქვს გარდაცვლილის ოჯახის შრომისუუნარო წევრებს, რომლებიც მის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ. კმაყოფაზე მყოფად კი ითვლება პირი, თუ ის იმყოფება სრულ კმაყოფაზე ან იღებდა მისგან დახმარებას, რაც მათი არსებობის საშუალებათა მუდმივი და ძირითადი წყარო იყო.

**ოჯახის შრომისუუნარო წევრებად ითვლებიან:**

**შვილები, ძმები, დები და შვილიშვილები, რომელთაც არ შესრულებიათ 16 წელი, მოსწავლეებს 18 წლამდე, სტუდენტებს 23 წლამდე ან ამ ასაკზე ზევით, თუ ისინი არიან ბავშვობიდან ინვალიდები. ამასთან, ძმები, დები და შვილიშვილები იმ პირობით, თუ მათ არ ჰყავთ შრომისუნარიანი მშობლები;**
**მამა, დედა, ცოლი, ქმარი, თუ მათ მიაღწიეს მოხუცებულობის ასაკს;**
**ერთ-ერთი მშობელი ან მეუღლე ასაკისა და შრომისუნარიანობის მიუხედავად, თუ იგი უვლის გარდაცვლილი მარჩენალის შვილებს, რომელთაც არ შესრულებიათ 8 წელი;**
**პაპა და ბებია, თუ მათ არ ჰყავთ პირები, რომლებიც კანონით ვალდებულნი არიან, არჩინონ ისინი;**

გარდაცვლილის შვილებსა და შრომისუუნარო მშობლებს, რომლებიც გარდაცვლილის კმაყოფაზე არ იმყოფებოდნენ, უფლება აქვთ, მიიღონ პენსია, თუ მათ დაკარგეს საარსებო წყარო.

კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა წესი, რაც გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს შეეხება, შესაბამისად, ვრცელდება უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახებზეც.

ორივე მშობლის კმაყოფაზე მყოფ შვილებს უფლება აქვთ, მიიღონ პენსია მამის ან დედის გარდაცვალების გამო იმ შემთხვევაშიც, თუ მეორე მშობელი მუშაობს.

გარდაცვლილის მეუღლეს მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის მიღების უფლება აქვს, თუ მან მოხუცებულობის ასაკს მიაღწია ან დაინვლიდდა მარჩენალის გარდაცვალებამდე ან მისი გარდაცვალებიდან 5 წლის ვადაში. პენსია, რომელიც დანიშნული იყო მარჩენალი მეუღლის გარდაცვალების გამო, ნარჩუნდება ახლად დაქორწინების შემთხვევაშიც.

ისეთ გარემოებათა შექმნისას, რომლებიც იწვევენ პენსიის ოდენობის შეცვლას ან ოჯახის წევრისთვის პენსიის გაცემის შეწყვეტას, ცვლილება უნდა განხორციელდეს გარემოებათა წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

**იმისათვის, რომ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ დაგენიშნოთ პენსია მარჩენალის დაკარგვის გამო, აუცილებელია შესაბამის უწყებაში წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტები:**

**მარჩენალის გარდაცვალების მოწმობა;**
**მარჩენალის მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი;**
**ცნობა მარჩენალის გამომუშავების შესახებ;**
**ცნობა მარჩენალის ოჯახის იმ წევრთა შემადგენლობის შესახებ, რომლებიც მის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ.**

შესაძლებელია, პენსიის მიმღებ პირს ერთდროულად გააჩნდეს რამდენიმე პენსიის მიღების უფლება, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა ორი პენსიის ერთდროულად მიღების საშუალებას, თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ის პენსია, რომელიც უფრო მეტია, ან - უფრო ხელსაყრელი.

### პენსიის დანიშვნა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პენსიის დანიშვნა არის სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონული განყოფილების პრეროგატივა. პენსიის დანიშვნა ფორმდება განყოფილების გამგის განკარგულებით.

განცხადებას პენსიის დანიშვნის თაობაზე შესაბამისი განყოფილება განიხილავს 10 დღის ვადაში. პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევაში, სოციალური დაზღვევის ერთიანი ფონდი ვალდებულია, ამის თაობაზე შეგატყობინოთ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა, **უარის თქმის მიზეზებისა და გასაჩივრების წესის მითითებით. გადაწყვეტილება პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ შეგიძლიათ, გაასაჩივროთ სასამართლოში.**

პენსია ინიშნება პენსიის დასანიშნად მიმართვის დღიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პენსია ინიშნება უფრო ადრინდელი ვადით: მუშა-მოსამსახურეებს ინვალიდობის პენსიები ენიშნებათ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს მიერ ინვალიდობის ჯგუფის დადგენის დღიდან, თუ ინვალიდობა დადგენილი იქნა დროებითი შრომისუუნარობის გამო და პირმა პენსია ითხოვა არა უგვიანეს 3 თვისა ინვალიდობის ჯგუფის დადგენის დღიდან.

### პენსიის ოდენობა

საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, პენსიის მინიმალური ოდენობა შეადგენს 14 ლარს, მიუხედავად იმისა, ეს პენსია სოციალურია თუ სახელმწიფო. თუმცა, 2003 წლისთვის ქ. თბილისის მაცხოვრებელთა სასარგებლოდ ქ. თბილისის ბიუჯეტიდან განხორციელდა 3-ლარიანი დანამატი, ხოლო 2004 წლის მაისიდან ცენტრალური ბიუჯეტიდან ყველა სახის პენსიაზე, საქართველოს ყველა მოქალაქის სასარგებლოდ, განხორციელდა დანამატი 4 ლარის ოდენობით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **დღეისათვის ქ. თბილისში მაცხოვრებელ პენსიონერთა პენსია შეადგენს 20 ლარს, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე 17 ლარს.**

### გადიდებული პენსია

არსებობს პენსიონერთა ერთი კატეგორია, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ გადიდებული პენსია და მიეცეთ იგი, მუშაობის შემთხვევაში, ხელფასთან ერთად.
**სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონული განყოფილებიდან პენსიის გადიდებული ოდენობით მიღების უფლება გაქვთ, თუ ხართ:**

**ომის ინვალიდი - 45 ლარის ოდენობით;**
**ომის მონაწილე - 40 ლარის ოდენობით;**
**ომის მონაწილესთან გათანაბრებული პირი - 35 ლარის ოდენობით;**
**ჩერნობილის ატომური კატასტროფის აღდგენითი სამუშაოების შედეგად დაინვალიდებული პირი - 45 ლარის ოდენობით;**
**პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი - 45 ლარის ოდენობით;**
**პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა შრომისუუნარო შვილი ან მეუღლე - 45 ლარის ოდენობით;**
**ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქრთველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაინვალიდებული პირები - 35 ლარის ოდენობით.**

- ვის აქვს პენსიასთან ერთად სოციალური დახმარების მიღების უფლება?

**- საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, 2004 წლის განმავლობაში სოციალური დახმარების მიღების უფლება აქვს:**
**მარტოხელა, არამომუშვე პენსიონერთა ერთსულიანი ოჯახებისთვის - 22 ლარით, ხოლო არამომუშავე პენსიონერთა ორ და მეტსულიანი ოჯახებისთვის - 35 ლარით;**
**დედ-მამით ობოლი ბავშვებისთვის, მეურვის შრომისუნარიანობის მიუხედავად, ერთ პირზე - 22 ლარით;**
**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, არამომუშავე, პირველი ჯგუფის ინვალიდ უსინათლოთათვის, ერთ პირზე - 22 ლარით;**
**18 წლამდე ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთათვის, ერთ პირზე - 22 ლარით;**
**მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, რომელთაც ჰყავთ 7 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი - 35 ლარით.**

- რა წესითა და პირობებით ხდება პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება?

**იმისათვის, რომ პირი აღიარებულ იქნეს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, აუცილებელია, უშიშროების სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა რეაბილიტაციის შესახებ, რაც წარმოადგენს ერთადერთ საფუძველს სასამრთლოსთვის პირის რეაბილიტირებულად ცნობისათვის.**

**სასამართლოს პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ განცხადებით მიმართავს უშუალოდ რეპრესირებული, მისი კანონით მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი, იმ რაიონული სასამართლოს მიხედვით, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მუდმივად ან დროებით ცხოვრობს რეპრესირებული ან მისი კანონით მემკვიდრე. სასარჩელო განცხადება პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან.**

**თუ თქვენ მონაწილეობდით განათლების სამინისტროს ან განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის მიერ ჩატარებულ ტენდერში და მიგაჩნიათ, რომ თქვენი უფლებები და კანონიერი ინტერესები ამ უწყებების მიერ დაირღვა,**

გთხოვთ, მობრძანდეთ

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში**

შემდეგ მისამართზე:
კრილოვის ქ. 15

ან დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე: 822 93 61 01; 822 95 23 53
(იკითხეთ ეკა ფოფხაძე)

მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის IRIS Center-ის ფინანსური მხარდაჭერით

რობორ გამოადგა ძველი "გაზ-24" XX საუკუნეს

ლიტერატურული ალმანახი "XX საუკუნე" 10 წლის წინ დაიბადა



B2

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღელა დარჩა!



B5

რევოლუცია მუსიკაში

ექსკლუზიური, ცოცხალი ბრეიქბითი



B4


# ამერიკის გმირი

## ამერიკა მეორმოცე პრეზიდენტს ემშვიდობება



*კაპიტოლიუმის როტუნდა ის ადგილია, რომლის არქიტექტურაც და ხელოვნების ნიმუშებიც ყველაზე უკეთ ეხმიანება რონალდ რეიგანის ფილოსოფიას და იმიჯს. ამერიკა დღეს მეოცე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ პოლიტიკურ მოღვაწეს ეთხოვება.*

"ამერიკას არ აქვს უესტმინსტერის სააბატო და არც რაიმე სხვა საკათედრო ტაძარი (როგორებიც ინგლისშია), სადაც ერი საყოველთაო გლოვის წუთებში შეიკრიბებოდა. ჩვენთან მსგავსი მხოლოდ როტუნდაა", - უყვება "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტს აშშ-ს კაპიტოლიუმის არქიტექტურის ისტორიკოსი ბილ ალენი და ამით ხსნის იმ ფაქტს, რომ ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ ამერიკის პრეზიდენტის სამოქალაქო პანაშვიდმა როტუნდაში ჩაიარა.

რონალდ რეიგანის დაკრძალვის ცერემონიალი ვაშინგტონში პარასკევს იყო დაგეგმილი. მანამდე კი ხალხმა უკანასკნელი პატივი ყოფილ პრეზიდენტს სწორედ კაპიტოლიუმის ისტორიულ ნაწილში მიაგო.

"ვაშინგტონ პოსტი" შენობის ამ მხარეს ზედგამოჭრილ ადგილს უწოდებს რეიგანის პანაშვიდისთვის. ის თავისი გაბარიტებით სწორედ რომ "ამერიკულია", ანუ დიდი და მაღალი - იქ თავისუფლების ქანდაკებაც კი თავისუფლად დაეტევა, თუ სკულპტურას პიედესტალიდან ჩამოვდგამთ.

ამ უზარმაზარი მრგვალი დარბაზის დიამეტრი 96 ფუტია, იატაკიდან შიდა გუმბათამდე სიმაღლე კი - 186 ფუტი. ის სიმბოლურადაც და ფიზიკურადაც კაპიტოლიუმის გულს წარმოადგენს - ერთმანეთს უკავშირებს წარმომადგენელთა სახლისა და სენატის ფრთებს. ნეოკლასიციზმის ეპოქაში ჩასახული შენობა დამფუძნებელი მამების პატივსაცემად თავიდანვე ისე ააგეს, რომ მნახველს რომაული პანთეონის შთაბეჭდილება გასჩენოდა.

ასე რომ შევთანმხდეთ, ადგილი, სადაც რეიგანის პანაშვიდი გაიმართა, რომანტიზირებულად მოგვითხრობს ამერიკის ისტორიას. რაც მთავარია ამ ისტორიას, თავად არქიტექტურა ჰყვება. ეს ეროვნული გმირების სამფლობელოა, სადაც მითოლოგიზირებულია შტატების წარსული და სადაც რონალდ რეიგანი "თავის უკანასკნელ და უშესანიშნავეს" წარმოდგენას მართავს - ასკვნის "ვაშინგტონ პოსტი".

მართლაც, 31-წლიანი ინტერვალის შემდეგ რონალდ რეიგანი სწორედ ის პრეზიდენტია, რომელიც როტუნდაში დასვენებას ყველაზე მეტად იმსახურებს. ის ხომ თავის წინამორბედ ლინდონ ჯონსონზე გაცილებით მეტ სიყვარულსა და აღტაცებას იწვევდა ხალხში.

ერთი სიტყვით, "ამერიკას სჭირდება გმირები და სიმბოლოები, როტუნდა კი სწორედ რომ ზედგამოჭრილი ადგილია, მათ დასატირებლად", - ნათქვამია წერილში.

თუმცა, საინტერესოა, რომ თავიდან არავინ იცოდა, რა დანიშნულება უნდა ჰქონოდა როტუნდას, რომლის პროექტიც 1793 წელს შეადგინეს. გავრცელებული ხმების მიხედვით, დარბაზში უნდა დაედგათ ცხენზე ამხედრებული ჯორჯ ვაშინგტონის ქანდაკება. ერთ-ერთი პირველი გეგმის მიხედვით, შენობისთვის უნდა დაერქმიათ "სახალხო დარბაზი". მოკლედ, ასე თუ ისე, როტუნდას უნდა ეარსება და დაეკმაყოფილებინა სიმბოლოებისა და ცერემონიების მოყვარული ჯორჯ ვაშინგტონის ამბიციები. მას ხომ სოფელ-სოფელ თეთრი ცხენითა და ძვირფასი ხმლით სეირნობა უყვარდა და სურდა, ამერიკის მთავრობას პომპეზური სახლი ჰქონოდა - სწორედ ისეთი, როგორიც, საბოლოო ჯამში, კაპიტოლიუმი გამოვიდა, თავისი როტუნდათი.

შენობის ეს ნაწილი მართლაც შთამბეჭდავია. უმაღლესი აივნიდან, სადამდეც გზა საიდუმლო კიბით მიდის, ხედი შოკისმომგვრელია. იქ, ზევით, აკუსტიკაც უცნაურია. თუ ორი ადამიანი ერთმანეთის პირისპირ დგას და საუბრობს, ერთს მეორის ხმა ზურგიდან ესმის.

ამ მასშტაბურ სივრცეში მე-19 საუკუნის რომანტიზმი და ჰეროიკული სულისკვეთება ხელოვნების ნიმუშებს შეაქვთ. შიდა გუმბათის შუაგულს ამშვენებს ფრესკა "აპოთეოზი ვაშინგტონს" - მასზე პრეზიდენტი ცად ამაღლებულია წარმოდგენილი, ქალწულებისა და მითიური გმირების - თავისუფლების, გამარჯვებისა და დიდების გარემოცვაში. ერთი სიტყვით, ამ ფრესკაზე ვაშინგტონი ღმერთის მსგავს ფიგურად წარმოგვიდგება.

მრგვალ კედლებზე რვა უზარმაზარი ტილოა განთავსებული. ერთ-ერთ მათგანზე მოქმედება ჰოლანდიაში ხდება - 1620 წელს პროტესტანტი პილიგრიმები "ახალ მიწაზე" გასამგზავრებლად ემზადებიან. მეორეზე, დამფუძნებელი მამები დამოუკიდებლობის დეკლარაციას აწერენ ხელს, მესამეზე - პოკაჰონტასი ინათლება, მეოთხეზე - კოლუმბი ამერიკას აღმოაჩენს...

როტუნდაში დაცულ ცალკეულ ნამუშევრებზე ცოცხლდება სამოქალაქო ომის ეპიზოდებიც. თუმცა, მოქმედება აქაც მშვიდი და ჰეროიკულია - თითქოს, ამერიკა ჰარმონიულად, ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე შენდებოდა.

ისტორიისადმი ამგვარი დამოკიდებულება თავად რეიგანის ფილოსოფიასაც ესადაგება. მას სჯეროდა, რომ ამერიკა ღვთისგან დალოცვილი ქვეყანაა, რომელიც კაცობრიობის უკანასკნელი იმედია; "მთის მწვერვალზე გაბრწყინებული ქალაქია".

გარდა ამისა, რეიგანს სჯეროდა იმიჯის თეორიისაც და აღიარებდა მის უზარმაზარ გავლენას საზოგადოებაზე. თუ სხვა პრეზიდენტები უკეთ აანალიზებდნენ მთავრობის პოლიტიკას, რეიგანი სხვებზე უფრო შინაურულად გრძნობდა თავს თეთრ სახლში და ყველას უშურველად უმასპინძლდებოდა დახვეწილი იუმორით და ჰოლივუდიდან გამოყოლილი არტისტიზმით. ალბათ, ამიტომაც წერდა "ვაშინგტონ პოსტი", რომ როტუნდაში - ამ სიმბოლოებითა და რომანტიზირებული ისტორიით სავსე შენობაში - რეიგანის უკანასკნელი წარმოდგენა გაიმართება, თუმცა, ალბათ, ყველაზე სევდიანი წარმოდგენა.

გარდაცვლილი პრეზიდენტი კაპიტოლიუმში 9 ივნისს გადაასვენეს. კუბოს ამერიკის დროშის გამოსახულებიანი სუდარა ფარავდა. სამოქალაქო პანაშვიდის დაწყებამდე ჯარისკაცებს რეპეტიცია ორჯერ გაატარეს. სამხედრო ორკესტრმა "დიდება ბელადს" შეასრულა, რომლის ფონზეც ჯარისკაცებმა შაშხანები ჰაერში აწიეს და უმოძრაოდ, ერთ წერტილში გაიყინნენ. რამდენიმე სამხედრომ კუბო მაღლა ასწია და ძველი, ისტორიული შენობის კიბეებს ნელი ნაბიჯით აუყვა. ამ დროს ორკესტრი რესპუბლიკის საბრძოლო ჰიმნს ასრულებდა, სენატის თანამშრომელი მერი დიტრიხი კი იქვე იდგა და გულდათუთქული ტიროდა. მიუხედავად იმისა, რომ მის თვალწინ გამართული სანახაობა მხოლოდ რეპეტიცია იყო - თავისი ხმის ეფექტებით, დეკორაციებით - ის მნახველში მაინც გულწრფელ ემოციებს აღძრავდა. "რეიგანი პირველი პრეზიდენტი იყო, რომელსაც ხმა მივეცი. მან ამერიკისადმი რწმენა დამიბრუნა. მან ამერიკისადმი რწმენა მთელ მსოფლიოსაც დაუბრუნა. რეიგანი დიდი ადამიანი იყო, ნამდვილი გმირი, საამაყო ამერიკელი", - ამბობდა ის.

შემდეგ ოცდაერთმა შაშხანამ ერთდროულად დაიქუხა. რეპეტიცია ზედიზედ ორჯერ ჩატარდა. ეს ყველაფერი სიმბოლიზმი იყო, მაგრამ ცდას მაინც არავინ აკლებდა - ყველას სურდა, საყვარელი პრეზიდენტისთვის ბოლო წარმოდგენა უზადო გამოსულიყო. როტუნდას გრანდიოზული სივრცე და უზარმაზარ ტილოებსა და ფრესკებზე გაცოცხლებული წარსული კი ბუნებრივად ქმნიდა ამ დიდი სამგლოვიარო წარმოდგენისთვის საჭირო დეკორაციებს - ამერიკა თავის გმირს ნამდვილ ჰეროიკულ გარემოში ემშვიდობებოდა.

### როტუნდა

რონალდ რეიგანი გახლავთ მხოლოდ მეათე აშშ პრეზიდენტი, რომელსაც ამერიკის კაპიტოლიუმის როტუნდაში დაასვენებენ - ეს გახლავთ რიტუალი, რომელიც უკანასკნელად 1973 წელს ჩატარდა. მაშინ ამერიკა კაპიტოლიუმიდან პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონს დაემშვიდობა (ქვევით, ფოტოზე).



| | |
|---|---|
| აბრაამ ლინკოლნი (მე-16 პრეზიდენტი) | 1865 წ. აპრილი |
| ჯეიმს გარფილდი (მე-20) | 1881 წ. სექტემბერი |
| უილიამ მაქკინლი (25-ე) | 1901 წ. სექტემბერი |
| უორენ ჰარდინგი (29-ე) | 1923 წ. აგვისტო |
| უილიამ ჰოვარდ ტაფტი (27-ე) | 1930 წ. მარტი |
| ჯონ ფიცჯერალდ კენედი (35-ე) | 1963 წ. ნოემბერი |
| ჰერბერტ ჰუვერი (31-ე) | 1964 წ. ოქტომბერი |
| დუაიტ ეიზენჰაუერი (34-ე) | 1969 წ. მარტი |
| ლინდონ ჯონსონი (36-ე) | 1973 წ. იანვარი |
| რონალდ რეიგანი (მე-40) პრეზიდენტს უკანასკნელი პატივი დაახლოებით 100 ათასმა ამერიკელმა მიაგო. | 2004 წ. 9 ივნისი |

Picture: Associated Press © GRAPHIC NEWS




*აქ ამერიკის მეორმოცე პრეზიდენტს დაკრძალავენ.*



*მზადება პანაშვიდის ცერემონიისთვის როტუნდაში*

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 პოლიტიკური პორტრეტი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა



# აფიშა

## კონცერტები

**დიდი საკონცერტო დარბაზი**
ანსამბლი "უნივერსიტეტი"
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
ფესტივალ "საჩუქრის" პროგრამით
უილიამ შექსპირი
"ჯულიეტა და რომეო"
რეჟისორი: გოგი მარგველაშვილი
დას: 17:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
გეორგ ბიუხნერი
"ვოიცეკი"
რეჟისორი: ანდრო ენუქიძე
დას: 13:00 სთ.

**თოჯინების სახელმწიფო თეატრი**
ხელის ჩრდილების თეატრი "ბუდრუგანა-გაგრა"
"დათვის ბელი", "სოფლის მაშენებელი" და Take of life
დას: 15:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
ბერნარდო ბერტოლუჩის ფილმების რეტროსპექტივა
"უკანასკნელი იმპერატორი"
დას: 18:00 სთ.

**"ამირანი"**
"ჰარი პოტერი 3"
დას: 10:00; 13:00; 16:00; 19:00;

"ტროა"
22:00 სთ.

## გამოფენები

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
ნიკო ცეცხლაძის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

## "კლუბები"

**"აჭარა მიუზიქ ჰოლი"**
ბრიტანეთის საბჭო წარმოადგენს ბრეიქბითს
ექსკლუზიური ცოცხალი შესრულებით
The Bays (Live)
დი-ჯეი Jimpster
დი-ჯეი Palmskin
კლუბის გახსნა: 22 საათზე
ფასი: 20 ლარი

## პრეზენტაციები

**მაღაზია "პარნასი"**
ლიტერატურული ლექცია "ნარკოტიკები და თანამედროვე ქართული ლიტერატურა"
ლექციას გაუძღვებიან ახალგაზრდა მწერლები: ბესო ხვედელიძე და მაკა მიქელაძე
დას: 17:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი
პარასკევს, 11 ივნისს, 19:00 სთ-ზე
ვოკალური ანსამბლი "უნივერსიტეტი" მეგობრებთან ერთად



# როგორ გამოადგა ძველი "გაზ-24" XX საუკუნეს

თამარ სუხიშვილი

დამეთანხმებით, არც ისე ადვილია, ერთდროულად მასპინძელიც იყო და სტუმარიც. თუმცა, გუშინდელ შეხვედრაზე, მწერალმა ზაალ სამადაშვილმა მასპინძლისა და სტუმრის მოვალეობას მშვენივრად გაართვა თავი. წიგნის სახლის უკვე თითქმის ერთი წელია დამკვიდრებული ციკლის - "ახალი განზომილების" ავტორმა და ალმანახ "XX საუკუნის" რედაქტორმა ლიტერატურული ჟურნალის ათი წლის იუბილე აღნიშნა.

თუ სულ რაღაც ერთი კვირის წინ აქ, წიგნის სახლის მყუდრო გარემოში, გამართული შეხვედრა (სახელწოდებით - "მოგონებების მოლეკულები") მეხუთეკლასელი ძმაკაცების - ზალიკო სამადაშვილისა და გიგი სულაკაურის საზაფხულო თავგადასავლების გახსენებით დაიწყო, გუშინ ზაალ სამადაშვილმა, რომელსაც გიგი სულაკაურიც გვერდში ედგა, მეხუთეკლასელი შვილობილის, ათი წლის ჟურნალის - "XX საუკუნის" მოკლე ბიოგრაფია გაგვაცნო.

იუბილე წიგნის სახლის შინაურულ წრეში აღინიშნა, თუმცა დაბადების დღეს ლიტერატურული ჟურნალის მესვეურნი ერთი კვირის შემდეგ კიდევ ერთხელ იზეიმებენ, წიგნის ფესტივალის ხალხმრავალ გარემოში.

ამ ჟურნალის, უფრო სწორად, ლიტერატურული ალმანახის, დაარსების იდეა თითქმის ერთდროულად და, ამავე დროს, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად დაებადათ ზაალ სამადაშვილსა და ლაშა თაბუკაშვილს. "აფხაზეთის ომი ახალი დამთავრებული იყო. მოგეხსენებათ, რა კატასტროფული მდგომარეობა სუფევდა მთელ ქვეყანაში. ერთადერთი ჟურნალი, რომელიც ცვალებადი პერიოდულობით გამოდიოდა და რომელშიც მკითხველს ლიტერატურული ტექსტების წაკითხვა შეეძლო, იყო ჟურნალი "მნათობი", - გვიამბობს ზაალ სამადაშვილი, - ერთ დღეს ლაშასთან მივედი, რაღაც სიუჟეტი გადიოდა ტელევიზიით, უცნობი ახალგაზრდა რეჟისორი ლაპარაკობდა იმაზე, რომ ქართულ კინოს ძალიან უჭირს და რომ მას ფილმის გადასაღებად ფული არა აქვს. მაშინ ვიფიქრეთ, თუ ერთ ფილმს რამდენიმე ასეული დოლარი ესაჭიროება, ჩვენ სულ რაღაც 500 დოლარი გვჭირდება, ჟურნალის ერთი ნომერი რომ გამოვცეთო. ლაშამ მითხრა, მიდი, შენ რედაქტორი იყავი და მე შევეცდები ჟურნალის გამოსაცემი თანხა მოვიპოვოო."



*ლიტერატურული ალმანახი "XX საუკუნე" 10 წლის წინ დაიბადა*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ხომ დაუჯერებელია, მაგრამ ფული იმ დღესვე იშოვეს. "ფულიან ძიებს" ხვეწნას ვერ დავუწყებო, - უთქვამს ლაშა თაბუკაშვილს. ცოტა ხნით ადრე თაბუკაშვილების ოჯახს ძველი "გაზ-24" გაეყიდა და იმ ფულის ნაწილი ავტომატურად გადაირიცხა ალმანახის ფონდში. ასე დაიბადა "XX საუკუნე" 1994 წლის მაისში.

მართლაც ძალიან საინტერესო ნომერი გამოვიდა. მაგალითისთვის დავასახელებთ რევაზ თაბუკაშვილის ჩანაწერებს - "თეთრო გიორგი! შენ მომიმართე ხელი ამ ქართულ საქმეში, თუ ის მართლა ისე მნიშვნელოვანია, როგორც მე მგონია", რევაზ ინანიშვილისა და გურამ რჩეულიშვილის გამოუქვეყნებელ ტექსტებს...

"ფულიან ძიებს" არც ჟურნალის დანარჩენი ნომრების დაფინანსებაში შეუტანიათ საკუთარი წვლილი, ჟურნალი გამოდიოდა მაშინ, როცა მის მესვეურებს ამის შესაძლებლობა ჰქონდათ და, მინდა გითხრათ, ავტორებს ჰონორარებითაც ანებივრებდა.

"XX საუკუნეში" იბეჭდებოდნენ ვაჟა გიგაშვილი, ბაადურ ბალარჯიშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, მამუკა სალუქვაძე, ქეთი ნიჟარაძე, დათო მაღრაძე, ირაკლი ჯავახაძე, ზურაბ სამადაშვილი და სხვები. ჟურნალის გარეკანის გაფორმებაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ მხატვრები: სოფო გორგაძე, გუგა კოტეტიშვილი, თამაზ ვარვარიძე, გურამ წიბახაშვილი. პირველად სწორედ ამ ალმანახმა დაიწყო ჯაბა იოსელიანის დღეს უკვე პოპულარული რომანის ("ლიმონათის ქვეყანა") ბეჭდვა (როგორც ალმანახის რედაქტორმა გვითხრა, ამ რომანის არსებობის შესახებ სრულიად შემთხვევით გავიგე, ჯაბა იოსელიანი ერთ-ერთ ჟურნალისტს ინტერვიუს აძლევდა და ისე, სხვათა შორის, ისიც თქვა, რომანის წერა დავამთავრეო), აქ დაიბეჭდა პირველად გურამ დოჩანაშვილის "ლოდი ნასაყდრალიც"...

თანდათანობით "XX საუკუნის" ავტორთა რაოდენობა იზრდებოდა. მერე ამ ავტორებმა კლუბი "XX საუკუნეც" ჩამოაყალიბეს, ისედაც კლუბი არ ვიყავით, სულ ერთად ვიკრიბებოდით, ხან ჩაის ვსვამდით, უფრო ხშირად ღვინოს, ზოგჯერ არაყსაცო - ხუმრობენ მეოცესაუკუნელები, - უხდება ლიტერატურასო. ჟურნალის ტირაჟი ხან 500 იყო, ხან - 700-ც, გააჩნია, ფული როგორ ჰქონდათ. თუმცა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყველა ნომერი იყიდებოდა და დღეს, შეიძლება ითქვას, რომ "XX საუკუნის" ნომრები თითქმის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული. ამ ჟურნალმა მკითხველს საინტერესო თარგმანებითაც დაამახსოვრა თავი და კიდევ რუბრიკით - "ჩემი საყვარელი მოთხრობა", რომელშიც "უსამართლოდ მივიწყებული ნაწერები" იბეჭდებოდა, ის ნაწერები, რომლებიც ჩვენ მოგვწონდა და რომელთაც უსამართლოდ აღარ კითხულობენ ხელმეორედ ან უსამართლოდ არ წაუკითხავთ არც ერთხელ, - გაგვიმარტავს ზაალ სამადაშვილი.

სამწუხაროდ, "XX საუკუნე" უკვე სამი წელია აღარ გამოდის; ის ნამდვილად დააკლდა ქართველ მკითხველს, რომელიც, მოგეხსენებათ, სრულიადაც არ გახლავთ განებივრებული ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთებით. მეოცესაუკუნელები ლიტერატურული ალმანახის ფართომასშტაბიან იუბილეს, როგორც უკვე გითხარით, წიგნის ფესტივალზე აღნიშნავენ, ჩვენ კი მათაც და მკითხველსაც განახლებული ალმანახის გამოცემას ვუსურვებდით.

# ჯაზური საჩუქარი

## დღეს თბილისში შანგამირე იმღერებს

თამარ სუხიშვილი

ფესტივალი "საჩუქარი" გრძელდება. ფესტივალის დღევანდელ სტუმარს, ამერიკელ ჯაზ-მომღერალ შანგამირეს სასტუმრო "ძველი თბილისი" უმასპინძლებს. შავკანიანი მომღერალი, ენერგიული და ხალისიანი შანგამირე, რომელსაც ძალიან უყვარს მოგზაურობა, პირველად ესტუმრა საქართველოს. გუშინ ის თოჯინების თეატრს ეწვია პიანისტთან - კლიფტონ ბროკინგტონთან ერთად და თეატრის ფოიეში პრესკონფერენცია გამართა. შანგამირე აღფრთოვანებული დარჩა ფოიეში გამოფენილი რუსუდან ფეტვიაშვილის მშვენიერი ნამუშევრებით და დიდი ოვაციებით შეეგება პრესკონფერენციაზე დაგვიანებით შემოსულ მხატვარს. ერთ ნახატს თვალი დაადგა კიდეც - ამის ყიდვა ძალიან მინდაო.

ჯაზური მუსიკით შანგამირე ბავშვობიდან დაინტერესდა, ჯერ კიდევ 13 წლის ასაკიდან. ის დიდი ენთუზიაზმით უსმენდა ბილი ჰოლიდეის მუსიკას. რამდენიმე წლის შემდეგ მიხვდა, რომ ჯაზი მისთვის უბრალო გატაცებაზე მეტი იყო. ელა ფიცჯერალდის, ნინა სიმონეს და ჯაზის სხვა ცნობილ შემსრულებელთა კომპოზიციებით მოხიბლულმა თვითონაც დაიწყო სიმღერა. ჯემსეიშენებზე გამოდიოდა ვაშინგტონში. ერთ-ერთი ასეთი "სეიშენის" დროს ვიღაც მუსიკოსს უთქვამს, ჯერ მუსიკა უნდა ისწავლო და მერე მოუბრუნდე ამ "სეიშენებსო". ძნელი იყო ამ სიტყვების მოსმენა, თანაც მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე. თუმცა, შანგამირე თვითონაც მიხვდა, რომ ამ მიზეზით მომავალშიც დაბრკოლებები შეექმნებოდა და მუსიკის გაკვეთილზე სიარული დაიწყო. გაიცნო გლენ ტერნერი - Gill Scott Heron-ის პიანისტი, რომელიც მისი პირველი ვოკალური ხელმძღვანელი იყო. გლენ ტერნერის გაკვეთილებმა კიდევ უფრო გააღრმავა მისი სიყვარული ჯაზური მუსიკისადმი. შანგამირეს სადებიუტო კომპაქტ-დისკი Only Human გახლავთ, რომლის ავტორი მისი მეუღლეა: "საოცრად ნიჭიერი ადამიანია" - გვეუბნება ჯაზ-მომღერალი.



*შანგამირე აღფრთოვანებული დარჩა ფოიეში გამოფენილი რუსუდან ფეტვიაშვილის მშვენიერი ნამუშევრებით და დიდი ოვაციებით შეეგება მხატვარს.*

მარიკა ამურველაშვილის ფოტოები



*შანგამირე, რუსუდან ფეტვიაშვილი, დალი ოქროპირიძე, ქეთი დოლიძე*

"ძალიან ძნელია დაბეჯითებით იმის თქმა, თუ საიდან აქვს მის ხმას ასეთი უკიდეგანო, უსაზღვრო ძალა. იქნებ ამის მიზეზი სიმშვიდეა, იქნებ - ფარული გულწრფელობა. მაგრამ სულ ერთია, რაც გინდა იყოს, ეს მშვენიერი რამაა," - ამბობენ კრიტიკოსები და იქვე მომღერლის სხვა ღირსებებსაც ჩამოთვლიან: სუფთა ბგერა, თაფლივით ტკბილი ხმა, გემოვნებით შერჩეული რეპერტუარი და შესაფერისი აკომპანიმენტი.

თავისი სილაღით, ემოციურობითა და უშუალობით ამერიკელმა მომღერალმა ჩვენზე ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. გვესაუბრა საკუთარ თავზე, თავის მუსიკაზე, გვითხრა, რომ ყოველი კომპოზიციის შესრულების დროს ცდილობს საკუთარი შტრიხი შეიტანოს მუსიკაში და ასე შემდეგ. შანგამირე ცხოვრებაშიც ისეთივე გულწრფელია, როგორც შემოქმედებაში. "ერთ-ერთი კონცერტის დროს ჩემთან მაყურებელი მოვიდა და მითხრა: იცით, თქვენ აბსოლუტურად გაშიშვლდით ჩემ წინაშეო. ეს ისე მითხრა, თითქოს ძალიან ახლოს მიცნობდა." დღეს საღამოს შანგამირეს ქართველი მსმენელიც გაიცნობს. რამდენად ახლობელი გახდება მათთვის ამერიკელი მომღერალი, ამას მოგვიანებით შევიტყობთ. კონცერტი ათ საათზე დაიწყება.




რეცენზია

# ქართული რეპის მიმოხილვა

## ნაწილი 2: ლექს სექს ჩვენი სენი

ნიკო ნერგაძე

*შენიშვნა: 24 საათი ალბომებს აფასებს 5 ვარსკვლავიანი სისტემით.*

ლექს-სენი - სდექ! ***

სულ რაღაც მეორე თვეა, რაც რეცენზიების წერა დავიწყე და აგერ უკვე მეორედ მიხდება ლექს-სენის განხილვა. ნამდვილად არ მინდა ლექს-სენის პირად ჟამთააღმწერლად გადავიქცე, მაგრამ მოგწონს ლექსო თუ არ მოგწონს, ფაქტი ფაქტად რჩება - ის დღეს ქართული ესტრადის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია და მისი იგნორირება შეუძლებელია. ლექს-სენი ავსებს სპორტის სასახლეს, მისი გლანდების ოპერაცია ლამის პირდაპირ ეთერში გადაიცემა და ყოველი მეორე მანქანის მაგნიტოფონიდან მისი სიმღერა გაისმის.

ბევრი ლექს-სენის პოპულარობას მხოლოდ სტუდია "მაესტროსა" და პირველი სტერეოს აგრესიული საპრომოუშენე კამპანიით ხსნის. მართლაც, პირველ სტერეოზე ლამის ყოველი მესამე კლიპი ლექს-სენისაა და ეს, რა თქმა უნდა, მის პოპულარობას ერთიორად ზრდის. თუმცა, ლექს-სენის პოპულარობა მხოლოდ ამით არ აიხსნება. ხვალ რომ პირველმა სტერეომ გიგა კვენეტაძის "გაქაჩვა" გადაწყვიტოს და ასეთივე სიხშირით ატრიალოს მისი კლიპები, გაავსებს გიგა სპორტის სასახლეს? ვერა, ვერ გაავსებს. სულ რომ უფასო კონცერტი მოაწყოს, მაინც ვერ გაავსებს.

ამასთან, მე მგონია, რომ მისი ასეთი ხშირი გამოჩენა ლექს-სენს ახლა უფრო ვნებს ვიდრე არგებს. ადრე თუ გვიან ყველა სიმღერა ცვდება და ყოველ 15 წუთში ერთხელ კლიპის ტრიალი ლექსოს კი არა, "პინკფლოიდსაც" ყელში ამოგიყვანს.



*ლექს-სენი ავსებს სპორტის სასახლეს, მისი გლანდების ოპერაცია ლამის პირდაპირ ეთერში გადაიცემა და ყოველი მეორე მანქანის მაგნიტოფონიდან მისი სიმღერა გაისმის.*

რაც შეეხება თავად ალბომს - "სდექ!" ძალიან ჰგავს მის წინამორბედს; უბრალოდ, წინა ალბომისგან განსხვავებით მას გვერდით ქართული ესტრადის "მძიმეწონოსანნი" - უცნობი, ირაკლი ჩარკვიანი და გიგა მიქაბერიძე უდგანან. აქვეა პირველი სტერეოს მომხიბლავი წამყვანი თიკო, რომლის შემოტკეცილი შორტები თბილისელების საყვარელი სასაუბრო თემა გახდა.

"სდექ!" თიკოს შორტებზე უფრო მოკლეა. ალბომში სულ რაღაც 8 სიმღერაა, აქედან ერთი ("შემდეგი რჩევა") დიდი "ხალტურაა", დანარჩენები კარგია. დისკს ხსნის ლექს-სენისა და თიკოს დუეტი "გესმოდეს," რომელსაც ამყოლი მისამღერი აქვს და საერთოდაც მშვენიერი საზაფხულო ჰიტია. შემდეგი სიმღერა, "ვისაც ჩემთან არ უნდა" ბუნდოვან მუქარას შეიცავს - "ვისაც ჩემთან არ უნდა, სხვა გზით იაროს, თან ისე რომ არაფერი დაიზიანოს". თუ რაიმეს დაზიანების არ შეგეშინდა, ამ სიმღერასაც არაფერი სჭირს.

მაგრამ ალბომის ყველაზე კარგი სიმღერები ყოფილ როკერებს ეკუთვნით. "დრო იტყვის დანარჩენს", რომლის ტექტსიც და მუსიკაც ლექს-სენმა გიგა მიქაბერიძესთან ერთად დაწერა, ალბათ წლის ერთ-ერთი საუკეთესო პოპ სიმღარაა. მუსიკას აშკარად ეტყობა გიგას ნიჭიერი ხელი და მისამღერიც ერთი მოსმენის შემდეგ საშვილიშვილოდ გეჭედება თავში. სიმღერა იწყება გიგას უკვე სავიზიტო ბარათად ქცეული ფალუულალულათი, რომელსაც ვინმე თუ მოაშლევინებს დიდ მადლს მოისხამს. შემდეგ ლექს-სენი გიგას მუსიკას ეისიდ ჯაზს უწოდებს, რაც შავ პრინცს რომ ექნა, უფრო გასაგები იქნებოდა, ის მაინც, როგორც თვითონ ამბობს, სულ დაბოლილი დადის და გარჩევა არ მოეთხოვება. ალბათ გიგა თუ ეხუმრა, ეისიდ ჯაზი ვარო და ლექსომაც დაიჯერა.

შემდეგ მოდის "5 წუთი", ირაკლი ჩარკვიანის მუსიკით და ირაკლის, ქეთათოს, უცნობისა და ლექს-სენის რეპით. "5 წუთი" ერთადერთი სიმღერაა ალბომში და სერთოდ, ლექს-სენის შემოქმედებაში, რომელსაც გასაგები ტექსტი აქვს - ბოზობა და წამლის კეთება ცუდია, განსაკუთრებით, თუმცა მე მგონია, რომ როდესაც ირაკლი "უძველეს სიყვარულზე" მღერის, ამით ის ამ სიმღერას ალტერნატიულ, ავტობიოგრაფიულ მნიშვნელობას ანიჭებს. ტექსტი რომ ოდნავ შევცვალოთ, გამოგვივა "ამხელა კაცი ხარ, კარგი კაცი ხარ, ლექს-სენი არ გინდა, უცნობი რად გინდა, ფუუუ..." ხუმრობა იქით იყოს და გული მიკვდება, როდესაც ვითომ რეპერულად ჩაცმულ ირაკლის ვხედავ, რომელიც თავის დამსახურებას ქარს ატანს. არ უნდა იყოს განსხვავება ირაკლი ჩარკვიანსა და გელა გნოლიძეს შორის? უცნობის კლიპში გამოჩენა? თუმცა ჩვენ ლექს-სენზე ვლაპარაკობდით...

ლექს-სენი კი დიდების ზენიტშია. ორ წელიწადში მას ალბათ ვინმე სხვა შეცვლის, მაგრამ დღეს ამას მნიშვნელობა არა აქვს. დღეს ლექსო ნომერი პირველია და ამას სხვებზე მეტად იმსახურებს.

**P.S.** სტატიის ავტორს უყვარს როდესაც აქებენ ან აკრიტიკებენ. მასთან დაკავშირება შეიძლება ელექტრონული ფოსტით:
nergadze@hotmail.com

# ნოსტალგია ძიების პერიოდზე

## (ნიკო ცეცხლაძის აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი)

თეა პაიჭაძე

როდესაც დროში "მოძველებულ" მოვლენას თავიდან უბრუნდები, სუბიექტური მიზეზები მრავლადაც რომ გქონდეს, უნდა ხდებოდეს შენს გარშემო რაღაც ისეთი, რაც ამ მიბრუნებას სხვათათვისაც მისაღებს და გამართლებულს გახდის. გასული ასწლეულის 70-იანი წლებში ქართველ მხატვართა ერთმა ნაწილმა ალექსანდრე ბანძელაძის თაოსნობით ქართული აბსტრაქციონიზმის სკოლას ჩაუყარა საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ამ მოვლენის გაჩენიდან ნახევარსაუკუნოვანი "დაგვიანებით" მოხდა, იმჟამინდელ, საბჭოთა რეალობაში ავანგარდული, მეტისმეტად გაბედული, თამამი ნაბიჯი იყო. მას მალევე მოჰყვა კიდევ ერთი საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში - ჯგუფ "X სართულის" ჩამოყალიბებება (1986 წ.). ამ ჯგუფის ბირთვს, რომელსაც ახალი წევრები ხან ემატებოდა, ხან აკლდებოდა, რამდენიმე სხვა მხატვართან ერთად ნიკო ცეცხლაძეც წარმოადგენდა. შემდეგ იყო ძიების, ექსპერიმენტირების კიდევ ერთი ეტაპი, ერთგვარი გაგრძელება "X სართულისა" - "მარჯანიშვილის სახელოსნო". დღეს ძველი თუ ახალი თაობის ქართველი მხატვრები ჯგუფებად აღარ ერთიანდებიან და დამოუკიდებლად "ეძებენ", კეთილ მეგობრებად დარჩენილნი ინდივიდულობის გამოვლენას თავ-თავისებურად ლამობენ. დროა ასეთი, ზოგადად - ეპოქა, რომელშიც ყველაფერი თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდება, იცვლება. ცხოვრების ეს გიჟური რიტმი ხელოვნებაზეც პირდაპირპროპორციულად აისახება, ახალი რეალობა დაუყოვნებლივ ირეკლება მასში. და რამდენი მხატვარიცაა, ლაპარაკი ლამის იმდენ მიმართულებასა და მიმდინარეობაზეც კი ხდება თანდათან შესაძლებელი.

ამ ფონზე თბილისის ყველზე აკადემიურ სახელოვნებო დაწესებულებაში - შალვა ამირანაშვილის სახელობის საქრთველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში (სამწუხაროდ უნდა ალინიშნოს, რომ იქ ვერნისაჟის გასამართად არცთუ დამაკმაყოფილებელი სივრცეა გამოყოფილი) იხსნება ნიკო ცეცხლაძის აბსტრაქტული ნამუშევრების გამოფენა. იგი ქართულ თანამედროვე ხელოვნებაში ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესო ფიგურაა და სწორედ იმიტომაა, რომ მუდამ ახალ წამოწყებათა ავანგარდში დგას, სწრაფად უწყობს ფეხს თანამედროვე მოვლენებს და ახალი ძიების დასრულებულ შედეგებსაც მალევე წარმოგვიდგენს ხოლმე. ცხადია, მხოლოდ სისწრაფე და პროდუქტიულობა ხელოვანის დასახასიათებლად ბევრი ვერაფერი კრიტერიუმი იქნებოდა, მაგრამ ნიკო ცეცხლაძე უტყუარი მხატვრული ალღოთი და გემოვნებით გამოირჩევა, მის ნამუშევრებს სითამამე, დაჯერებულობა ახასიათებს და მნახველის გრძნობაზე ზემოქმედების უნარი შესწევს.



*დღეს ძველი თუ ახალი თაობის ქართველი მხატვრები ჯგუფებად აღარ ერთიანდებიან და დამოუკიდებლად "ეძებენ".*

თეა პაიჭაძის ფოტო

დავინტერესდი, ინსტალაციების, "ობიექტების", "ვიდეოების" ავტორი, სხვადასხვა სახის აქციების და პერფორმანსების მონაწილე დღეს მხოლოდ აბსტრაქციით რატომ წარდგა დამთვარიელებელთა წინაშე (მუზეუმში სამი თუ ოთხი სიუჟეტური ტილოცაა გამოფენილი, მაგრამ ორმოცდაათამდე ნამუშევარს შორის ისინი თუმცა მაინც იქცევენ ყურადღებას, სწორედ იმის გამო, რომ რეალურ სურათებს გვთავაზობენ, მთლიანობაში ვერ ანელებენ დარბაზში აბსტრაქციული ექსპრესიონიზმის სრულად სუფევის განცდას). როგორც თითქმის ყველა თბილისურ გამოფენას, რამდენიმე ბანალური მიზეზი ექსპოზიციის ასეთი სახით მოსაწყობად, აქაც აღმოჩნდა: წარმოდგენილი ნამუშევრები ერთი პიროვნების, გია ჯოხაძის კერძო კოლექციიდან ყოფილა; რაც მას ჰქონდა (ბევრი კი ჰქონია!), ის გამოფინა. თანაც, ეს გამოფენა-გაყიდვაა და შეიძლება ასეც ვიფიქროთ: უკეთ გაყიდვადია მოდუროობაზე პრეტენზიების მქონე, მაგრამ მაინც კონსერვატორულ ქართულ საზოგადოებაში ის, რასაც თან თანამედროვე ეთქმის, მაგრამ არც ისე ძალიან თანამედროვეა, ბევრისათვის გაუგებარი რომ გამოდგეს; ეს უკვე შეჩვეული და მიღებული, თანაც უკვე სახელმოხვეჭილი "გაუგებრობაა" და ა.შ. მაგრამ არა მგონია, მხოლოდ ეს იყოს მრავალფეროვნებით გამორჩეული, მუდმივ ძიებაში მყოფი საინტერესო ავტორის უკვე პრინციპში განვლილ ეტაპთან ასე მჭიდრო და აქტიური კავშირის მიზეზი.

თანამედროვე მხატვარი, სანამ, ასე ვთქვათ, "საკუთრ თავს იპოვნიდეს", მას მერე, რაც აკადემიურ ნახატს დაეუფლება და ხელს გაიწაფავს (უკეთეს შემთხვევაში, ალბათ, ასე უნდა ხდებოდეს), ხშირად მრავალი სხვადასხვა მიმდინარეობით დაინტერესდება ხოლმე და ეს ბუნებრივიცაა. შემდეგ, შეიძლება მისთვისაც შეუმჩნეველი დარჩეს - როდიდან იწყებს მუშაობას იმ სტილით, იმ მასალით, იმ თემატიკაზე, რომელიც მის ბუნებასთან, ხასიათთან, ფიქრებთან, გრძნობებთან, სამყაროს მისეულ აღქმასთან, მის სულთან უფრო ახლოსაა, უფრო უკეთ, გამოსახვის სხვა ხერხებზე და საშუალებებზე გაცილებით სრულყოფილად გადმოსცემს მის - ხელოვანის სათქმელს. აქედან იწყება საუბარი მანერაზე, ხელწერაზე, ზოგადად მხატვრის ინდივიდუალობასა და თვითმყოფადობაზე. შემდეგ შემოქმედი, ბუნებიდან გამომდინარე, ან მუდმივად უერთგულებს ამ მიგნებულ სტილს (თუმცა ამ შემთხვევაში საშიშროებაა ველარ განვითარდეს), ან განაგრძობს ძიებას, მაგრამ მისთვის ყველაზე მისაღებ და ყველაზე უფრო სრულყოფილად წარმომჩენ მანერას, გამოსახვის საყვარელ საშუალებებს პერიოდულად მიუბრუნდება, ისევ იქ დაიწყებს ახალი იმპულსების ძებნას. ნიკო ცეცხლაძემაც, საუბრისას, სწორედ ეს აღნიშნა. როდესაც ვკითხე მხატვარს, რომელიც თავად ამბობს, რომ უყვარს მრავალფეროვნება, როდის მიმართავს ამა თუ იმ მასალას, ტექნიკას, მიპასუხა, რომ ერთდროულად, ერთმანეთის პარალელურად, რადგან ისინი ერთმანეთს თავად ეხმარება თითოულის სპეციფიკა უკეთ აღმოაჩენინოს. ამავე დროს, როცა მეტწილად ინტუიციურად, ქვეცნობიერად, ხანაც ფიქრით, გარემოზე დაკვირვებით (თუნდაც მხოლოდ ვიზუალურად, რადგან ნიკოს შემთხვევაში სწორედ თვალით "დაჭერილი" სურათები გარდაიქმნება ხელოვნების ნაწარმოებად) გარდასახავ და მხატვრულ ნიმუშად აქცევ სუბიექტურ თუ ობიექტურ, მატერიალურ თუ უსაგნო რეალობას, შესაძლოა, უცებ იგრძნო, რომ ეს მასალა არ გეყოფა იმ ახალი სათქმელის გადმოსაცემად, მუშაობის პროცესში რომ გაგიჩნდა და ახლა სხვა მასალაში იწყებ ძებნას. აბსტრაქციული ექსპრესიონიზმი (თუ ექსპრესიული აბსტრაქციონიზმი) განსაკუთრებულად გრძნობიერი მხატვრისათვის შინაგანი სამყაროს გამოსავლენად და გრძნობაგანწყობის გადმოსაცემად ყველაზე მისაღები აღმოჩნდა. როდესაც გონება, ფაქტობრივად, გამორთულია (მოგეხსენებათ, ეს არ არის კონცეპტუალური ხელოვნება), მეტი გასაქანი და თავისუფლება ეძლევა ემოციას, ზედაპირზე ამოდის ქვეცნობიერი. საბოლოო ჯამში ვიღებთ ერთდროულად ავტორის სულიერ პორტრეტს და მის გარშემო არსებული რეალობის ემოციურ სურათს. ეს სურათი ხან ნათელია, ფერადოვანი და საზეიმო, როგორი განწყობის შექმნასაც სუფთა, ინტენსიური, ჟღერადი ფერების გვერდიგვერდ დიდ ლაქებად თამამი მოთავსებით აღწევს ავტორი, ხანაც - მოქუფრული, მღელვარე, ეიფორიული; უფრო მუქი გამა, "ჭუჭყიანი" ტონების გამოყენება, კომპოზიციის დატვირთვა, დაძაბვა (ფერადოვანი ლაქებითა და მონასმებით აგებულ კომპოზიციაზეა საუბარი) აძლევს ხელოვანს ამ შთაბეჭდილების შექმნის საშუალებას.

ერთ-ერთ ბოლოდროინდელ სერიაში ოქროსა და ვერცხლის ტონებს ნიკომ წამყვანი ადგილი მიანიჭა ფერადოვან გამაში. უკანასკნელი პერიოდის მოვლენები ქართულ სინამდვილეში იმდენად სწრაფად და მოულოდნელად განვითარდა, ნახევრად ზღაპრულის ბურუსით შეიმოსა და ეს ელფერი ჩვენს რეალობას დღემდე დაჰკრავს. ამასთან, ეს სერია მხატვრის ბოლოდროინდელ განწყობასაც უნდა ასახავდეს, რომელიც, როგორც ჩანს, გაურკვეველი და არაერთმნიშვნელოვანია. თავად მასალამ კი, რომელსაც დიდი ხნის შემდეგ სწორედ ამ სერიაში მიუბრუნდა მხატვარი, მას ყველაზე ინტენსიური ძიების, ექსპერიმენტირების, სახვითი ხელოვნების ხერხების, თუ საკუთარი თავის შემეცნების საამოდ მოსაგონარი ჟამი გაუცოცხლა მეხსიერებაში - "X სართულის" პერიოდი. ამ ნოსტალგიამ დროზე, როცა მუდმივად იგონებდნენ, ცდიდნენ ახალს, სწავლობდნენ, მეგობრები, ერთმანეთისგანაც, ურთიერთობებში (და ურთიერთობებსაც), როცა ყოველი დღე ისეთი დატვირთული იყო და მრავლისმომცემი, რომ თუ ერთს "გამოტოვებდი", "ჩამორჩებოდი" თანამოაზრეებს, კიდევ ერთხელ მისცა ძლიერი იმპულსი ნიკო ცეცხლაძეს ძიებისთვის. და უკვე შეუქმნია კიდეც ახალი, ამჯერად ვიდეონამუშევარი, რომელიც თბილისელ მაყურებელს ჯერ არ გვინახავს. ის მუქი ლაქები კი ბოლო ნამუშევრებზე, "შავ ხვრელებთან" რომ ასოცირდება, შესაძლოა, ფარული, ავტორისთვისაც ჯერ ვერ გაცნობიერებული მინიშნება იყოს იმაზე, რომ ნიკოს კიდევ აქვს მოსაძებნი, მისაგნები და ხორცშესასხმელი, რომელსაც საყვარელ, აბსტრაქტულ-ექსპრესიონისტული მანერით მუშაობისას, თვითონაც რომ არ ელოდება - მაშინ, მიაგნებს.

ნინია კაკაბაძის სვეტი

# გაუნათლებელი და განუვითარებელი ქტიტორები



რამდენიმე დღის წინ, საინფორმაციო გამოშვების ერთ-ერთ უკანასკნელ სიუჟეტად იყალთოს მონასტრის შესახებ ინფორმაცია მოვისმინე. მე-6 საუკუნეში აგებული ნაგებობა ნგრევის პირასაა. ბუნებრივია, არავინ ცდილობს მის გამაგრებას თუ მომავალი საუკუნეებისთვის შენახვას. არადა ქართველებს, რომ გვკითხოთ, ყველაზე დიდი სიმდიდრე რაც გაგვაჩნია, ჩვენი ისტორია და ის ნიმუშებია, რომელიც დღემდე მოგვყვება. ამით ამაყობს ყოველი მეორე. მაგრამ ეს სიტყვები რომ ცარიელია, ამაში ყოველდღიურად ვრწმუნდები. თუ მხოლოდ შუშანიკი, გრიგოლ ხანძთელი და ვეფხის ტყაოსნის ტექსტებია აქტუალური?! და ესეც მაშინ გაგვახსენდა, როდესაც განათლების მინისტრმა მისი გამარტივებული სახით ბავშვებამდე მიწოდება გადაწყვიტა. მაშინ გამოფხიზლდა და ხმა ამოიღო მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა. მე ძალიან მაინტერესებს, სად არიან და რატომ არ აინტერესებთ ესოდენ ჭეშმარიტ მართლმადიდებლებს ის საკითხი, რომ საქართველოში ყველა უძველესი ეკლესია ნგრევის პირასაა. დღეს მხოლოდ აშენებენ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ახალ-ახალ ეკლესიებს და მრევლის რაოდენობაც დღემდე იზრდება. იქ, იმ უძველეს ეკლესიებში, რომელიც გარდა იმისა რომ, როგორც ხუროთმოძღვრების ნიმუში, საინტერესო და ჩვენი ისტორიული განვითარების აღმწერელია, იქაც არის ცოცხალი მღვდელი, რომელსაც ცოცხალი მრევლი ჰყავს. თუკი ეკლესიის, როგორც ისტორიული ნაგებობის ბედი არ გაწუხებთ, როგორც ჭეშმარიტ მართლმადიდებლებს, რატომ არ გაწუხებთ ასევე მართლმადიდებელი ადამიანების მომავალი, რომელთაც შესაძლებელია ნებისმიერ წუთს თავში აგური დაეცეთ და იმ ეკლესიასთან ერთად არსებობა შეწყვიტონ. იყალთოს მონასტერი, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით აჩვენეს, ერთ-ერთია იმ ეკლესიებს შორის, რომელიც დღეს ინგრევა. მათ შორისაა ნიკორწმინდა, დავით გარეჯის, ყინწვისისა და ატენის უნიკალური ფრესკები, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია. ხვალ ჩვენ ეს ფრესკები აღარ გვექნება. მგონი, დღეს ყველამ უნდა მოითხოვოს მათი აღდგენა. თუკი კაპიტალურ რესტავრაციაზე დღეს საუბარი ნაადრევია, მაშინ იმ მდგომარეობამდე მაინც მივიყვანოთ, რომ იქ მყოფი ადამიანების სიცოცხლეს საფრთხე აღარ დაემუქროს და თავად ტაძარიც, ბუნებრივია, ნგრევას გადაურჩეს. დღეს მე ეს მაკვირვებს და მაშფოთებს, ვინაიდან ვხედავ, თუ როგორ აგებენ თბილისში წელიწადში რამდენიმე ახალ ტაძარს, ყოფილი ჩინოვნიკები, პოლიციელები, მკვლელები, კანონიერი ქურდები, თუ უბრალოდ გამდიდრებული ადამიანები. რატომ ბატონო (თუკი თქვენი ენით გესაუბრებით), რაიონებში ლოცვა არ უნდა ხალხს, თუ იქაურ მღვდლებს არ ჰყავს მრევლი? მგონი, იმ ადამიანებზეც უნდა ვიზრუნოთ, ვინც ამ ზემოთ ხსენებულ ეკლესიებში დადის, და თავად ტაძრებზეც; თორემ, ვინმე პოლიციელი ფულს რომ იშოვის, ყველასათვის დასანახ ადგილას ააშენებს ახალ ეკლესიას და მერე თავისი ოჯახის წევრებთან ერთად ივლის, ეს საკმარისი არ არის. ღმერთი ყველგან გხედავთ, თუკი მისთვის აკეთებთ ამას. ასე რომ, გადაიხადეთ ქრთამი შედარებით უფრო მიზანმიმართულად, და ისე, რომ თქვენ მიერ ჩადებულმა კაპიტალმა, სიკეთე ერს მოუტანოს და არა მხოლოდ იმ მრევლს, რომელიც მუხლებს იხევს ახალ ეკლესიაში.

გარდა იმისა, რომ ყველა ამჩნევს თბილისში ახალ-ახალი ეკლესიების სიმრავლეს, და ახალ "ქტიტორებს", ისეთ დიალოგსაც შევსწრებივარ, როდესაც ერთი და იგივე მრევლის წარმომადგენელნი (პირადი პრობლემების მოგვარების მიზნით) საკუთარ ეკლესიას ფულს წირავენ, ასე ვთქვათ, იმ კონკრეტული ეკლესიის კიდევ უფრო კეთილმოწყობისათვის, ან საკუთარი მამაოს დახმარებისთვის. იქნებ მათ შევთავაზოთ: გაერთიანდნენ მრევლნი ამა ქვეყნისა და ამ ეტაპზე ერთი ფრესკა მაინც აღადგინონ, ან ერთი უძველესი ტაძარი მაინც შეაკეთონ, რომელიც შესაძლებელია, ყოველ მომდევნო დღეს დაინგრეს. მამაოების საცხოვრებელი სახლები თუ ახალი ეკლესიები, ისედაც ზედმეტად კეთილმოწყობილია. და ამიტომ ჭეშმარიტად ქრისტიანებო, იზრუნეთ თქვენი ქვეყნის ისტორიაზე და იმ ეკლესიაში ცოცხალი ადამიანების უსაფრთხოებაზე. სხვაგვარად მე თქვენს ქრისტიანობას არ ვირწმუნებ.

ასე რომ, იქნებ როგორც ჭეშმარიტად მორწმუნე მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა, ქტიტორებმა - მომავალში არა მხოლოდ ახალი ეკლესიების სახით ღმერთის მოქრთამვაზე იზრუნონ, მამაოებმა - საკუთარი მრევლის გამოთაყვანებაზე, მრევლის წარმომადგენლებმა კი - არა მხოლოდ პირადი პრობლემის მოგვარებაზე, არამედ ჩვენს საერთო ისტორიაზე და იმ ადამიანებზეც ვიფიქროთ, ვისაც შესაძლებელია, ასევე უნდა საკუთარი მამაო და ეკლესია, სადაც ღმერთს რაიმეს შესთხოვს. ეს პირველი საკითხი, რომელმაც შემაწუხა და სახალხოდ გაცხადება მაიძულა.

ახლა რაც შეეხება თანამედროვე ქტიტორების განათლების საკითხს. პირველ რიგში, იქნებ როგორმე მათ შევაგნებინოთ და გავაგებინოთ, რომ ეკლესიის აღდგენა, რესტავრირება, არა ნაკლები მადლია საეკლესიო გაგებით. და თუკი მაინცდამაინც სიკეთის ქმნა სურთ, დავარწმუნოთ ამ სიტყვების სიმართლეში. ბუნებრივია, ისინი ჩემს ნათქვამს არ დაიჯერებენ, ამიტომაც ჭეშმარიტ მართლმადიდებლებს ვთხოვ ამას.

მეორე - როგორც უკვე აღვნიშნეთ, საუკუნეების მანძილზე ნაგები ტაძრები, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის განმსაზღვრელია. სამწუხაროდ ახალი ეკლესიები მხოლოდ იმის დასტურია, რომ ქართველი ერი ნაწილობრივ ისტორიაში გაიყინა. საუკუნეების მანძილზე ყველა ეპოქას თავისი ფორმები აქვს და ჩვენ კი გასული საუკუნის ფორმებს ვაშენებთ და ვერაფერ ახალს ვერ ვქმნით. მიზეზი - დამკვეთი გაუნათლებელია, სამწუხაროდ მშენებელიც. მე-6 საუკუნემდე საქართველოში იგებოდა ჯვრის ტიპის ტაძრები, რომელსაც ხელოვნებათმცოდნეები კლასიკურ სტილს უწოდებენ. მე-12 მე-13 საუკუნიდან დაიწყო სვეტიცხოვლის ტიპის ეკლესიების აგება, რომელსაც ცხოველხატულს ეძახიან. მსგავსი ფორმების ჩარჩოშია მოქცეული ალავერდი და ბაგრატი. ამის შემდეგ, დღევანდელ დღეს, როდესაც იწყებენ ახალი ეკლესიების მასიურ შენებას (აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ უკანასკნელი წლების მაძილზე 30 ახალი ტაძარია აშენებული), არც ერთი მათგანი არ შეესაბამება თანამედროევეობას. ეს ისევ იმ ძველი ფორმების სინთეზია, რომელიც ამ საუკუნემდე მოგვყვა და არაფრით არ ასახავს თანამედროვე ფორმებს. მე იმის თქმა მინდა, რომ თუკი არ სურთ დღევანდელ "აღმშენებლებს" ძველი უნიკალური ტაძრებისა თუ ფრესკების აღდგენაში მონაწილეობის მიღება, და საკუთარ მისიას მხოლოდ ახლის აგებაში ხედავენ, მაშინ იქნებ ოდნავ მაინც იზრუნონ თანამედროვე ქართული კულტურის განვითარებაზე.

# ახლებური მმართველობა - მოქნილობა

გიგა გურასაშვილი

თბილისის მერიის კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურს, დასახელებიდან გამომდინარე, დიდი ვალდებულებები უნდა ჰქონდეს. ვალდებულებები აქამდეც ჰქონდა, მაგრამ ხსენებულ სამსახურებში დღეს არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა. ჩვენ გვინდოდა, გავრკვეულიყავით, თუ რა ვითარებაა სპორტში. ამიტომ გადავწყვიტეთ, ამ სამსახურის ხელმძღვანელობას, კერძოდ, უფროსის - დავით ოქიტაშვილის მოადგილეს გია უდესიანს გავსაუბრებოდით. უფრო სწორად, რამდენიმე ძირითად საკითხთან დაკავშირებით კითხვები დაგვესვა.

**- ნოემბრის რევოლუციამ თითოეულ სტრუქტურაზე იქონია გავლენა. თქვენს სამსახურში რა შეიცვალა, გარდა იმისა, რომ ხელმძღვანელობაა ახალი? ანუ შეიცვლება თუ არა თქვენი სამსახურის სტრუქტურა, საქმისადმი მიდგომა?**

- ყველაფერი კარდინალურადაა შესაცვლელი. ფაქტობრივად, ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ. ბოლო წლებისა თუ თვეების განმავლობაში, ვიდრე საკადრო საკითხები გადაწყდებოდა, უამრავი პრობლემა დაგროვდა. საჭირო გახდა, პირველივე დღიდან კარდინალური ცვლილებები, უფრო სწორად, ახალი პოლიტიკა გაგვეტარებინა. კერძოდ, ჩვენი სამსახური გავხადეთ უფრო მოქნილი. მთავრობის გადაწყვეტილებით, შემცირდა კადრები. შეიქმნა ბევრად მოქნილი განყოფილებები. თუ ერთი განყოფილება იმუშავებს სპორტულ სკოლებთან, მეორის ვალდებულება იქნება მუშაობა სპორტულ ფედერაციებთან, მასობრივ გამაჯანსაღებელ პროგრამებზე - ბავშვთა სპორტი და ა.შ.

ერთი სიტყვით, უამრავი საკითხია გადასაწყვეტი. მოსაწესრიგებელია ქალაქის სპორტსკოლებთან ურთიერთობის საკითხი, მისახედია ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სპორტული ბაზები, საკადრო ცვლილებებია გასატარებელი სპორტულ სკოლებში, ოლიმპიური მზადების ცენტრებსა თუ სპეციალიზებულ სკოლებში. ალბათ, საჭირო გახდება ახალი სახეების მოყვანა, რომლებიც ახალი, გუნდური პრინციპით მიხედავენ ქალაქის სპორტს. თითოეულმა მათგანმა უნდა აიღოს საკუთარი წილი პასუხისმგებლობა - მწვრთნელით დაწყებული და ჩემით დამთავრებული.

**- ყოველთვის პრობლემა იყო დაფინანსების საკითხი...**

- მოგეხსენებათ, ქალაქის სპორტის სამსახურს მწირი ბიუჯეტი აქვს, მაგრამ, ვფიქრობ, იქიდანაც შესაძლებელი იქნება რეალური საქმეების კეთება. გვინდა, ქალაქის უბნებში კეთილმოვაწყოთ სპორტული მოედნები, ჩავატაროთ მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, საქართველოს პირველობები თუ საერთაშორისო შეჯიბრებები.

ჩვენეული ხედვა გვაქვს ფედერაციებთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. სპორტული ფედერაციები ჩვენგან ითხოვდნენ დაფინანსების 70-80 პროცენტს, რაც არასწორად მიგვაჩნია. არსებობს ძეგლთა დაცვის, სპორტისა და კულტურის სამინისტრო, რომელმაც წილობრივად უნდა გაიღოს გარკვეული თანხები. იმის თქმა მინდა, რომ მარტო ქალაქის სპორტის სამსახური ამას ვერ გასწვდება, რადგან ის განაცხადები, რომელიც ჩვენთან შემოდის, დიდ თანხებს საჭიროებს. ზოგიერთი ფედერაცია იმდენს ითხოვს, გამოდის, მარტო მათ უნდა მოვუმართოთ ხელი. თუ სამი-ოთხი ფედერაცია დავაფინანსე, მაშინ ჩვენს ღონისძიებებს რა ვუყოთ?! ასე რომ, ამ მხრივ ბევრი რამ არის გადასახედი. გადასახედია ზოგიერთი ფედერაციაც. შეიკრიბება ოთხი-ხუთი კაცი, ჩამოაყალიბებენ, კაცმა არ იცის, რის ფედერაციას, მერე მას ვილაც ლობირებასაც გაუწევს და ბოლოს ჩვენ მოგვადგებიან ფულისთვის. არ გეგონოთ, რომ ცოტას ითხოვენ - 100-200 ათას ლარს! მერე სად მიდის ეს ფული, არავინ იცის. ამიტომ გადავწყვიტეთ, თითოეულ ნაკრებს, რომელსაც ჩვენ დავაფინანსებთ, დავაფინანსებთ პროგრამულად. მოისპობა ფულის ხელზე გაცემა. ხელშეკრულებას დავდებთ ტენდერში გამარჯვებულ ტურისტულ ფირმებთან, რომლებიც საკუთარ თავზე აიღებენ ამა თუ იმ გუნდის გასამგზავრებელი ბილეთებით უზრუნველყოფას, ვიზებს, სასტუმროებში მათ დაბინავებას, კვებას. ასე რომ, გვინდა, მაქსიმალურად მოვსპოთ სხვის ჯიბეში ხელის ფათურის შესაძლებლობა.

**- სახეობების მიხედვით თუ გექნებათ პრიორიტეტები?**

- ჩვენთვის ყველა სახეობა პრიორიტეტულია. მაგალითად, კარგი შედეგები გვაქვს მძლეოსნობაში, წყალბურთში, წყალში ხტომაში...

პროგრამული დაფინანსებით გარკვეული დოზით ყველას უნდა შევუწყოთ ხელი. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ყველაფერს მარტო ვერ გავწვდებით. პირადად მე ვერც იმის პასუხისმგებლობას ავიღებ, რომ ქართულ სპორტს მთლიანად დავალაგებ. ეს უნდა გააკეთოს ძეგლთა დაცვის, სპორტისა და კულტურის სამინისტრომ ჩვენთან ერთად.

**- უკანონოდ გასხვისებულ ობიექტებსა თუ სპორტულ ბაზებთან დაკავშირებით რა შეიცვლება? დაუბრუნდება თუ არა ისინი მათ კანონიერ მფლობელს - სპორტს?**

- ამ მხრივაც არაერთი პრობლემაა გადასაჭრელი. არის ობიექტები, რომლებიც სხვადასხვა დროს უკანონოდ არის მიტაცებული. სხვადასხვა სახეობის არაერთი უნიკალური ბაზაა დაკარგული. მაგრამ მინდა ყველამ იცოდეს, რომ არავის არაფერს შევარჩენთ. ის, რაც ქალაქის სპორტის სამსახურის საკუთრებაა, მასვე დაუბრუნდება. თუ იმ საქმეს ვერ მოვერიე, რომელიც მაბარია, სკამს არ ჩავებღაუჭები. როგორც მოვედი, ისევე წავალ.

## დიდი რაგბი საქართველოში!

მსოფლიოს გამორჩეული, NBA-სა და ჩემპიონთა ლიგის ბადალი ხარაგბო სუპერტურნირის - "ზე-12"-ის სუპერკლუბი თბილისში.

**სიურპრიზი გულშემატკივარს!**

პრეტორიელი "ლურჯი ხარები" საქართველოს საკლუბო, "ა" და ეროვნული ნაკრებების წინააღმდეგ.

**12 ივნისს - 14 საათზე**
თბილისის "ლოკომოტივის" სტადიონზე
**"ბლუ ბულზი" - საქართველოს კლუბების ნაკრები**

**16 ივნისს - 18 საათზე**
რუსთავის "მეტალურგის" სტადიონზე
**"ბლუ ბულზი" - საქართველოს "ა" ნაკრები**

**20 ივნისს - 18 საათზე**
ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე
**"ბლუ ბულზი" - საქართველოს ეროვნული ნაკრები**

არ გამოტოვოთ, ცოცხლად იხილეთ აფრიკელი "ქურციკებისა" და ქართველი "ლელოების" შერკინება.

12 და 13 ივნისს, "ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება შვიდკაცა რაგბის ევროპის სერიის თბილისის ეტაპი. მონაწილეობენ საფრანგეთის, შოტლანდიის, რუმინეთის, უკრაინის, ანდორის, შვეიცარიის, ისრაელის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.
რაგბის ქომაგებს საშუალება გექნებათ იხილოთ თავბრუდამხვევი ტემპითა და შემართებით გაჯერებული ლაღი, სხარტი ბურთაობა.
და კიდევ, 12 ივნისს, იქვე, "ლოკომოტივზე" შედგება სამხრეთაფრიკული "ბლუ ბულზის" მატჩი საქართველოს კლუბების ნაკრებთან.
ქართველ მორაგბეებს თქვენი მხარდაჭერის იმედი აქვთ, ძვირფასო გულშემატკივრებო.

**მატჩების დასაწყისი:**

**12 ივნისს - 16 საათზე**
**13 ივნისს - 10 საათზე**

რაგბი

# აფრიკელებმა გადაგვჭამეს

პაატა თოთაძე



უკვე კარგა ხანია ისმის, საქართველოში ზე-12-ის გუნდი ჩამოდისო. და, აი, გუშინ სამხრეთაფრიკული "ბლუ ბულზი" თბილისს ეწვია. ფაქტობრივად, ამ დღიდან დაიწყო სარაგბო დღესასწაული ჩვენს ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ თავად თამაშები ხვალიდან იწყება. რაგბის გულშემატკივარს ჯერ თბილისის კლუბების ნაკრებისა და "ბულზის" თამაშის ხილვის საშუალება ექნება, შემდეგ კი თბილისის შვიდკაცაც დაიწყება.

მსოფლიო თასზე ამ გუნდიდან ნაკრებში რვა კაცი თამაშობდა. თბილისში ახლა მხოლოდ სამი მათგანია, თუმცა, რაგბის ქომაგთათვის ადვილი წარმოსადგენია, როგორიც შეიძლება იყოს ეს გუნდი. ვისთვისაც არა, გეტყვით, რომ პირველი, რაც თვალში გეცემათ, აფრიკელთა აღნაგობაა - დიდები, ფიზიკურად ძლიერები. იმასაც გეტყვით, რომ "ბულზის" კაპიტანი კრონხე სამი წლის წინათაც იყო თბილისში სამხრეთ აფრიკის "ა" ნაკრების შემადგენლობაში. ამ გუნდშია ქართველთათვის ორი ლელოს გამტანი დენი როსოუ, რომლის შეჩერება მსოფლიო ჩემპიონატზე ბორჯღალოსნებმა ვერაფრით ვერ მოახერხეს. ახლა თუ მენიუსაც გადახედავთ, წარმოიდგენთ, საქმე ვისთან გვაქვს. კაცზე ნახევარ კილოგრამ ხორცზე ლაპარაკი არაა, ამას ემატება თითო კილო ვაშლი, ბანანი, უცხიმო რძის პროდუქტები. არ გეგონოთ, ეს ყველაფერი დილიდან საღამომდე ეყოფათ. არა, ერთ ჭამაზე უნდათ! და კიდევ თავიანთი ჩამოტანილი სასმელი, რომელსაც ვარჯიშის მერე სვამენ. ნაყინიც გვაჭამეთო, ითხოვეს და... თვლა აერიათ, ვინ რამდენი ჭამა. კინაღამ მაცივრებით გახდა მოსატანი.

ყველაზე უარესი კი ის არის, რომ ასეთი ჯან-ღონის ხალხი უაღრესად მოქნილი და მობილურია. თანაც, ყველა, უკანახაზელით დაწყებული და პირველხაზელით დამთავრებული. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების ბაზაზე დაბინავებულმა აფრიკელებმა დღის პირველ საათზე დააპირეს ვარჯიში, თუმცა, მერე ოთხი საათისთვის გადადეს. ჯერ მცირე მოთელვა ჰქონდათ, კუნთები გაახურეს, შემდეგ კი, ჩვენ რომ პამპულობანას ვეძახით, ამგვარი რამ გააჩაღეს, თანაც, თითოეულ მოთამაშეს ბურთთან ერთი შეხების უფლება ჰქონდა. იქ კი ნათლად გამოჩნდა მათი კლასი და ის, რომ ერთადერთი, ვინც, შესაძლოა, აფრიკელებს წინააღმდეგობა გაუწიოს, ჩვენი ეროვნული ნაკრების, თორემ დედაქალაქის კლუბებს, რომლებიც, ძირითადად, "ლოკომოტივის" მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული და "ა" ნაკრებს, არა გვგონია, მათთან ჭიდილში რამე გამოუვიდეთ.



"ბლუ ბულზის" რაგბისტებმა გუშინ პირველი ვარჯიში ჩაატარეს, შემდეგ კი აუზშიც იბანავეს

გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

ბუნებრივია, აფრიკელები ჩვენზე ძლიერები არიან, მაგრამ, ბოლომდე ვეომებითო, იქადნებიან ჩვენები. "ჩვენთვის ანგარიშს მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, გუნდი "ქარრის თასისთვის" კარგად მოემზადოს და შეთამაშდეს. ჩვენ გვაქვს გარკვეული ხარვეზები, რომლებსაც, ვეცდებით, თქვენთან თამაშში აღმოვფხვრათ", - განაცხადა "ბულზის" მწვრთნელმა ჰაიკე მაიერმა, - "ჩვენ შარშან გადავწყვიტეთ საქართველოში ჩამოსვლა. ვფიქრობთ, სწორი არჩევანი გავაკეთეთ".

თამაშების გარდა, აფრიკელები ერთობლივ წვრთნებსაც ჩაატარებენ ქართველებთან, თუმცა, ჯერ არაა დაზუსტებული - როდის.

საათნახევრიანი ვარჯიშის შემდეგ აფრიკელებმა აუზს მიაშურეს, მერე ჩაიცვეს და კუს ტბისკენ გასწიეს. მასპინძლებმა, ქართული კერძების გაუსინჯავად აქედან როგორ გაგიშვებთო და...

ბაზის მოედანი საღამოს უკვე საქართველოსა და ისრაელის შვიდკაცას ნაკრებებს დაეთმოთ. მოედნის ერთ ნახევარზე ჩვენი ნაკრები ვარჯიშობდა, მეორეზე კი - ისრაელისა. ნახევარსაათიანი წავარჯიშების შემდეგ გუნდებმა ერთმანეთში ითამაშეს. დღეს ქართველები კიდევ ერთხელ ივარჯიშებენ, ხვალიდან კი უკვე ტურნირში ჩაებმებიან, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპია. ბორჯღალოსანთა შორის რამდენიმე ახალი სახე გამოჩნდა. გუშინ მოვარჯიშეთა შემადგენლობა კი ამგვარია: ირაკლი აბუსერიძე, ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ოთარ ბარკალაია, ირაკლი მაჩხანელი, ირაკლი გუნდიშვილი, ლექსო გუგავა, გიორგი ელიზბარაშვილი, სიმონ მაისურაძე, ირაკლი გიორგაძე, გიორგი კაჭარავა. დღეიდან მათ გია ლაბაძე დაემატებათ და მივიღებთ გუნდს, რომელიც მომავალ წელს ჰონგ კონგში მსოფლიო ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძოლებს.

ოლიმპიზმი

# ერაყი ოლიმპიადაზე ითამაშებს

ათენში გაიმართა საფეხბურთო ტურნირის კენჭისყრა. საინტერესოა, რომ ათენში არ ითამაშებს ბრაზილიის ნაკრები. სამაგიეროდ, ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის უფლება ერაყის ნაკრებმა მოიპოვა.

ფეხბურთი სპორტის ბოლო სახეობაა, რომელშიც ოლიმპიური თამაშების ყველა მონაწილე ცნობილია. სამშაბათს დასრულდა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი ფეხბურთში და თამაშების ორგანიზატორებმა შეიტყვეს იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც ოლიმპიადაზე ევროპას წარმოადგენენ - იტალია, სერბეთი და პორტუგალია. ამ ცნობიდან მეორე დღეს გუნდები უკვე ჯგუფებში გაანაწილეს. პრინციპში, ქვეჯგუფები თანაბარი გამოვიდა. თუმცა, საგულისხმოა, რომ ოლიმპიურ თამაშებზე საფეხბურთო ქვეყნის სახელი ბევრს არაფერს ნიშნავს. სიურპრიზები აქ ჩვეულებრივი მოვლენაა.

რეგლამენტის მიხედვით განაცხადში შეიძლება შეიყვანონ ფეხბურთელი, რომლის ასაკი 23 წელს არ აღემატება. თუმცა, სამი ფეხბურთელისთვის გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია. როგორც წესი, წარმატებას მოიპოვებს ის გუნდი, ვინც კვოტას კარგად გამოიყენებს და ახალგაზრდებს სამ გამოცდილ მოთამაშეს უნაკლოდ შეუხამებს. ბოლო დროს ოლიმპიადას აფრიკელები იგებდნენ - ნიგერია (1996) და ოთხი წლის შემდეგ სიდნეიში - კამერუნი. არც ერთი ეს გუნდი ათენში არ ითამაშებს. შესარჩევი ტურნირი აფრიკიდან მალიმ, განამ, ტუნისმა და მაროკომ გაიარეს.

საერთოდ, ოლიმპიურ თამაშებზე საფეხბურთო ტურნირი ყველაზე დემოკრატიული და ამავე დროს საოცარია. კიდევ სად შეიძლება მოხდეს, რომ აფრიკა და ევროპა 4-4 გუნდით იყოს წარმოდგენილი? თანაც, საბერძნეთი, როგორც მასპინძელი, ტურნირზე შესარჩევი ციკლის გარეშე მოხვდა. ამასთან, საფეხბურთო ტურნირი როგორც ვაჟებს, ისე ქალებს შორის ოლიმპიადის გახსნამდე ორი დღით ადრე დაიწყება.

ოლიმპიადის მთავარი პეწი კი ერაყის ფეხბურთელთა ნაკრების გამოსვლა იქნება. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ერაყელებს ათენში გამოსვლის ნება თებერვალში დართო. შედეგად, ერაყის ნაკრებმა წარმატებით გადალახა შესარჩევი ეტაპი და მაისში, გადამწყვეტ მატჩში, საუდის არაბეთის ნაკრები დაამარცხა. ათენში ერაყელთა მეტოქეები კოსტა-რიკა, მაროკო და პორტუგალია იქნებიან. ერაყის ნაკრებს შეუძლია, კიდევ უფრო გააოცოს საფეხბურთო სამყარო, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ გუნდი მეოთხედფინალში გააღწევს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალგაზრდულ გუნდებს სიურპრიზები უყვართ, მაშინ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ყველა ჯგუფი დაახლოებით თანაბარი ძალისაა. ვარაუდობენ, რომ უკვე ტრადიციული ფავორიტების, აფრიკელების გარდა, გამარჯვების შანსი აქვთ იტალიას, არგენტინასა და მექსიკას. შეიძლება, როგორც იტყვიან, პარაგვაიმაც გაისროლოს, რომლის მიზეზით ბრაზილიის ნაკრები ვერ მოხვდა ოლიმპიადაზე. ბრაზილიის ნაკრებს არასდროს მოუგია ოლიმპიური თამაშები. თუმცა, მას შემდეგ, რაც ოლიმპიურ თამაშებზე ვერ მოხვდა აშშ-ის ბეისბოლისტთა ნაკრები, ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მორიგი ჩავარდნა ანეკდოტად აღარ აღიქმება.

ქალთა საფეხბურთო ტურნირის ფინალი ათენის "კარაისკაკის" სტადიონზე 26 აგვისტოს გაიმართება. ვაჟთა ფინალური მატჩი კი ათენის ოლიმპიურ სტადიონზე 28 აგვისტოს შედგება.

ფეხბურთი

# ლაზარეთი

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე ტრავმების ნამდვილი ეპიდემია შეეყარა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქეს საბერძნეთის ნაკრებს. ბოლო დროს ტრავმირებულთა არმიას 7 ფეხბურთელი შეემატა, მათ შორის გუნდის ძირითადი ცენტრალური მცველი ტრაიანოს დელასი.

თუ ასე გაგრძელდა, ოტო რეჰაგელს გასაწვრთნელიც აღარავინ დარჩება. გერმანელის მეტისმეტი მცდელობა, დაეტვირთა ფეხბურთელები, იმით დასრულდა, რომ უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ლაზარეთს მიადგა 7 ფეხბურთელი, რომელთა უმრავლესობა მცველია. სამშაბათიდან მოყოლებული, ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობენ მცველები: იურკას სეიტარიდისი და ნიკოლას დაბიზასი, ნახევარმცველი გეორგიოს კარაგუნისი. თუმცა, ბერძნული პრესის ინფორმაციით, ამ ფეხბურთელებმა რეაბილიტაცია უკვე მოასწრეს.

ოთხშაბათს გაირკვა, რომ ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს ფორვარდი დემის ნიკოლაიდისი, რომელმაც ჯვარედინი მყესები დაიზიანა. ხუთშაბათს კი ექიმების დახმარება ძირითად მეკარე ანტონიოს ნიკოპოლიდისს, მცველ ტრაიანოს დელასს (რომელმაც ბარძაყი დაიზიანა) და ჰავბ



ოტო რეჰაგელს დიდი პრობლემები აქვს

ეკ ტრაიანოს ლაკისს დასჭირდათ. ამასთან, დელასის მდგომარეობა ნაკრების ექიმთა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. უახლოეს პერიოდში "რომას" მცველმა ინტენსიური თერაპიის კურსი უნდა ჩაიტაროს. ამის შემდეგ გაირკვევა, შეძლებს თუ არა ის შაბათს პორტუგალიის წინააღმდეგ თამაშს.

ამას გარდა, პრობლემები აქვს მცველ კონსტანტინოს კაცურანისს - მას სურდო შეეყარა.

ბუნებრივია, ამ ცნობებმა ცოტათი დააცხრო ოტო რეჰაგელის ამბიციური ტონი. ამას წინათ გერმანელი აცხადებდა: მის გუნდს რეალური შანსი აქვს, მთელ ევროპას დაანახოს, რომ ფინალურ ეტაპზე შემთხვევით არ მოხვედრილა. "ხანდახან ზეიმი აუტსაიდერების ქუჩაზეც იმართება, - ამბობდა რეჰაგელი, - ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც, ვთქვათ, ლუიშ ფიგუ და რუი კოშტა არიან, ჩვენსავით მხოლოდ ორი ფეხი აქვთ და არც თვალები აქვთ კისერზე".

ნახევარმცველმა თეოდორის ზაგორაკისმა კი მთელი გუნდის განწყობა გამოხატა, როცა განაცხადა: "ამას წინათ პორტუგალიას შევხვდით და ამ გუნდის შესახებ გარკვეული წარმოდგენა უკვე გვაქვს. ეჭვი არ შეგეპაროთ, ჩვენ ასი პროცენტით მზად ვიქნებით". რაც შეეხება ვასილის ცარტასს, მან უფრო ამბიციური განცხადება გააკეთა. "პირდაპირ გეტყვით, აქ იმისთვის ჩამოვედით, რომ სამივე მატჩი მოვიგოთ. სამი ქულა გვჭირდება პორტუგალიასთან, შემდეგ ესპანეთთან და ბოლოს რუსეთთანაც", - განაცხადა ცარტასმა.

ვარაუდობენ, რომ შაბათს საბერძნეთის ნაკრები - 4-5-1 სქემით ითამაშებს. თუმცა, ყველაფერი ნიკოლაიდისის ფიზიკურ მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული. რეჰაგელი აპირებს, მადრიდის "ატლეტიკოს" თავდამსხმელი ერთადერთ ფორვარდად გაამწესოს.

ბოლო ინფორმაციით, ნიკოლაიდისი პორტუგალიასთან მაინც ითამაშებს. "უკანასკნელი ვარჯიში მან გუნდთან ერთად ჩაატარა და ფეხის ტკივილს არ შეუწუხებია", - განაცხადეს საბერძნეთის ნაკრების ბანაკში.

საბერძნეთის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობიდან გუნდმა ხუთშაბათს კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა მიიღო. ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაში გუნდი ჯილდოს სახით ორ მილიონ ევროს მიიღებს.

ფეხბურთი

# ჯონ ტერის კარაგერი შეცვლის

ინგლისის ნაკრების ცენტრალური მცველი ჯონ ტერი ვერ შეძლებს, გუნდის შემადგენლობაში ჯგუფური ეტაპის სამივე მატჩი ჩაატაროს. მის ადგილზე მთავარ კანდიდატად "ლივერპულის" ფეხბურთელს ჯეიმი კარაგერს განიხილავენ. არადა, თვითონ ფეხბურთელი ამბობს, რომ დაცვის ცენტრში თავს კარგად ვერ გრძნობს.

ამასობაში გუნდის მწვრთნელმა სვენ-გორან ერიქსონმა სამედიცინო შტაბისგან არცთუ ისე დამაიმედებელი ინფორმაცია მიიღო. ექიმები არ ურჩევენ საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ ჯონ ტერის მინდორზე გამოშვებას. ფრანგები კი ჯგუფში ინგლისელთა უმთავრეს მეტოქედ განიხილებიან. ტერის გამოშვებას შვედი იმ შემთხვევაშიც კი აპირებდა, თუ ფეხბურთელი 70 პროცენტით მაინც იქნებოდა მზად, მაგრამ ექიმებმა მას რისკისგან თავის შეკავება ურჩიეს. მათი თქმით, "თუ ტერის პირველივე მატჩში ვათამაშებთ, მას ევროპის ჩემპიონატის ბოლომდე დავკარგავთ".

საბოლოო გადაწყვეტილებას ერიქსონი დღეს მიიღებს. თვითონ ფეხბურთელმა განაცხადა, რომ კარგი იქნება, თუ ძალებს ორმხრივ თამაშში მოსინჯავს, მაგრამ ერიქსონი, როგორც ჩანს, ფეხბურთელს არ დაუჯერებს. უკვე 9 დღეა, ჯონ ტერის ბურთით არ უვარჯიშია და მხოლოდ მინდვრის ირგვლივ სირბილით იქცევდა თავს.

ბუნებრივია, ტერის ტრავმის შემდეგ საუბარი დაიწყო მის შემცვლელზე. გადაწყვიტეს, რომ საუკეთესო კანდიდატი ჯეიმი კარაგერი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, მისი კანდიდატურა უფრო შთამბეჭდავი ჩანს, ვიდრე ტოტენჰემელი ლედლი კინგისა. ასე რომ, კარაგერს, რომელიც გუნდში ცენტრალური მცველების დეფიციტის გამო ბოლო მომენტში მოხვდა, რეალური შანსი აქვს, 26 წლის ასაკში თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში დიდ საფეხბურთო ტურნირზე ითამაშოს.



ჯონ ტერი ინგლისის ნაკრების პირველ სამ შეხვედრას გამოტოვებს

"მე ვიცი, რომ გუნდში სხვა ფეხბურთელების ტრავმების გამო ჩავირიცხე, - განაცხადა კარაგერმა, - მაგრამ თუ ასეთი შანსი მოგეცემა, ის უნდა გამოიყენო. ამ ჩემპიონატზე თამაშობენ ფორვარდები, რომლებიც მსოფლიოში საუკეთესონი არიან, მაგალითად, ტიერი ანრი. მათი უმრავლესობა პრემიერლიგაში თამაშობს, ამიტომ არა მგონია, მათ წინააღმდეგ რაიმე პრობლემა შეგვექმნას. მათი თამაშის მანერა ჩვენი ფეხბურთელებისთვის კარგად არის ცნობილი. თუმცა, ამავე დროს ისიც კარგად ვიცით, თუ რას ნიშნავს კონცენტრაციის დაკარგვა, რასაც აუცილებლად უსიამოვნება მოჰყვება. სექტემბერში, "ბელქბერნ როვერსთან" მატჩში, კარაგერმა ფეხი მოიტეხა და მინდორს მხოლოდ იანვარში დაუბრუნდა. თუმცა, სეზონის დარჩენილი ნაწილი ფეხბურთელმა წარმატებით ჩაამთავრა და ნაკრებში მიწვევა დაიმსახურა.

"ბოლო ხუთი თვე შთამბეჭდავად ჩავატარე და შვედებთან ამხანაგურ მატჩზე მიწვევა დავიმსახურე, - განაცხადა კარაგერმა, - შეიძლება წლევანდელი სეზონი "ლივერპულისთვის" არც ისე წარმატებული იყო, მაგრამ ჩემთვის საუკეთესო გამოდგა და შედეგად ევრო 2004-ზე მოვხვდი. მე თავს დასვენებულად ვგრძნობ. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ საკუთარ შესაძლებლობებში და მზად ვარ, მოედანზე გამოვიდე, თუ მწვრთნელი ძირითად შემადგენლობაში ადგილს მანდობს". თუმცა, კარაგერი ამტკიცებს, რომ ფლანგზე უკეთესად გრძნობს თავს, ვიდრე დაცვის ცენტრში.

"სტეფან ანჩოს ტრავმის გამო "ლივერპულის" შემადგენლობაში რამდენიმე მატჩი დაცვის ცენტრში ჩავატარე. ეს კი ფსიქოლოგიურად ბევრად უფრო რთულია. ცენტრში მოდუნდები და მეტოქე ამ შანსს აუცილებლად გამოიყენებს. მარჯვენა ფრთაზე, სადაც ჩვეულებრივ ვთამაშობ, არის მომენტები, როცა სულის მოთქმა შეიძლება. ცენტრალური მცველის პოზიცია დიდ ფიზიკურ გამძლეობას არ მოითხოვს, მაგრამ მუდმივი კონცენტრაცია აუცილებელია", - თქვა ფეხბურთელმა.

კარაგერის თქმით, როცა "ლივერპულში" მივიდა, ბევრი მის ადგილს ვერც ერთ პოზიციაზე ვერ ხედავდა. თუმცა, მან სიტუაცია თავის სასარგებლოდ შეცვალა. კარაგერი იქცა უნივერსალურ ფეხბურთელად, რომელსაც რამდენიმე პოზიციაზე თამაში შეუძლია.

"ვფიქრობ, მწვრთნელისთვის დიდი წარმატებაა, როცა მას უნივერსალური ფეხბურთელები ჰყავს", - შენიშნა კარაგერმა. სწორედ ეს თვისება დაეხმარა ფეხბურთელს, ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში მოეპოვებინა ადგილი.

TV-სპორტი

### პარასკევი. 11 ივნისი

**НТВ+ФУТБОЛ**

07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ჯო დუმარსი
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1988. "LOS ANGELES LAKERS" - "DETROIT PISTONS". მე-6 მატჩი
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა) - "რივერ პლეიტი" (არგენტინა) პირველი მატჩი
15:00 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
15:30 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალი" - "რასინგი"
17:15 თავისუფალი დარტყმა
17:30 უკრაინის ჩემპიონატი. "არსენალი" - "დინამო"
19:15 "FUTBOL MUNDIAL"
19:45 "ექსპერტიზა"
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:20 "დარტყმა გოლისთვის"
20:35 თავისუფალი დარტყმა
20:50 ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი. "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა) - "რივერ პლეიტი" (არგენტინა) პირველი მატჩი
22:35 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. "არსენალი" (ინგლისი) - "შახტიორი" (უკრაინა)
00:20 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" - "ჰერტა"
02:05 "ექსპერტიზა"
02:35 02:35-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს ჩემპიონატი. ფინალი. "DETROIT PISTONS" - "LOS ANGELES LAKERS". მე-3 მატჩი

**НТВ+СПОРТ**

11:00, 14:00, 17:00, 19:30 პრეს-ცენტრი
11:20, 19:45 "ოლიმპის შვილები"
11:25, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
11:45 ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. "Montreux Volley Masters" შვეიცარია. ქალები. აშშ - იტალია
13:15 "მოტოვებული კვირა"
14:35 ჭადრაკი. "პეტროსიანის სახელობის გუნდი" - მსოფლიო ნაკრები
15:05 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
15:35 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
16:05 მძლეოსნობა. "Golden League"-ის სერიის სტარტის წინ
17:15 ტრიატლონი. მსოფლიო თასი. გადაცემა ჰონოლულუდან
18:05 ტაილანდური კრივი
19:00 "ნადირობის სეზონი"
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "DETROIT PISTONS" - "LOS ANGELES LAKERS". მე-3 მატჩი
22:25 ჭადრაკი. "პეტროსიანის სახელობის გუნდი" - მსოფლიო ნაკრები
22:55 მძლეოსნობა. IAAF Golden League "Exxon Mobil Bisslett Games" ნორვეგიიდან. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ახალი ამბები
01:15 ჩოგბურთი. ATP ტურნირი გერმანიაში. მეოთხედფინალი

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
12:30 ფეხბურთი. უეფას ისტორიები
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი საბერძნეთში
14:15 ფეხბურთი. საფრანგეთი - ბრაზილია
15:45 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა
16:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ლეგენდები
17:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი დიდ ბრიტანეთში
21:30 ფეხბურთი. პლანეტა ევრო
22:00 ავტორბოლები. ლე მანის 24 საათი
00:45 ფიტნესი. მსოფლიო ჩემპიონატი პოლონეთში
01:45 ყველაზე ძლიერი ადამიანი. სუპერ სერიის გრან-პრი ჰოლანდიაში
02:45 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
03:15 ახალი ამბები
03:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ჩემპიონთა თაობა
04:15 ახალი ამბები

## Euro 2004 ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღეღა დარჩა!

*ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღეღა დარჩა. გულშემატკივარი დიდი საფეხბურთო ციებ-ცხელების მოლოდინში ისრისავს ხელებს. ცხადია, ამ ამბავს ვერც ჩვენი გაზეთი აუვლიდა გვერდს. გთავაზობთ ინფორმაციებს ევროპის ჩემპიონატების ისტორიიდან და აქვე წარმოგიდგენთ მომავალი ტურნირის მონაწილე გუნდებს.*

### ევროპის ჩემპიონატების ყველა ფინალი

ევროპის ერთა თასი (ასე უწოდებდნენ ადრე ევროპის ჩემპიონატს) ჩატარების იდეაანრი დელანის ეკუთვნის, რომელიც 1927 წელს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას ხელმძღვანელობდა. დელანი 1955 წელს გარდაიცვალა, პირველი საკვალიფიკაციო მატჩების დაწყებამდე სამი წლით ადრე.

| წელი | ჩემპიონი | | ფინალისტი | მასპინძელი |
|---|---|---|---|---|
| 1960 | სსრკ | 2-1 | იუგოსლავია | საფრანგეთი |
| 1964 | ესპანეთი | 2-1 | სსრკ | ესპანეთი |
| 1968 | იტალია<br>განმეორებითი მატჩი | 1-1<br>2-0 | იუგოსლავია | იტალია |
| 1972 | დას. გერმანია | 3-0 | სსრკ | ბელგია |
| 1976 | ჩეხეთი<br>პენალტების სერია | 2-2<br>5-3 | დას. გერმანია | იუგოსლავია |
| 1980 | დას. გერმანია | 2-1 | ბელგია | იტალია |
| 1984 | საფრანგეთი | 2-0 | ესპანეთი | საფრანგეთი |
| 1988 | ჰოლანდია | 2-0 | სსრკ | გერმანია |
| 1992 | დანია | 2-0 | გერმანია | შვედეთი |
| 1996 | გერმანია* | 2-1 | ჩეხეთი | ინგლისი |
| 2000 | საფრანგეთი* | 2-1 | იტალია | ჰოლანდია/ ბელგია |

*გაიმარჯვა ოქროს გოლით

Source: UEFA © GRAPHIC NEWS

### ევროპის ჩემპიონატების ყველა მონაწილე

* დასავლეთ გერმანიის სახელით

მოგება - 2 ქულა
ფრე - 1 ქულა

| ქვეყანა | თ | მ | ფ | წ | გაშ. | გატ. | ქ | ჩემპიონი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 33 | 17 | 10 | 6 | 49 | 31 | 44 | 1972*, 1980*, 1996 წლებში |
| ჰოლანდია | 25 | 15 | 6 | 4 | 45 | 23 | 36 | 1988 |
| საფრანგეთი | 23 | 12 | 6 | 5 | 40 | 29 | 30 | 1984, 2000 |
| იტალია | 24 | 10 | 9 | 5 | 26 | 17 | 29 | 1968 |
| რუსეთი | 25 | 9 | 7 | 9 | 30 | 30 | 25 | 1960 (სსრკ) |
| ესპანეთი | 25 | 7 | 8 | 10 | 26 | 32 | 22 | 1964 |
| ინგლისი | 23 | 7 | 7 | 9 | 25 | 26 | 21 | |
| ჩეხეთი | 19 | 7 | 6 | 6 | 26 | 23 | 20 | 1976 (ჩეხოსლოვაკია) |
| პორტუგალია | 13 | 7 | 3 | 3 | 19 | 10 | 17 | |
| იუგოსლავია | 20 | 5 | 5 | 10 | 31 | 45 | 15 | |
| დანია | 20 | 5 | 4 | 11 | 22 | 33 | 14 | 1992 |
| ბელგია | 16 | 5 | 3 | 8 | 16 | 28 | 13 | |
| უნგრეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 12 | 13 | 8 | |
| შვედეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 8 | 9 | 6 | |
| რუმინეთი | 13 | 1 | 4 | 8 | 11 | 19 | 6 | |
| ბულგარეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 6 | 8 | 5 | |
| შოტლანდია | 6 | 2 | 1 | 3 | 4 | 5 | 5 | |
| ხორვატია | 4 | 2 | 0 | 2 | 5 | 5 | 4 | |
| ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 3 | |
| ნორვეგია | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | |
| თურქეთი | 7 | 1 | 1 | 5 | 3 | 9 | 3 | |
| სლოვენია | 3 | 0 | 2 | 1 | 4 | 5 | 2 | |
| საბერძნეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1 | 4 | 1 | |
| შვეიცარია | 3 | 0 | 1 | 2 | 1 | 4 | 1 | |
| უელსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1 | 3 | 1 | |

Sources: UEFA, RSSSF © GRAPHIC NEWS



# რონალდ უილსონ რეიგანის მიღწევები

(შეერთებული შტატების მეორმოცე პრეზიდენტი. 1911-2004)

ირაკლი არეშიძე

დღეს მსოფლიო დაემშვიდობება რონალდ რეიგანს, ჯორჯ ვაშინგთონის შემდეგ, ამერიკის, ალბათ, ყველაზე პოპულარულ პრეზიდენტს. განსჯის მკაფიო განსაზღვრულობა და სიტყვის ძალა დაეხმარა რეიგანს, დაეცვა ის, რაც მას სწამდა და სჯეროდა და დაემარცხებინა დედამიწაზე ოდესმე არსებულ პოლიტიკურ რეჟიმთა შორის ყველაზე უფრო ტირანული რეჟიმი. ბევრისათვის რეიგანი იყო და ითვლება დემოკრატიული პოლიტიკური ლიდერის ხალხთან ურთიერთობის საუკეთესო მაგალითად. ეს მართლაც ასე, მაგრამ რეიგანი სინამდვილეში ბევრად უფრო მეტი გახლდათ - იგი იყო ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრეზიდენტი და მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლიდერი. რეიგანი შევა ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი, იმ სამ უდიდეს პრეზიდენტთაგან, რომლებიც დამფუძნებელ მამათა თაობის შემდგომ ისტორიულ პერიოდში მართავდენ ამერიკას. (დამფუძნებელთა თაობას განეკუთვნება, შეერთებული შტატების მამად შერაცხული ჯორჯ ვაშინგთონი. სავარაუდოა, რომ ამ დიადი პრეზიდენტის მიღწევები ბევრად აღემატება ნებისმიერ სხვა, მისი მემკვიდრე პრეზიდენტის წარმატებებს).

შეერთებული შტატების დაფუძნების შემდეგ, ქვეყანა სამჯერ აღმოჩნდა ძირეულად გადამწყვეტი, ისტორიული მომენტის წინაშე. იდეა, რომ მოწესრიგებული თავისუფლების არსებობისას, ადამიანებმა თვითონ უნდა მართონ სახელმწიფო ანუ ის იდეა, რომელიც დაიბადა ამერიკაში და რომელსაც ამერიკა იცავს თავისი არსებობით, შემდეგი სამი შემთხვევისას დადგა უდიდესი საფრთხის წინაშე: 1. სამხრეთ შტატების აჯანყება, რომელსაც სამოქალაქო ომი მოჰყვა; 2. ფაშიზმი, რომელმაც გამოიწვია II მსოფლიო ომი, და 3. კომუნიზმი, რომელმაც წარმოქმნა ცივი ომი. გადარჩებოდა თუ არა, ლიბერალური დემოკრატია, როგორც ადამიანისათვის აქამდე ცნობილი, მთავრობის შესაძლო, განხორციელებად ფორმათაგან ყველაზე უკეთესი ფორმა, უნდა გადაეწყვიტა ამერიკის იმ უნარს, რომლის საშუალებითაც შეერთებულ შტატებს უნდა დაეძლიათ ეს საფრთხეები.

ამერიკამ დაამარცხა სამივე საფრთხე. აბრაამ ლინქოლნი, მეთექვსმეტე პრეზიდენტი, წინ უძღვოდა ერს სამოქალაქო ომში, რომლის შედეგად დაძლეული იქნა მონობა. ფრანქლინ დელანო რუზველთი, ოცდამეთერთმეტე პრეზიდენტი, სარდლობდა შეერთებულ შტატებს, და მოკავშირეებთან ერთად იზეიმა ფაშიზმზე გამარჯვება. ეს ომები, ლინქოლნისა და რუზველთის საპრეზიდენტო ვადებში დამთავრდა. სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა ხუთი, ხოლო II მსოფლიო ომი ოთხი წლის განმავლობაში. სწორედ ამ მიღწევათა გამო, ორივე პრეზიდენტი, ლინქოლნი და რუზველთი ისტორიკოსების მიერ განიხილებიან, როგორც ამერიკის უდიდესი ლიდერები.

კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდი, ბევრად უფრო ხანგრძლივი გამოდგა. ამ დროის განმავლობაში, შეერთებულმა შტატებმა ცხრა პრეზიდენტი გამოიცვალა. ამის მიუხედავად და ლინქოლნისა და რუზველთის მსგავსად, რომლებიც სამოქალაქო და II მსოფლიო ომებში გამარჯვებულ ლიდერთაგან, ყველას აღემატებიან, პრეზიდენტი რეიგანია ის პიროვნება, რომელიც ცივ ომში გამარჯვებულის უდიდეს პატივს იმსახურებს.

ცივი ომის ისტორია, პრეზიდენტი ტრუმენის დროიდან დაწყებული 1981 წლამდე, ხასიათდება იმით, რომ შეერთებული შტატები იყო ჩაბმული "ომში", რომლის მიზანს წარმოადგენდა სსრკ-ს მხოლოდ შეკავება, და არა ამერიკისა და მოკავშირეების მიერ მოწინააღმდეგის დამარცხება, როგორც ეს მოხდა ფაშიზმის შემთხვევაში. ამერიკის მაშინდელი ლიდერები ბევრს საუბრობდნენ, რათა გამოენახათ რაიმე გზები, თუნდაც მხოლოდ იმისათვის მიეღწიათ, რომ კომუნიზმს უკან დაეხია, რათა როგორმე დახმარებოდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს თავისუფლების მოპოვებაში და სხვ... თუმცა, ვერანაირად ახერხებდნენ ამ იდეათა ხორცშესხმას. საკმარისია, 1950 წლის უნგრეთის აჯანყების გახსენება. უნგრელები ამერიკის მხრიდან ქმედით მხარდაჭერას მოელოდნენ, მაგრამ საბოლოოდ იძულებული გახდნენ მხოლოდ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გამამხნევებელ სიტყვებს დაჯერებოდნენ. ამასთან, თუ აღმოსავლეთი ევროპა ყურადღებას მაინც იპყრობდა, არავიან სერიოზულად არ საუბრობდა იმათთვის რაიმე ეფექტური დახმარების გაწევის შესახებ, ვისაც კომუნიზმი ტანჯავდა სსრკ-ში. საბჭოთა კავშირის განადგურების იდეას, როგორც რაიმე, რეალურად არსებულ ალაბთობას, არც დასავლეთში, და არც ამერიკაში, არავინ არ განიხილავდა. უფრო უარესი, ცივი ომის საკითხების გაანალიზების დროს, კომუნიზმთან თანაცხოვრების რაიმე გზების გამონახვის იდეა, ისეთი ხარისხის ნორმად იყო გადაქცეული, რომ ესოდენ მაღალი რეპუტაციის დიპლომატი, როგორიცაა ჰენრი კისინჯერი, დღემდე დიდი პატივითაა გარემოცული, სოციალისტურ ბანაკთან მშვიდობიანი თანაცხოვრების სფეროში მიღწეულ წარსულ წარმატებათა გამო. იგულისხმება, დასავლეთისა და სსრკ-ს შორის არსებული დაძაბულობისა და შეიარაღების შემცირების საკითხებში, 1970-იან წლებში მიღწეული წარმატება.

რონალდ რეიგანმა ეს ვითარება ძირფესვიანად შეცვალა. მან ნამდვილი ომი გამოუცხადა კომუნიზმსა და საბჭოთა კავშირს. 1981 წლიდან, მას შემდეგ, რაც რეიგანი პრეზიდენტი გახდა, შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირის მხოლოდ შეკავებას კი აღარ ისახავდა მიზნად, არამედ მის საბოლოო განადგურებას. ზუსტად ისე, როგორც ლინქოლნმა მონობა, ხოლო რუზველთმა ფაშიზმი გაანადგურა. ამ ომის მოსაგებად, რეიგანს გააჩნდა პოლიტიკური და ეკონომიკური კომპონენტების შემცველი გეგმა. პოლიტიკური თვალსაზრისით, რეიგანმა სამართლიანად, და საბჭოთა ტირანიის არსებობის მრავალი ათწლეულის განმავლობაში პირველად, უწოდა მას ის, რაც იგი რეალურად იყო - "ბოროტების იმპერია". ამ სიტყვებმა ამერიკული აკადემიური და ე.წ. ინტელექტუალური წრეების უზომო გაცეცხლება გამოიწვია, მაგრამ ეს სრული ჭეშმარიტება გახლდათ და ამიტომაც მოიპოვა გამოხმაურება მთელ მსოფლიოში. რეიგანის ამ განცხადებამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა საბჭოთა დისიდენტების მიერ რეჟიმის საწინააღმდეგო მოღვაწეობის გაძლიერებაში და შეჰმატა სიცხადე მათაც, ვინც კომუნისტურ ტირანიას შინაგანად, კომუნისტური ბოროტების სრული გაცნობიერების გარეშეც კი ეწინააღმდეგებოდა, რადგან აშკარა გახდა დასავლეთის მზადყოფნა, სერიოზულად დახმარებოდა კომუნიზმის მტრებს საბჭოთა კავშირის შიგნით. ეკონომიკური თვალსაზრისით, რეიგანის გეგმა ამერიკის თავდაცვითი ხარჯების საგანგებო გაზრდის გზით საბჭოთა სახელმწიფოს გაკოტრებას ისახავდა მიზნად. სამხედრო დაფინანსების ასეთმა გაზრდამ, გამოიწვია ამერიკის თავდაცვითი ძლიერების ისეთი რეგენერაცია, რომ დღევანდელი ამერიკის სამხედრო უპირატესობა, სხვა ძალებთან შედარებით, უფრო მეტია, ვიდრე ის სამხედრო უპირატესობა, რომელიც დედამიწის ზურგზე აქამდე არსებულ რომელიმე ქვეყანას როდისმე გააჩნდა სხვებთან შედარებით.

ზოგი ანალიტიკოსის განცხადებით, რეიგანის პოლიტიკას გორბაჩოვის საბჭოთა ლიდერად დანიშნვა მოჰყვა, და მათ ერთად, მშვიდობიანად დაასრულეს ცივი ომი. ჩვენ, ქართველებს კარგად გვესმის, რამდენად არასწორია მომხდარი მოვლენების ეს სურათი. გორბაჩოვის წინაშე მდგარი ამოცანა, იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ ცივი ომი ამერიკის გამარჯვებით დაესრულებინა, არამედ იმაში, რომ გარკვეული გარიგება დაედო ამერიკასთან - რათა შეერთებულ შტატებთან რაიმე კომპრომისისათვის მიეღწია. ამ კომპრომისის ფარგლებში, სსრკ უფრო მეტს დათმობდა, ვიდრე ეს კისინჯერის მიერ მიღწეული, დაძაბულობის შემცირებისა და ბირთვული განიარაღების დონით იყო გათვალისწინებული, მაგრამ კომუნისტური ტირანია და საბჭოთა კავშირი უნდა შენარჩუნებულიყო. ცხადია, რომ გორბაჩოვი არასოდეს არ ყოფილა საბჭოთა კავშირის მოსპობის მოსურნე. მეტიც, ბევრი რამ მეტყველებს იმაზე, რომ უამრავი რუსი (პრეზიდენტ პუტინის ჩათვლით) დღესაც მძიმედ განიცდის საბჭოეთის მარცხს. გორბაჩოვის ყველა ამგვარი მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა, ვინაიდან რეიგანმა უარყო მისი კომპრომისული შემოთავაზებები. რეიგანისათვის მისაღები გახლდათ მხოლოდ ერთი გამოსავალი, კომუნისტური რეჟიმების სრული კოლაფსი, ჯერ აღმოსავლეთ ევროპაში და შემდგომ, თვით საბჭოთა კავშირში.

რეიგანმა ნამდვილად მოიგო ცივი ომი. მოვლენის გლობალურობის თვალსაზრისით, მისი ეს გამარჯვება, მნიშვნელობით არაფრით არ ჩამოუვარდება ლინქოლნის როლს, თავისუფალი მთავრობის დაცვის საქმეში და რუზველთის იმ ნამოღვაწარს, რომელმაც ამერიკას გამარჯვება განაპირობა II მსოფლიო ომში. ისიც მართალია, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლაში რეიგანი მარტო არ იყო. საბედნიეროდ, მას ყავდა მოკავშირეები, მარგარეთ თეთჩერი და რომის პაპი, იოანე პავლე II და თავისუფლების მოყვარე ხალხი მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი დისიდენტები საბჭოთა კავშირში. სსრკ-ს დანგრევაში თავიანთი ეფექტური და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თავისუფლების წყურვილით აღსავსე, მამაცმა ქართველებმა, რომლებმაც 9 აპრილს, საბჭოთა ტირანიას ბრძოლა გაუმართეს. მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ საბჭოთა კავშირი რეიგანის ძალისხმევის გარეშე არ დაინგრეოდა.

კომუნიზმის დამარცხება, რეიგანის მრავალ მიღწევათა შორის უმნიშვნელოვანესია. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ გასულ საუკუნეში, რონალდ რეიგანმა და სერ უისთონ ჩერჩილმა ურთიერთშესატყვისი წვლილი შეიტანეს იმ თვალთახედვის განმტკიცებაში, რომ საუკეთესო მთავრობა ის მართველობაა, რომელსაც ადამიანი რეფლექციასა და არჩევანზე დაფუძნებით ახორციელებს. რეიგანმა გარდაქმნა ამერიკული ეკონომიკა. მან აღადგინა თავისუფალი ბაზარი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში განხორციელებულმა სოციალისტური ყაიდის ეკონომიკურმა პოლიტიკამ, მაღალმა გადასახადებმა და ზედმეტმა რეგულირებამ განადგურების პირას მიიყვანა. მან ააღორძინა შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერება, რომლის დღევანდელი შესაძლებლობები, მნიშვნელოვნადაა განპირობებული რეიგანისეული გარდაქმნებით. დაბოლოს, როგორც ამას მოქმედი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის საშინაო და საგარეო პოლიტიკა ადასტურებს, რესპუბლიკური პარტია, ამერიკის ორი დომინანტური პოლიტიკური ძალიდან ერთ-ერთი, რეიგანის ხატების მიხედვითაა ფორმირებული.

რონალდ რეიგანის მიღწევებმა უკვე გაუძლო დროის აღიარებას.

ადამიანებს მუდამ ემახსოვრებათ რონალდ უილსონ რეიგანი, როგორც მარადიული ოპტიმისტი, რომელმაც უშეღავათო ბრძოლა გამოუცხადა თავისუფლების მტრებს, სძლია მათ და გაიმარჯვა.

## ამერიკის კინო-ვარსკვლავი პრეზიდენტი




"ბევრს უკვირდა, როგორ ბედავს ეს მსახიობი, ქვეყნის პრეზიდენტობას", - უყვებოდა "ჩიკაგო სან-ტაიმსის" ჟურნალისტს რონალდ რეიგანი 1990 წელს - "მე კი მიკვირდა, როგორ უნდა გაბედოს კაცმა პრეზიდენტობა, თუ მანამდე მსახიობი არ ყოფილა".




მაშინ, როცა მსოფლიო ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ პრეზიდენტს უკანასკნელ პატივს მიაგებს, გავიხსენოთ ეპიზოდები "ურთიერთობების დიდი ოსტატის" ბიოგრაფიიდან - რეიგანს მსოფლიოში სწორედ ამ სახელით იცნობდნენ - the Great Communicator.

1: რეიგანი თამაშობდა 1953 წლის კოვბოი-კლასიკაში Low and Order. მომავალი პრეზიდენტი ასრულებდა მარშალ ფრეიმ ჯონსონის როლს, რომელიც იძულებულია, ბანდიტებისგან გაწმინდოს კოტონვუდი, სანამ საყვარელ ქალთან ერთად ბედნიერ ცხოვრებას დაიწყებდეს.

2: 1942 წელს რეიგანი ჯარში წავიდა და აშშ არმიის საჰაერო ფლოტში კაპიტნის წოდებაც მოიპოვა.

3: როდესაც პირველ მისის რეიგანს, მსახიობ ჯეინ უაიმანს ჰკითხეს, თუ რატომ გაეყარა მეუღლეს, მან უპასუხა: "ის უამრავს ლაპარაკობდა".

4: 1940 წელს რეიგანი თამაშობდა ფილმში Tugboat Annie Sails Again.

5: 1981 წლის მარტში რეიგანს ესროლეს. საავადმყოფოში პრეზიდენტი ექიმებს ეხუმრებოდა: "იმედია, რესპუბლიკელები ხართ".

6: 1942 წელს რეიგანმა ეროლ ფლინთან და ალან ჰეილთან ერთად ითამაშა ფილმში Desperate Journey, რომელშიც სამი ჯარისკაცი ნაცისტურ გერმანიაში თავისუფლების მოპოვებისთვის იბრძვის.

7: 1951 წელს რეიგანი და დაიან ლინი თამაშობდნენ ფილმში Bedtime for Bonzo, რომელშიც მათ პარტნიორობას შიმპანზე უწევდა.

8: 1998 წელს ახალგაზრდა ამერიკელთა ფონდს პირად საკუთრებაში გადაეცა რონალდ რეიგანის რანჩო სანტა ბარბარაში (კალიფორნიის შტატი), რომელსაც რანჩო დელ ჩიელო ერქვა.

9: 1954 წელს ენდრიუ მორტონის ფილმში Prisoner of War, რონალდ რეიგანი თავის მეორე ცოლთან ნენსი დევისთან ერთად თამაშობდა. ეს გახლდათ თავისი დროის სენსაციური, ანტი-კომუნისტური სურათი, რომელიც მოგვიანებით აშშ-ს პირველი ლედი გახდა.



რეიგანის გეგმა ამერიკის თავდაცვითი ხარჯების საგანგებო გაზრდის გზით საბჭოთა სახელმწიფოს გაკოტრებას ისახავდა მიზნად.




რეიგანი იყო და ითვლება დემოკრატიული პოლიტიკური ლიდერის ხალხთან ურთიერთობის საუკეთესო მაგალითად.

## ორშაბათი 14.06

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.15** მხ. ფილმი "დანდი მეტსახელად ნიანგი" (გ) **15.20** სერიალი "სასწრაფო" **16.25** სერიალი "მაშველები" **17.25** პერეკროსტოკი **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "უკვდავი" **23.00** ღამის კურიერი **23.45** ევროპის ჩემპიონატი. "შვედეთი"-"ბულგარეთი" **02.00** მხ. ფილმი "სასიკვდილო იარაღი". მთ. რ-ში: მელ გიბსონი, დენი გლოვერი. (გ).

### TV5

**07.15, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 02.55(შვეიცარია), 03.25(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **07.40** აკუსტიკა. **09.30** ტელედილა. **13.15** არტ რეპორტაჟი. ღარიბები აშშ-ში. **16.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **20.05** უეს საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი(ვიეტნამი) 2002. **23.00** თვალსაზრისი. **01.30** მივუყვები მამაჩემის ნაკვალევს. მხ.ფილმი. რეჟისორი რემი ვატერჰაუზი. 1999.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" (პარიზი) **15.20** ფორმულა-1 (ვიდეოჩანაწერი) **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** ფორმულა-1 (ვიდეოჩანაწერი) (გაგრძ.) **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" **18.45** "ევრო-2004" (მიმოხილვა) **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.45** "ევრო-2004" (დანია-იტალია) **23.20** "ღამის მატარებელი" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.40** მხ. ფილმი "ინდოჩინეთი" (15)

### 

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** პროფათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" **03.00** პაუზის გარეშე

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი მოჰიკანი" (გ) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "შემოდგომა ნიუ-იორკში" (რ. გირი) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. სალინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "რუხი ზონა" (დ. არკეტი) (18)

### მზე

**09.00** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.10, 20.50** მინისერიალი "ნიურნბერგი" **12.00, 15.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "მეხუთე ელემენტი" (გ) (მილა იოვოვიჩი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.10** სერიალი "მერლინი" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.50** სერიალი "დორის დუკის იდუმალი ცხოვრება" **22.45** "მზერა დღის ბოლოს" **00.00** მხ. ფილმი "იაკუძა" (ტაკაში შიიკე) (18)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" (გ) **21.00** ეგვიპტოლოგიის პიონერები **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.00** მხ. ფილმი "დორიანი" (15)

### კავკასია

**17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **22.30** "საქმე და ეკონომიკა"

### იმედი

**06.00** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **08.30, 11.20, 13.15, 17.20, 02.00** იმედის მელოდიები **09.00** "იმედის" დილა **10.00** დროება **11.30** სპ. პროგრამა "ასი" **12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.30** ტვ-მარკეტი **14.05** თამაში "უდაბნოს სამჭედლოები" **15.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია. **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.10** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-2" მე-5 ს. **21.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **23.00** სპორტ. პროგრამა "გოლი" **23.30** მხ. ფილმი "ჩემი მეგობრის ქალი" (გ)

### იბერია

**18.00** სერიალი "გრაფინია დე მონსორო" 1-ლი ს. **18.55** მულტფილმი **20.10** დოკ. ფილმი **21.00** კონცერტი **22.30** მხ. ფილმი "სამურაი" (18)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 02.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** სათავგადასავლო ფილმი "ჰაერის კვირტი-4" **10.30** მუსიკა **10.45** კომედია "მე-6 მოთამაშე" **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** თრილერი "ჯაშუშური თამაშები" **14.50** მუსიკა **15.00** მელოდრამა "მერლინი და მე" 16,45 მულტსერიალი "კატა ლეოპოლდი" **17.20** სათავგადასავლო ფილმი "უკანასკნელი რაინდი" 1ს. **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** მხატვრული ფილმი "გოთიკა" **21.00** კომედია "მანიტუს მაკატუნები" **22.20** მუსიკა **23.00** საარჩევნო პროგრამა "არჩევნებამდე" **00.00** მხ. ფილმი "მზის ცრემლები" **02.20** ისტორიული ფილმი "ტიტუსი-რომის მმართველი"

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.30 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.30, 19.50 Сериал "Клон" 12.30** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Мышиный дом" **13.10 фильме "Транссибирский экспресс" 15.00 Сериал "Женщины в любви" 16.10 Сериал "Золото Югры". 2 с. 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Прогулки с чудовищами". Док. сериал **20.50** "Стирка на миллион" **21.00** Алексей Гуськов в фильме **"Раскаленная суббота". 1-я с. 22.00** Время **23.35 Футбол. Чемпионат Европы. Сборная России - сборная Португалии. 01.40** Искатели. "Алмаз Екатерины Великой" **02.10** "Крылья" **02.35** Сергей Курехин в фильме **"Два капитана-2" 04.05** Комедия **"Шинель" 05.40** Мистический триллер **"В плену у призраков"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ. **09.55 Сериал "ЛЮБОВЬ ВДОВЦА" 11.00** Сегодня утром. **11.25** Кулинарный поединок: Лариса Гузеева - Игорь Бухаров. **12.20** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.05** Сегодня **13.30** Анатолий Папанов в фильме **"ОДИННАДЦАТЬ НАДЕЖД". 15.05** Время есть. **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Леопарды и гиены". **19.35** Протокол. **20.40 Детектив "СЫЩИКИ-3: НЕ СТРЕЛЯЙТЕ В ПИАНИСТА". Часть 1-я. 21.45 Сериал "ЖЕЛАННАЯ". 6-я с. 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела. **23.50 Сериал "ОДНАЖДЫ В КАЛИФОРНИИ" 8-я с. 00.55 Сериал "СЫЩИКИ-3". 02.30** Кома: это правда.

## სამშაბათი 15.06

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "უკვდავი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.15** მხ. ფილმი "თეთრი გრიგალი" (12) **15.20** სერიალი "სასწრაფო" **16.25** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** ღამის კურიერი **23.45** ევროპის ჩემპიონატი. "გერმანია"-"ნიდერლანდები" **02.00** მხ. ფილმი "ცეცხლის ძალა". მთ. რ-ში: მეთიუ მაკონახი, კრისტიან ბეილი (18).

### TV5

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** დ დიზაინი. რალფ რუჩის ზაფხული 2004-ის კოლექცია. **08.00** გენერალ რუოს საოცარი ბედი. დოკ. ფილმი. **09.30** ტელედილა. **11.30** ქრონიკები მთიდან. **13.15** სამი მამაკაცი და ერთი გოდორი. მხ.ფილმი. რეჟისორი კოლინ სერო. 1984. **17.30** ვლამს ბლოკის პარტია. ბრიუსელი. **24.00** აქტუალური თემა ექსპერტებთან ერთად.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.20** სერიალი "რვაფეხა-4" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერიალის გაგრძელება **17.00** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **17.30** "ამბობენ" (განმ.) **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" **18.45** "ევრო-2004" (მიმოხილვა) **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.45** "ევრო-2004" (ჩეხეთი-ლატვია) **23.20** "მუსიკალური არჩევნები" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "ჯერი და ტომი" (12)

### 

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15, 22.35** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" **03.00** პაუზის გარეშე

### 202

**10.00** დებატები 202-ზე (განმ). **11.30** მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ნიღაბი" (ჯიმ კერი) (გ) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "მოგზაურობა ამერიკაში" (ედი მერფი) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. სალინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "თვითმკვლელობის მეფეები" (კ. უოკენი) (18)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** სერიალი "დორის დუკის იდუმალი ცხოვრება" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "მახე" (გ) (შონ კონერი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "მერლინი" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "ქალზე ნადირობა" (ალექსანდრე პოლი) (18)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** პალიტრა **21.30** ისტორიანი **22.00** მხ. ფილმი "ნითური" (გ)

### კავკასია

**17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** "საქმე და ეკონომიკა" **18.00** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 11.20, 13.15, 17.20, 01.55** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** "იმედითა შენითა" **11.30** სპ. პროგრამა "გოლი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.25** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.15** მხ. ფილმი "ჩემი მეგობრის ქალი" (გ) **17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **21.30** ლარის მახე **23.00** "ერთხელ ჰოლივუდში" **23.30** მხ. ფილმი "დაუპატიჟებელი სტუმარი" (ნ. კინსკი) (12)

### იბერია

**18.00** სერიალი "გრაფინია დე მონსორო" **18.55** დოკ. ფილმი **19.40** კონცერტი **21.40** მხ. ფილმი "ოლივერი" (12)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 02.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** ისტორიული ფილმი "ტიტუსი-რომის მმართველი" **11.35** დოკუმენტური ფილმი **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** კომედია "მოჩქარეს მოუგვიანდეს" **14.30** მუსიკა **14.40** თრილერი "ბაიკერები" **16.45** მულტსერიალი **17.45** სათავგადასავლო ფილმი "უკანასკნელი რაინდი" 2 ს. **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** მხ. ფილმი "მე იქ ვიქნები" **21.00** მუსიკა **21.05** კომედია "არჩევანი თქვენზეა მადამ" **23.00** საარჩევნო პროგრამა "არჩევნებამდე" **00.00** მხ. ფილმი "რა სურთ ქალებს" **02.20** თრილერი "ზლიდი" **04.20** კომედია "კანადური ბეკონი"

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20** Евгений Сидихин в фильме **"Личная жизнь официальных людей" 12.40** Дисней-клуб: "Мышиный дом" **13.05** Петр Вельяминов в фильме **"В начале игры" 14.30** Док. детектив. "Осколки "Красного фонаря". Дело 2001 года. 2-я с. **15.00 Сериал "Женщины в любви" 16.10 Сериал "Золото Югры". 1-я с. 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Прогулки с чудовищами". Док. сериал **19.50 Сериал "Клон" 20.40** "Стирка на миллион" **20.50 Футбол. Чемпионат Европы. Сборная Латвии - сборная Чехии. 22.50** Время **23.10 Сериал "Улицы разбитых фонарей" 00.20** Премьера. Кремль-9. "Личная жизнь Юрия Андропова" **01.10** Премьера. "Я шагаю по Москве". Док. фильм **01.50 Футбол. Чемпионат Европы. "Португальские таймы" 02.20** "Подорожник" **02.50** Чейви Чейз в комедии **"Европейские каникулы" 04.25 Триллер "Двойной захват"** Новые чудеса света. "Австралия. Город-антипод".

### НТВ

**07.00** Утро на НТВ. **09.50** "Женский взгляд". Раймонд Паулс. **10.25** "Без рецепта". Доктор Бранд. **11.00** Сегодня утром. **11.25** "Их нравы" с Дмитрием Захаровым. **12.20** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.05** Сегодня **13.30** Виктор Павлов в фильме **"УХОДЯ - УХОДИ". 15.05** Время есть. **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Гремлины". **19.35** Протокол. **20.40** Детектив **"СЫЩИКИ-3: ПО ТРАМВАЙНОМУ БИЛЕТУ". 21.45 Сериал "ЖЕЛАННАЯ".** 5-я серия. **23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела. **23.50 Сериал "ОДНАЖДЫ В КАЛИФОРНИИ" 7-я с. 00.55 Сериал "СЫЩИКИ-3".**

## ოთხშაბათი 16.06

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.50** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.15** მხ. ფილმი "მორიდებული ვარ, მაგრამ ვმკურნალობ"(გ). **15.20** სერიალი "სასწრაფო" **16.25** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "ნათლია" **23.00** ღამის კურიერი **23.45** ევროპის ჩემპიონატი. "რუსეთი"-"პორტუგალია" **02.00** მხ. ფილმი "ჩიხში". მთ. რ-ში: ბენისიო დელ ტორო (18).

### TV5

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **17.25** დისონანსი. მხ.ფილმი. რეჟისორი ჯერომ კორნუო. 2003. **19.20** TV5-ის სტუმარი. **21.25** ყველაფერი ბიჭების, გოგონებისა და თავსაბურავების შესახებ. ეგვიპტე. დოკ.ფილმი. **01.30** პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება. **03.50** სამხრეთის ანარეკლი. **05.20** მაშინია სიყვარულის. მხ.ფილმი. რეჟისორი ლორანს ფერეირა ბარბოზა. 1997.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 00.40** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.05** დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" **15.20** სერიალი "რვაფეხა-4" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერიალის გაგრძელება **17.00** მულტსერიალი "ჯუჯების ახალი სამყარო" **17.30** "მუსიკალური არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" **18.45** "ევრო-2004" (მიმოხილვა) **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.45** "ევრო-2004" (საბერძნეთი-ესპანეთი) **23.20** "ღამის მატარებელი" **00.20** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.40** მხ. ფილმი "პიანისტი" (15)

### 

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" **03.00** პაუზის გარეშე

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "ბორნის იდენტიფიკაცია" (მეთ დეიმონი) (12) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "ნოტინგ-ჰილი" (ჯ. რობერტსი) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. სალინაძის "კენო" **22.45** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "ვარდნის სიჩქარე" (ჩარლი შინი) (12)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** სერიალი "დორის დუკის იდუმალი ცხოვრება" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "მუშკეტერი" (გ) (კეტრინ დენევი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "ჯეკი და ლობიოს ხე" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "დაუმარცხებელი" (ბილი ზეინი) (15)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** დოკ. ფილმი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **21.20** ჩვენი მისამართია **22.00** მხ. ფილმები "ბაგრატიონი"(გ)

### კავკასია

**17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

### იმედი

